

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მეცნიერულ-პოპულარული სერია

ხადხური სიტყვიერების მასალები

I

შეკრებილი ჯუანშერ სონულაშვილის მიერ

ელენე ვირსალაძის
რედაქციით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1955

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი ხალხური სიტყვიერების მასალები შეკრებილია ქართლში, თბილისის მახლობლად. ახალგაზრდა მკვლევარმა ჟუანშერ სონლულაშვილმა ჩაატარა საინტერესო მუშაობა. მის მიერ ჩაწერილი ლექს-სიმღერები (741 ტექსტი) თითქმის მთლიანად, ერთ სოფელში — დილომშია მოპოვებული.

უკანასკნელი წლების დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხანგრძლივი სტაციონარული მუშაობა და ერთი პუნქტის გულდასმით შესწავლა ხშირად გაცილებით უფრო დამაჯერებელსა და ზოგადად მნიშვნელოვან სურათს იძლევა, ვიდრე ფართო რაიონში დაზვერვითი მუშაობის ჩატარება. წარმოდგენილი მასალა შეიძლება ტიპიურად მივიჩნიოთ ქართლის მრავალი სოფლისათვის. შემკრებმა არ დატოვა უყურადღებოდ თითქმის არც ერთი უანრი ზეპირსიტყვაობისა და ერთი სოფლის შესწავლის მაგალითზე საინტერესო სურათი გადაგვიშალა. ამ კრებულში შესულია ქართული ტრადიციული, ძველი, ოქტომბრის რევოლუციამდე შექმნილი, ფოლკლორული ნიმუშები. იმისათვის, რათა კრებულში ეს სიმდიდრე სრულად და თანამედროვე სოფლისათვის ტიპიურად ყოფილიყო მოცემული შემკრები და რედაქტორი არ მოერიდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში, ფართოდ გავრცელებული, ცნობილი ლექს-სიმღერების დაბეჭდვას კრებულში, მით უმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ტექსტები მაინც თავისებური ვარიანტებით არის წარმოდგენილი.

ჟ. სონლულაშვილმა მიაგნო ქართლისათვის უნიკალუო ზოგიერთ ტექსტს. ასეთია, მაგალითად, ძველი საფერხულო „ყურშაო, ჩემო ყურშაო“, რომელიც დღემდე ძირითადად მხოლოდ სვანური და რაჭული ვარიანტით იყო ცნობილი, ძველად კი დავით გურამიშვილისა და ალექსანდრე ჯამბაკურ ორბელიანის ცნობით მთელ საქართველოში გავრცელებულ პოპულარულ საფერხულო სიმღერას წარმოადგენდა. საინტერესოა ფართოდ გავრცელებული ლექსების (მაგ., „ფშაველი ქალი მარიას“ და „ვინა თქვა ჩემმას ბალახი“) ორიგინალური ვარიანტები. მნიშვნელოვანია მრავალ-

რიცხოვანი ლექსები ლეკიანობაზე, მრავალია სოციალურად მეტად მახვილი ტექსტები ბატონყმობაზე, ძველი ქართლის სოფლის გაქირვებულ ცხოვრებაზე და სხვ.

ერთი სოფლის გულდასმითმა შესწავლამ გამოავლინა საინტერესო მთქმელებიც: 75 წლის ანტონ სონღულაშვილი, რომლის რეპერტუარი 195 ტექსტს აღწევს, 80 წლის მაქსიმე მზარეულიშვილი, რომლის რეპერტუარი 144 ტექსტით არის წარმოდგენილი და სხვები. შემკრები მათ შესახებ საკმაოდ ამომწურავ ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის.

გარდა ლექს-სიმღერებისა ჯუანშერ სონღულაშვილს სოფელ დილომში დიდი რაოდენობით აქვს ჩაწერილი შაირები, ანდაზები. გამოცანები და ზღაპრები, რომელთა გამოცემაც მომავლის საქმეა.

ელენე ვირსალაძე

საგმირო და საისტორიო
ლექსები

მტერსა რო მტრობას უწევდეს,
ვაჟკაცის შესაფერია,
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,
ქვეყნად ის არაფერია.
არც მოუხდება აბჯარი,
არც ომში წასასვლელია,
არც ვაჟკაცებში სხენდების,
არაფრად ჩასათვლელია,
უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
აუგის მთქმელი არ იყოს,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი,
სიცოცხლის გამმწარებელი.¹

ზამთარი ვარდსა დააჰკნობს,
ფურცელი შეიქმს დენასა,
მაშინ კარგია კაი ყმა,
ხმალი რომ შეიქმს ელვასა.
ისარი მოციქულობდეს,
შუბი აგდებდეს ენასა.²

*

ვაჟო-კაცო, მე რა გაქო!
თეთრი მღვდის ძალა გაქსო.
იარალი მოგიხდება, თოფი მოჰყვდილი გაქო.
შუბლზე კულული ქოჩორი,
თვალი შევარდენი გაქო.
წადგები და წამოდგები
ტანადობა კარგი გაქო.³

•
ლომისა ტყავსა ჩაიცმევე,
გვიჩენენ გულთა სრულობა,
ვერ ამამაცებს ჯაბანსა,
აბჯრისა ჩანაცმულობა.⁴

•
ვაქეაცს არ გამოადგება
მინდორს სიმშენენ თავისა,
ან უნდა ხმალი უჭრიდეს,
ან იმედი ჰქონდეს მკლავისა.⁵

•
ბერი რათ უნდა დედასა,
ერთი სჯობს სახელქებული,
წაეა და ომში მოკედება,
თავი აქვს გადადებული.⁶

•
ვაქეაცსა გული რკინისა,
აბჯარიც თუნდა ხისაო,
თვალნი ქორებნი მხედველნი.
მუხლები შევარდნისაო.⁷

•
მთიული ვარ მთას გაზრდილი.
ბარო, არ შეგიშინდები.
ქუდმოხდილ ქვეყნად არ ვივლი,
კლდეზედაც გადავფრინდები.⁸

•
აი ესია, მესია,
ჯარს მტერი შემოგვესია,
ხანჯლებიც დაგვილესია.⁹

•
ვაქეაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისაო.
ხარი, კამეჩი თავისი,
ცოლი მოსწონდეს სხვისაო.¹⁰

ზღვის პირას ვილაცა იჯდა,
გეზელ ქორივით ჰკიოდა,
ნე კი გამწყრალი მეგონა,
მას თურმე წყლული სტკიოდა.
გულს ერქო თეთრ-ფრთა ისარი,
გულის პირს სისხლი სდიოდა.¹¹

ზმალმა სთქვა: პირი დაუანგდა,
ჯაბანმა ვინმე ჩამიგდო,
ნეტავი ვაუკაცს შემყარა,
პირიდან სისხლი ამილო,
მელეუარებდეს მტრის კარსა,
ქარქაშით გარე გამილო.
მაჯა მაგრობდეს ჰეგთარით,
პირი ვადამდის ჩამილო.¹²

თოფმა სთქვა: ჩემსა პატრონსა,
ჩემს უკეთესი რა ჰქონდა,
ერთი ისეთი თხა მოვკალ,
თორმეტი ადლი რქა ჰქონდა,
ვინც იმით ღვინო დალაა
ფეხები ველარ დაჰქონდა. ¹³

ვახტანგ მეფე

ვახტანგ მეფე ღვირთს უყვარდა,
ციდან ესმის ზარის რეკვა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნა დრეკა.¹⁴

ერეკლე ნეფის დროშია

ერეკლე ნეფის დროშია,
შორს გავიძოვე ძროხანი,

დავწიქ და დამძინებიყო,
თავს წამეხურნა ჩოხანი.¹⁵

•

მეფე ერეკლე

ერეკლე ჩვენი ბატონი
ერთი პატარა კახია,
შაყარა კირულტელები,
ალაზნის ბოლოს დახვია
ომსა რბილობა არ უნდა
თოფი სულ ბოლში გახვია,
სპარსეთის შაჰს თავი მოსჭრა
დედამიწაზე ანთხია,
ტანთ ეცვა ჭაქვის პერანგი,
გაჰკრა ხელი და გახია.¹⁶

•

მეფე ერეკლემ დასჭყიელა

მეფე ერეკლემ დასჭყიელა,
ამ თავის გორდა ხმალსაო:
—შენ რაღას იტყვი ფრანგულთ,
რატო არა მცემ ხმასაო?
უშიშრად შამამიტე,
მკლავში მამცემდე ძალსაო,
გაკვეთე, ჩემზე მოაგდე,
სად გაუგორებ თავსაო.¹⁷

•

სოლომონ ბუტულაშვილი

სოლომონ ბუტულაშვილი, კარგად უვლის თავის ცხენსა,
დილითა და საღამოთი, ჭერზე აკმევს ლიტრა ქერსა.
თბილი წყლით ძუასა ჰბანდა, გავას გადაუსვამს ხელსა.
მამა მღვდელი ეუბნევა: — რაზე აღუპვინებ ქერსა?

— მინდა საქმელი ვაქამო, მტერსა გული მოუკვდესა.
 აგები გამომადგება ჩემი გაქირვების დღესა.
 ადგა სოლომონ წავიდა, ჯადგა სტამბოლის გზაზედა,
 შვიდი დღე და ღამ იარა, მივიდა ხონთქრის კარზედა,
 ხონთქარი შინ არ დაუხვდა, ვეზირი დახვდა კარზედა,
 ვეზირმა შეიპატიჟა, დასო ქეჩა ნაბაღზედა,
 არაბი მოკუნტრუშებდა, როგორც ყორანი მთაზედა;
 — აბა არაბო, გამექე, ამ თათრის მოედანზედა
 ორის მეტსა არა გესერი, ჩემ რჯულის სამართალზედა, —
 ორი ესროლა, ვერ მოხვდა — მესამე რომ მიაყოლა,
 ცხენს აეშარა შეუწყვიტა, დარჩა სოლომონ ცალზედა.
 — აბა არაბო, გამექე, ამ თათრის მოედანზედა
 ორის მეტსა არას გესერი, ჩემ რჯულის სამართალზედა.“ —
 ერთი ესროლა, ვერ მოხვდა, პატივი ხონთქრის კარზედა
 მეორე რომ მიაყოლა, დასო ბეჭისა ფრთაზედა...
 არაბი ძირს გადმოვარდა, ცხენი გარბოდა წყალზედა,
 დიაკვნები და მოლები, წიგნებს აბერტყენ თავზედა.
 არაბს რა გააცოცხლებდა, სული არ დაჰყვა წამზედა.¹⁸



სოლომონ ბუჭულაშვილი

სოლომონ ბუჭულაშვილი,
 კარგად უვლიდა ცხენსა,
 დილითა და საღამოთი
 აკმევდა ლიტრა ქერსა.
 ძმები კი ეუბნებდნან;
 ძმაო რად უვლი მაგ ცხენსა?
 — თქვენ რა იცით ჩემო ძმებო,
 რა ადგილს გამომადგესა. —
 ერთხელ სამი ყიზილბაში,
 დაბლ ალაგს ჩაუსხდესა,
 ორი სოლომონს მოარტყეს,
 ერთი ცხენს მოუხვედრესა,
 სოლომონმა დაიძახა,
 — ვაი დედაჩემის ღმერთსა!
 — ნუ გეშინიან სოლომონ
 კიდევ ნახავ დედაშენსა.

— რალას ვნახავ დედაჩემსა,
ფილტვი ყელში მომებჯინა,
ღვიძლი გარეთ გავიდესა. —
ასწიეს და მიიტანეს
საყდრის კარს დაასვენესა.
მოდიოდა ეფემია
გადისვამდა თავზე ხელსა
— ეფემიავ ნუ მოდიხარ,
მუცელი არ წაგიხდესა. —
სოლომონი რომ დამარხეს
ქვას სურათი დახატესა,
ეფემიამ შვილი შობა,
სოლომონი დაარქვესა.
აქაც კარგი კაცი იყო,
იქ ნათელი დაადგესა.¹⁹

•

გადი გამოდი, მანანო,
აეპალას თურქნი დგანანო.
ლამაზ-ლამაზი ბიჭები
თოფ იარაღში სხედანო,
დაკაზმულია ცხენები
ლაგამ წაყრილი დგანანო.²⁰

•

ფაშა იმერეთს წავიდა,
თან გაიყოლა ყულეზი,
ნამცხვარი ბევრი წაიღო.
თეთრი კაკალა პურები. ²¹

•

ასე ამბობდა ქართველი,
სპარსეთში გადახვეწილი.
რაც გინდა მტანჯოთ, მაწამოთ,
მაინც ვიქნები ქართველი.²²

•

ნეტა რა. არის მისთანა,
ამომავალი მზისთანა,
გაღმა-გამოღმა ქალაქი
შუაზე მეიდნისთანა.

წყალში რომ ფეხი უდგია,
იმ ოქროს ჩარდახისთანა,
კაცის ხელითა ნაშენი
საყდარი გელათისთანა,
რედის ძუძუთი ნაზარდი
ქეთევან დედოფლისთანა.²³

•

ქალაქში სიონ საყდარი,
ზაგრატიონთ ააგესა,
მალლა ცაში აიყვანეს
თაგს გუმბათი დაადგესა.
ქვეშ მირონი გუბეთ დადგა,
ყმაწვილები დანათლესა.²⁴

•

ქალაქში სიონ საყდარი,
ზაგრატიონთ ააგესა,
მარმარილოს ქვა დათალეს,
დაკუთხეს და დააგესა.²⁵

•

იმერელმა და ქართველმა,
მთები დიდი გადმოლანა,
კახეთობა დაილოცა,
ხალხი ბევრი შეინანა.
ბევრი ვაჟკაცი მოისპო,
უადგილოს დაიმარნა,
ზიარება სადღა იყო.
მღვდელი ვინღა დაინანა.²⁶

ერისთვის სიკედილი

ქალსა სიზმარი ენახა,
გამზრდელსა ერისთვისასა,
ვითომდა ქუხდა, ელამდა,
სეტყვას ისროლა ქვისასა.

ერისთვის ბაღში ცვიოდა,
ტოტს ამტვრევს ალვის ხისასა
ერისთვის სიკვდილს ამობენ
დაბნელებასა მზისასა.²⁷

•

ღმერთმა ქნას, სვეტიცხოველმა,
მცხეთას აშენდეს ქალაქი...
გაკეთდეს ღუქან ბაზარი,
ფულის მომჭრელი ზარაფი.²⁸

•

ამბავსა მკითხავთ, გიამბობთ

ამბავსა მკითხავთ, გიამბობთ,
დასაქცევ ყიფლაჲისასა,
ჩვენ სამნი შევიყარენით
სამზღვარსა მუხრანისასა.
პურსა მთხოვდა და ვაჭმევდი
ურჩევდი თავთუხისასა.
ხორცსა მთხოვდა და ვაჭმევდი
ურჩევდი ხოხობისასა.
ღვინოსა მთხოვდა, ვასმევდი,
ურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და არ მივეც,
ჩემი ვირჩიე სხვისასა...
ხანჯალსა ხელი გავიკარ,
ნაჩუქარს ცოლის ძმისასა.
ერთი ისეთი გადავკარ,
ელვასა ჰგავდა ცისასა.
ერთი იმანაც გადმომკრა,
წვერმა უწია ქვიშასა.
იქით ის მოკვდა, აქეთ მე,
ცოლი წავიდა ძმისასა...
შენდობას მაინც იტყვიან
ჩემსა და ყიფლაჲისასა.²⁹

მარტყოფი დიდო სოფელი

— მარტყოფი დიდო სოფელი
ნორიო, — ყურძნის მტევეანო,
მანდ რომ ქალი დავიკარგე,
განჯას თათარსა ვევეარო.
დღისით მიყრია ბორკილი,
ლამე ორშუა ვწევეარო.
წინ მიდგა ოქროს მანდილი,
ზედ კვიცის ხორცი ყრიაო.
მშიან და ვერ მიჭამია
რჭული ვერ დამიგდიაო.
ლამაზ-ლამაზო ბიჭებო,
სულ ჩემო მამამდევეარო,
მოკრიფეთ თითო მანეთი,
დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო.
თუ დამიხსენით, დამიხსენით,
თუ არა და მივყვეარო.³⁰

•

თუში ვარ, ტანად დაბალი,
ნუ მწუნობ ტანობაზედა.
ფეხს დავკრავ, გადავერევი,
ბახტრიონ გალავანზედა.³¹

•

ბიჭო, ნუ ჩახვალ ხოშორას,
ხოშორა ეკლიანია.
ჩახვალ და ველარ ამოხვალ,
შენი ამოსვლა ძნელია.³²

•

მაისისა ათსა დღესა

მაისისა ათსა დღესა
ბალა ჰკაზმავს თავის ცხენსა:
ბატონს კაცი გაუგზავნა,
ახლა მივალ ძალღათხევისა.

ცოლსაც ამბავი დაუგდო;

ფულსაც ჩამოვიტან ბევრსა,

ერბოსაც ბევრს გამოვგზავნი, ^t
ახალსა და ძველისძველსა.

უზანგოში ფეხი შედგა,

ფიცხლავ ცხენზე გადაჯდესა,

ძალათხევში რომ ავიდა

შემოხვდება თავის მკვლელსა.

— გეძებდი, კიდევ გიპოვნე,

საბალახე არის თქვენზე,

განა მარტო წრეევანდელი

შარშანდელიც დარჩა თქვენზე, —

თათარმა შემოუტია:

— ბალა იქით გამეცალე

თორემ მოგკლამ მე შენ დღესა. —

ბალამ აღარ დაიშალა

ხმალზე წაივლებდა ხელსა,

ცხენდაცხენ ცხვარში გადახტა,

წინ გარეკავს ბლომად თხებსა,

თან აყოლებს ბლომად ცხვრებსა.³³

•

ძალა ძალასა მთაზედა,

სისხლისა გუბე მდგარიყო.

ერთი ურჯულო თათარი

სვამდა და ვერ გამძღარიყო.³⁴

•

დიდგორობის წინა დღესა,

ბალა ჰკაზმავს ნიშა ცხენსა.

უბედურმა ის არ იცის,

თუ თათარი ტყვიას სდებსა.³⁵

•

ამოწყდა საბუდიანო,

ხმა არ ამოდის თუშისა.

ერწოს ქერები დაიმკო,

ხმაც არ ჩამოდის მუშისა.³⁶

როსტომ ყიზილბაშიშვილმა¹,
თავისი რჯული გაყიდა,
მამა უღელში შეაბა;
დედა ძუძუთი დაჰკიდა.³⁷

•

მთიდან მოსული ვაჟკაცი
გეზელ ქორივით კიოდა.
თავი ხმლით ჰქონდა დაჰრილი
გულს სისხლი გადმოსდიოდა.
სამრცი ლეკი მოეკლა,
უვაჟკაცობას ტიროდა.³⁸

•

შენ ბიჭო ანანურელო,
შენი ხმა გადმოდის.
შენი ნაკაფი ლეკები,
ალაზანს ჩამოდის.³⁹

•

ადგა დემურ შეიკმაზა

ადგა დემურ შეიკმაზა,
ტანთ ჩაიკვა საომარი:
— თუშნო. კარგად მოიხმარეთ
სამკლავი და საფუხარი, —
თუშნი უკან გამობრუნდნენ,—
ვაი ქიზიყო შენი ბრალი!
აქ ქიზიყელმა ბიჭებმა
დააყენეს სისხლის ღვარი.
დემურმა ას ათი მოკლა,
მერე დემურს მოსჰრეს თავი.
დედას კაცი გაუგზავნეს:
— შენი დემურ მოგდის მკვდარი.
— ჩემს დემურსა ვინ მოჰკლავდა,
ხმელეთზე განთქმული არი! —
შეჰკივლა და გამოვარდა

¹ ვარიანტი—ხიდირბეგიშვილმა

გადაყარა გიშრ ის თმანი:
— ვაიმე, შვილო, დემურო,
რა ღროს შენი ომი არის,
შაბათს ქორწილს გიპირებდი
უნდა მომეყვანა რძალი.
მოდრუბლული ტახტი გიდგა,
ოქრომკერდით მოქარგული.
შიგ მიზის ბატონიშვილი
შავთვალა და თეთრი ქალი.⁴⁰

*

ის მამაძალი ლეკები,
ალაზანს გამოსულანო,
მოსულან გატეხილ ხიდზე
სომხითს სულ აგვიკლიანო.
ზემო ქართლს მოეჭყევიან
ცოცხივით ჩამოგვიანო.⁴¹

*

თუთავ, ჩემო საყვარელო!

— თუთავ, ჩემო საყვარელო,
ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,
ამას რა მომაგონებდა,
ჩემსა თუთას წამართმევდნენ,
კარის-კარს ჩამომირბუნდნენ,
თავმძინარეს დაგვესზმოდნენ. —
— დემურ, ჩემო მოყვარეო.
ჩვენი ქალი რათ მოგვტაცე?
აქნამდე თქვენა გყოლიათ,
ენლა ისეი მოგვეგვარეო.⁴²

*

შავი ყორანი შავ კლდესა
ჩაეა და ჩაეგონება.
ჩაეა გაძღება ლეშითა,

¹ მთქმელის ახსნა-განმარტებით ეს სიმღერა ძველთა-ძველია. (ჯ. ს.)

ლეშითა უხარშელითა. —
გოგოვ, ჩაიცივი შავები,
ნუ დახვალ მუდამ თეთრითა.⁴³

•

ყვარელში ლეკი შევიდა

სულძაღლი ლეკისა შვილი,
სიტყუას ამბობდა ძნელსაო.
ყვარლელებს ემუქრებოდა,
წმინდა გიორგის ყმებსაო.
ყვარელში ლეკი შევიდა,
ფერიცვალობა დღესაო.
ეგრე აიკლო ყვარელი
ფეხს ვერ აუქცევ მკვდრებსაო.⁴⁴

•

ზემო ქართლიდან წამოველ
გადმოვხედე მეტეხსაო.
ხეთისშობელო, დაგვეხმარე,
ნუ გაგვატან ლეკებსაო.⁴⁵

•

გავბრიყვდი და კახეთს წაველ,
ლექს დაეგო ჩემთვის მახე-
იქ დავკარგე ჩემი ლურჯა,
ვიტირე და ვივაგლახე.⁴⁶

•

დღეო მათისაო,
ვარდო ნარგიზისაო.
მე ლეკებმა დამიჭირეს,
ოცდაოთხი წლისაო.
ფეხთ ბორკილი გამიყარეს.
რკინა ხორასნისაო.⁴⁷

ორი კოდი ქერი შქონდა
კოდნახევარი კაკალი,
ლეკებმა აატიალეს,
უფლოს ციხე და გრაკალი.⁴⁸

•

შენი გამჩენის ჰირიმე,
ახალციხელო მკედელო.
შენ რომ თოფი არ მოგეცა,
ლეკები დამიპერდნენო.⁴⁹

•

დედაშენთასა ივანე
ბაზრები შეშოიარე.
ლეკმა ხანჯალი დაგარტყა
ყირაზე ვადაიარე.⁵⁰

•

ლეკებმა რომ დაგიკირეს
როგორ იყო ჩემო მოსე?
ხელები უკან გაგიკრეს,
ცხვირი ველარ მოიბოცე.⁵¹

•

ბეერეთელი ივანე

შირაქში გამოვიზარდე
პატარა ივანეო,
სამწყემსო ცხვარი შევყარე,
პარი-პარალეო.
ძიამ მთაში წამიყვანა
ბიჭი ივანეო.
კოჯორში ცხვარი ავრეკეთ,
იქ დავასვენეო.

სტუმრებს ცხვარი დაუჟალი,
პურიც ვაჭამეო.
ბევრი მიშალეს, მიშალეს,
არ დავიშალეო.
ჩემი კონტა სალამური
დავალიდინეო.
ნაბადშიაც გავეხვიე-
და დავიძინეო.
სიზმარი ვნახე სიზმარი
თათარი ვნახეო,
ვაი რა ცუდი ყოფილა,
ღრუბლიანი დღეო..
მტერი თავზე დამდგომოდა,
ვერ დავინახეო,
უეცრად თოფი გავარდა
გულში მომხედა მეო.
გამწარებულმა შეეძახე
— ძიავ მიშველეო! —
სანამ ძია მოვიდოდა,
სულიც დავლიეო,
— ასო-ასო ამეუწეი,
ხურჯინს ჩამაწყეო,
გადამკიდე ჩემს ლურჯაზე,
ბევრეთს წამიღეო.
დედაჩემსაც შეუთვალე
დედი, მიტირეო.
არ გეგონოს ყველის გულა
შენი ივანეო.
მამაჩემსაც შეუთვალე,
კუბო მიყიდეო,
მარმარილოს ქვა გათალე
გულზე დამადეო.
ჩემი თოფი და ხანჯალი
ზედ გამოხატეო.
ჩემი ტოლი და სწორები
სულ დაპატიეო.
!ჩემი მოწურული ყველი
ყველას აჭამეო.⁵²

ქობულაშვილი გოგია

ქობულაშვილი გოგია
პეტრის დამწურავი ღონეა,
ორშაბათ დილა გათენდა,
მუშა შეჰყარა ბლომია,
წავიდა ყანის სამკალად,
ძნა დააყუდა სველია
მხარზე ჰკიდია სიათა
თავით ბოლომდე კრელია,
დაჟდა ნამგალი გალესა,
ფხაზე აუსვა ცერია.
თრელიგორ შემოუარა,
იქ შველი შემოსჩვევია,
ნატბეურებზე მივიდა,
წამაეშალა მტერია.
მიკუწ-მოკუწა ლეკები,
როგორც წალამი, წენელია,
ლეკებში ერთი ნაიბი
კონტა ბელადი ერია
გოგიას დასცა დამბაჩა,
ზედ მოეკიდა გენია.
გოგიას ასე ჰგონია,
რწყილსაც არ გაუკბენია!
გოგია დაუტრიალდა
მთის შავარდენის ფერია.
გაღუდვა თავის სიათა,
ცივად მოსწყვიტა წელია,
მოუსპო კონტა ბელადსა
თავის გმირობის დღენია,
მაგრამ გოგიას უღვაშიც
იმ არე-მარეს ჰტენია.⁵²

ჭარელ-ჭალელი შეიბნენ

ქარელ-ქალელი შეიბნენ,
თოფები შეახალესა.
ერთი პატარა ქარელი,
გულაღმა გადმოშარესა.
— შენ ქალელს როგორ მოკლავდი,
შე წუწკო, გულადაარაო,
— ნეტავი თოფი მიჩვენა,
ჩახმახთან მიმიყვანაო.
დაგიმიზნო და მოგარტყა
მარცხენა ძუძუსთანაო.⁵⁴

•

დათუკი და გურჯანელი

სანადიროთ წასულიყვნენ
დათუკი და გურჯანელი
ქარის ნაპირში შევიდნენ,
შეშა მოაგროვეს ბევრი.
ერთი ბურვაკი მოეკლათ,
ათასფერად იყო კრელი.
გარს ლეკი შემოეხვია
ფოთლისაგან უმრავლელი.
უწინ დათუკიმ გაუგო,
თოფსა წამოავლო ხელი,
ექვსი სროლით ექვსი მოკლა,
ყრია ყელეზ დაუქრელი.⁵⁵

•

თრიალეთს ყარაულებსა,
ლეკები დახვედრიანო,
თითოს მოუკლავს შვიდ-შვიდი,
ბიჭობაც მაგას ჰქვიანო.⁵⁶

ფშაველებში ერთი მარია

ფშაველებში ერთი მარია
მთელი საფშაველოს თვალია,
მარო წავიდა წყალზედა,
თან გაიყოლა ხმალია.
მაროს შემოხვდნენ ლეკები
დაუდგნენ შუა გზაზედა.
— ლეკო, მამეცა იქიდან,
ნულა შემაგდებ შარზედა, —
მარომა იძრო ხმალია
ხმალი ხო ხორასანია,
ეგრე დაკათა ლეკები,
მკვდარი დააწყო მკვდარზედა.
ფრანგული ამოარჩია,
— ფრანგული კი ხმალია,
ეს ჩემ ქმარსაც მოუხდება,
კარგი ვაჟი არია. —
ლეკში გავარდა ამზავი,
მარია გულოვანია.
მარო წავიდა წისქვილში
თან გაიყოლა ძმანია,
მაროს მოუკლეს ძმანია
ცხვირში ადინეს ძმარია.
გამოიტაცეს მარია
მთელი საფშაველოს თვალია,
'ცხრა მთანი გადაატარეს,
'ცხრანივე თოვლიანია,
მეათეს, თითონ არიან.
საყურ ბეჭედი ამტვრია,
— ამით მომაგნონ კვალია, —
'შვიდი დღე ვადა დაუდეს,
ვადაც მოსული არია,
— ლეკო, მამიტა ჩონგური,
ჩონგურს დავძახო ვაია:

„სადა ხარ ჩემო პატრონო,
რით ვერ მიაგენ კვალთა
ამა რჩულ ძაღლზე, თათარზე
ამაზე ვიწერ ჯვარია.“ —
მალლა ბანიდან ჩაემო
როგორაც ნიავექარია.
სამჯერაც შემოტრიალდა,
სამოც კაცს მოსქრა თავია.
მალლა დარბაზზე ავარდა
გვირგვინს მოგლიჯა თავია.
— გვერდში მამიდექ მარია,
შენც არ მოგაქრა თავია.
სულ ამიქრელდა თვალია. —
გამოიტაცა მარია
მთელი საფშაელოს თვალია
ფშაეის ხევში რომ მოვედით
სულ გაგვიშალეს ხალია.⁵⁷

ეარიანტი

მარია კარგი ქალია
მთელი ფშაელების თვალია,
მარია მიდის წისქვილში,
თან გაიყოლა ძმანია.
წინ გადაუდგნენ ლეკები
მაროს შეუკრეს გზანია.
— იქით გამეცათ, რჩულ ძაღლნო,
არა ვარ თქვენი ცალია, —
დიდი ხანი არ გავიდა,
მაროს მოუკლეს ძმანია,
ადგნენ და წამოიყვანეს,
ეს ჩვენი მარო ქალია,
ცხრა მთანი გადაატარეს,
ცხრანივე თოვლიანია.
ყურში საყურე უყრია,
უქლარუნებდა ქარია,

დაყარა საყურ ბეჭედი:
 — ამით მომაგნონ კვალია. —
 მარო შეაგდეს დარბაზში
 გამოუკეტეს კარია.
 შუალამე რომ შეიქმნა,
 მაროს მოსწყურდა წყალია,
 მარომ რომ წყალი მოკითხა
 ლეკმა მოსთხოვა თავია.
 — ლეკო, მომეცი ჩონგური
 დაეძახო ჭაომარია:
 „სადა ხარ, ჩემო გიორგი,
 შენაც გაგიქრეს თავია.
 ან უნდა ხმალი გიჭრიდეს,
 ან შენი ლურჯა ცხენია“, —
 ეს ლექსი რომ გაათავა,
 გიორგიმ შეყო თავია,
 ხოცა და ხოცა ლეკები,
 არ შერჩა მეომარია.
 აღგა და წამოიყვანა.
 ეს ჩვენი მარო ქალია.
 შუა გზაში რომ მოვიდა,
 მაროს მოსწყურდა წყალია,
 გიორგი წყალზე გაგზავნა,
 მარომ მოიკლა თავია.
 — ლეკებმა ჩემი ძმა მოკლეს
 ეს რა ქალობა არია!⁵⁹



ხვედიავე გუდამაყრელო

ხვედიავე გუდამაყრელო,
 მინდორთ გააღდილო ველთაო.
 არ გეშინია დღისითა —
 ლამე არ დაადევ ბნელთაო.
 შემოგესივნენ თათრები
 გირჩევენ ნაბერწყლებსაო!

); — რას შევებით ურჯულდობო!
რაზედ მიღუპავთ ცხვარსაო?
ან პატრონს არა ჰკითხავთა,
ან აქ ვინ უდგას გვერდსაო!⁵⁹

•

ოსმალში თათარს აქებენ

(ვარიანტი)

ოსმალში თათარს აქებენ
თათარქამაის შვილსაო,
ხვედიას შამაყყარა,
გუდამაყრელის შვილსაო.
— ეგ თოფი შამამაწოდე
თორემ თავს მოგჭრი ხმლითაო.
— რათა მკლავ თოფის გულისთვის,
დაიჭი თუკი გინდაო?! —
გამოულიშნა მარცხნივა
დაარტყა ძუძუს პირსაო.
გადმაეკიდა თათარი
შაშვივით აღებს პირსაო.
— ეგ ნახე ძალლო თათარო,
ეხლა ხომ შეგხვდა ჰკვისაო.⁶⁰

•

— მოდი, წავიდეთ შინაო,
ვნახოთ ფშავლების ბინაო,
ბოლუქ-ბოლუქი მოვსხლიტოთ,
გამოვილალოთ წინაო.
— აღრინდებულად გიპირებთ. —
ხმა წვრილად გამოჰყვილაო,
დაარტყა ბიჭმა ალომა,
გულდაღმა გადმოჰფინაო.⁶¹

ჩეთმაში კარგი ბალახი

ჩეთმაში კარგი ბალახი,
ცხვრისათვის საძოვარია,

გიგამა და გიორგიმა
ჩეთმას დაავლეს თვალია,
— ვინა თქვა ენა მოხმება,
თუშებში ბევრი ცხვარია!
ჩქარ მოდი მახარობელო,
ლურჯამ მოლეწოს ნალია, —
ჩეთმაში ჩამომდგარიყო,
თორმეტი ბინა ცხვარია.
თორმეტი ბინა ცხვარია,
გიგა გიორგის არია.
ერთმა რჯულ ძალღმა თათარმა,
ჩეთმას დაავლო თვალია.
ჩეთმაში ცხვარი ჩავიდა,
თათარი ლეკთან წავიდა,
აყრილა ლეკის ჯარია,
ურჯულო დაღისტანია.
საგათენებლოთ დაგვეცნენ,
დაგვხურეს შავი ცანია,
წამოუარა ბელადმა,
შამააბრუნა ცხვარია.
გიორგიმ უთხრა გიგასა:
— გიგავ მამაბი მხარია.
— გიორგი, გიგა მოგიკვდეს,
თუ არ მოგაბა მხარია. —
სოფლით მოვარდა გიგაი,
შუბლზედ გადასდის ღვარია.
წინ წაუდგება გიორგი:
— ძმავ წაგვართვეს ცხვარია!
— გიორგი, გიგა მოგიკვდეს,
ცოცხალმა მივცე ცხვარია,
გაჰამიყვანე ლურჯაი,
ქვეშ გაჰქრის ნიაფ-ქარია.
აბა გარეკე ლურჯაჯან
თუ გიჰრის მიუხლის ძალია,

საგათენებლად მიმწიე,
 შიუღით ჩვენი ცხვარია.
 ვა, თქვე ტიალო ვაცებო,
 საით მიგიღით ცხვარია? —
 წამოუარა წინიღვან,
 შეშოაბრუნა, ცხვარია.
 გასწყვიტა ბოლუქ-ბოლუქი,
 ქალაში ყარა მკვდარია.
 ექვსი შესწირა გიორგის,
 იქ მოგინდება ყმანია.
 სამ-სამი მწყემსებს შესწირა,
 აბრუნებინეთ ცხვარია.
 ორ-ორი ძაღლებს შესწირა, —
 უკეთეთ სალაფავია.
 ბუთხუზის ქალას შეუდგა,
 ლურჯაი, პირლაგმიანი
 მალლიდან გადმომდგარიყვნენ
 ქალანი ყურთმაჯიანი.
 — ჩვენი მეცხვარის ცხენსა ჰგავს,
 ყურთ ოფლიანი საწყალი. —
 წინ დედა ჩამაეგება
 ქალარ შეყრილი თმინა:
 — შეილო მიაშბე გიგაჯან,
 თქვენ თავს რა ამბავი არა?
 — აბა დედი რა გიამზო,
 ჩვენს თავს რა ამბავი არის,
 ჩემი გიორგი მამიკლეს,
 მე დავრჩი ობოლ-ტიალი,
 ერთი ტყვია მეც გამარტყეს,
 ბეჭებს გაჰქონდა გრიალი.⁶²

გიგლამ უბრძანა გიორგის

(ვარიანტი)

გიგლამ უბრძანა გიორგის:
 ჩეთმას ჩაერეკოთ ცხვარია,
 ჩაერეკეთ ლეკის წყაროზე.

ცხვარო, მიირთვი წყალია.
ქვევიდან შემოვიბრუნეთ
ცხვარო, მიირთვი ხამია.¹
თათრების მოლოდინში ვარ
გზას გაუშტერე თვალია.
შუალამე რომ შეიქმნა
ბერდენკის მამხვდა ხმანია
ტოლალი² სისხლით გამეცხო,
ტყვიამ დამიფქვა ძვალია.
მოვიდა შავთვალა ცხვარი
დამბდავლა როგორც ქალია
— ვილამ გვაძოვოს ბალახი
ვილამ დაგვასოს წყალია.⁶³

•

შირაქიდან მამდინარე,
დავით კურბანი ძმანო.
—წამოდი ძმაო, წავიდეთ,
საით გვაქვს საომარიო. --
ტინკოა გამზადებული,
წელთ შემოერტყა ხმალიო,
—თან წაიყვანო გიორგი,
სამნი წავიდეთ ძმანო. —
მოვიდნენ ივრის ბოლოზე,
მოჭქროდეს ნიავექარიო.
ივრის ხიდზე რომ მოვიდნენ,
მოდგეს ურჯულოს ჭარიო.
ფშავლებმა თოფი ესროლეს,
თათრებმა უგდეს ყურიო.
ახლა თათრებმა ესროლეს,
ფშავლებს დახვიეს ბურიო.
გიორგის ტყვია მოარტყეს,
მოსტეხეს წელის ძვალიო,
ტინკუა წყალზე წავიდეს,

¹ ხამი—ბალახი, სადაც ცხვარს არ გაუვლია.

² ტოლალი—ფეხსახვევი.

გადაირჩინოს თავიო,
 სანამ ტინკუა მოვიდეს,
 დავითს მოაჭრეს თავიო.
 სიღნადის ბოლოს გარეკა,
 ტინკუამ თავის ცხვარიო,
 ტინკუას შამაყყარა,
 თავისი ქვრივი რძალიო:
 — ტინკუავ, დავითს რა უყავ,
 ის იყო შენი ძმანო,
 — თათრებმა მოკლეს დავითი,
 ფერდის ძირს გდია მკვდარიო.
 ფეხთით დაუსვი ნიშანი,
 ნაომი შუბის ტარიო.
 თავით დაუბი ლურჯაი,
 დასტირის როგორც ქალიო. —
 ადგეს და ქალი წავიდეს,
 თან შაიმოკლოს თმანო,
 შირაქის ტარიმანაში¹
 ქალს აერია გზანო.
 დაჯდეს დაიწყოს ტირილი:
 — ვაიმე ჩემი ბრალიო!
 ლურჯას მათრახი ამოჰკრა,
 შეიდკეცი, შეიდი მხარიო,
 — გასწი გარეკე ლურჯაჯან,
 ლურჯავ მიჩვენე გზანო,
 მიჩვენე ჩემი დავითი,
 ნაკუწი როგორც ცხვარიო.²

*

აღდგომელო საზანდარო²

აღდგომელო საზანდარო,
 ცოდო-მადლი გაარჩიეს,
 ცოცხლებიისა და მკვდრისაო,

¹ ტარიბანა—უდაბნო.

² აღდგომა—სოფელია ქართლში.

ნათელაშვილი გიორგი,
 სარქალი მწყემსებისაო,
 ეგრე არიგებს მწყემსებსა,
 როგორც რომ მამა შვილსაო:
 მანგლისს აქებენ საკმელსა,
 წითელასა და რკოსაო.
 წამოდი ბიჭო, წავიღეთ
 იქ დავასუქებთ ღორსაო.
 დავასუქოთ ბურვაკობა
 ფულით ავავსოთ ქისაო. —
 გიორგიმ ღორი აპყარა
 შამითას მიუდგა ძირსაო.
 ბინა იქ ჩამაიხადა
 ქონები ჩადგა ხისაო.
 მოჯამაგირემ შეჰფიცა
 ფიცო ქნა მეუფისაო:
 — გუშინ რომ ღორში ვიყავო,
 ნავალი ვნახე მტრისაო.
 ერთსა ურჯულოს ვესროლე
 ამიცდა გულის პირსაო.
 — შე წუწკო შეგშინებია,
 ვაი შენ გიორგისაო.
 მაგ თოფის ამბავი ვიცო,
 საცა მოავლევს პირსაო,
 ფეხზე აღარ დააყენებს
 ფიცხლავე დასცემს ძირსაო. --
 ჩვენი პატარა გიგოლი,
 ლეკმა დაიღო ძირსაო:
 — გიორგი ძმაო, მიშველე,
 თქვენს ვარ განა სხვისაო.—
 გადპოუფრინდა გიორგი,
 როგორც ნადირი ტყისაო.
 ეგრე აკაფა ბელადი,
 როგორც რომ ტოტი ხისაო..
 გიორგის ლეკი დააწვა
 ნათელაშვილის შვილსაო..
 წამაიწია გიორგიმ,
 ლეკი დაიღო ძირსაო.

შამაუბრუნა ხანჯალი,
დაურქო გულის პირსაო.
— წამოდი, ბიჭო წავიდეთ,
ვინცა ხართ ჩვენი მხრისაო.
დავეშველოთ დიდმელებსა,
დავკვივლოთ დიდი ხმითაო! —
ორი რჯულძალდი ბელადი,
დაბალ ალაგას ზისაო,
ორთავ უტყუპეს თოფები,
გიორგი დასცეს ძირსაო.
ვაი დედი ჩემის ღმერთსა,
მზე დამიბნელდა ცისაო.
ბევრის დედა ავატირე
რჯულძალდი ლეკებისაო, —
მანგლისში რომ საყდარია,
ნაგები ქვიტკირისაო,
იქა მარხია ლეკები.
ნახოცი გიორგისაო.⁶⁵

*

მუხრანში მუხრან ბატონო,
ქალაქში გიბარებენო,
მე კი გირჩევ, არ წახვიდე,
დაჰქერას გიპირებენო.⁶⁶

*

არსენა ჯორჯიაშვილი

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
სახლში დავტოვე ცოლი და შვილი.
დედავ ნუ სტირი, მამავ ნუ სტირი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი.
ვესროლე ბომბი, ჰაერში გასკდა,
ტალახაძემა! ტვინი კედელს მიასხა.
აგერ ლვდელი დგას ჯვრითა ხელშია,
მეც გამიყარეს თოკი ყელშია.⁶⁷

¹ ტალახაძე—იგულისხმება გრიანოვი. მოკლული არსენა ჯორჯიაშვილის მიერ.

ეპიკური ციკლების ფრაგმენტები

ამირანიანი

მაშინ სად იყავ ამირან,
როს ჩემი ხმალი წვრთებოდა
ცა ქუხდა, მიწა გრვეინავდა,
სამქედლო ექანებოდა.
მემკედლე, მემკედლურები
ერთმანეთს ეფარებოდა.⁶⁸

*

იქით ნუ წახვალ ამირან,
გუშინ რომ მთანი ხუოდა,
იქ იყო დევის ნაბრძოლი,
სულ ქვა და ლოდი ხუოდა.
ამირან და ჩრდილოელი,
ორნივ ისხდნენ წყლისა პირსა,
ამირანი ხმალსა ლესდა,
ჩრდილოელი უწყობს პირსა.
დევი ნელა მიბაჯბაჯებს,
დედამიწა შეიძვრისა,
ამირანმა ისარი ჰკრა,
იმ ბაყბაყა დევის შვილსა.⁶⁹

*

ამირან დევი შეიბნენ,
მინდორს გაჰქონდა გრიალი.
დასცა და ბეჭი მოსტეხა,
ადგილიც დახვდა ქვიანი.⁷⁰
ოთურ ღარეჯანასაო
გარეთ გასდგაგის ჯარასაო.
შინ რომ ყმაწვილი ტიროდეს,
გარეთ ეტყვის ნანასაო.⁷¹

ლამაზი ქალის კაბასა¹
სამი ღღე უნდა მზიანი,
სამი ჩარეჭი საპონი,
თორმეტი კოკა წყლიანი,
უნდა დაჯდეს და უყუროს,
არ შრება ოხერ-ტიალი.⁷²

მ თ ე რ ი ა ნ ი

ძილო რასა მეძინები
რადროს ჩემსა ძილისასა,
ხვალ ლაშქარსა მიძახიან
მინდორსა ალგეთისასა.
ხესა და ქვას მოისვრიან,
მონატეხსა ლოდისასა.
ვინც იქ წავა ველარ მოვა,
ვაი დედას იმისასა.⁷³

გადაბრუნდი ჩაგეხვევი,
ძუძუ მკერდსა ბროლისასა,
ნუ ჩაიხვევ აესა კაცსა,
ავი კაცის გვარისასა,
წავა და კვეხნას დაიწყებს,
ხვევენას ვიყავ ქალისასა.⁷⁴

ამალამდელი ღამეო
ნუ გათენდები მალეო
ნურცა ამოხვალ ვარსკვლავო,
ნურც გაბადრული მთვარეო.⁷⁵

¹ ყამარის ქალის კაბასა—საქართველოს მრავალ კუთხეში გავრცელებული ვარიანტი.

ეთერო, შემოვდიოდო
შენი ძილისა მზვარესა.
შემოგხედე და ავტირდი,
ლოგინი გედგა მთვარესა.⁷⁶

ტ ა რ ი ე ლ ი ა ნ ი

ტარიელ დაგსვი ვეზირათ,
სიტყვა შენ დაგამჭობინე,
გინდოდა ნესტან დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე.
დაეიბარებ ხუროებსა,
კილობანს შევაკვრევენებ.
შიგ ჩავსვაე ნესტან დარეჯანს,
წყალს მივცემ წაუღებინებ,
არცა შენ მოგცემ, არც იმას,
ორივეს დაგათმობინებ!⁷⁷

*

დამეზსენ ჩემო დამწველო,
ბიძაშენისა არ იყოს.
დავეძებ ლერწამ დარეჯანს,
ეგება სადმე გარიყოს.⁷⁸

*

ტარიელის საქციელსა,
ენა იტყვის ადვილია.
მეცხვარესა ცხვარი სთხოვა:
—გაგვიკეთე სადილია. —
მეცხვარემა შეუტია,
ბრიყვათ იყო გაზრდილია.
მეცხვარეს ხელი მოავლო,
გზასა იქით გადარია.⁷⁹

ორლოზე ამოვიარე,
ფეხი ჩავდგი, ჩავივაკე,
ვინცა მკითხავს: — რას დაეძებ?
— ცხენი დამეკარგა მაკე.
სანეთოს სილა გავარტყი,
თავი ბოძზე გაუნაყე.⁸⁰

•

აღეჭით აიყარენით,
ჩემო ედემ და ომარე,
ის კაცი აქა მომგვარეთ,
ვინც არის ველთა მჭდომარე.⁸¹

ერთი რალაც კაცი ვნახე,
ნეტა რამ გააძლიერა.
ირემსა ხელი დაავლო,
ბურთივით დაატრიალა.⁸²

•

ვინ არის ფრიდონის ჯოგში,
რომ არჩევს უკეთესებსა?
ფრიდონ ისეთი ბიჭია,
ქვაზე ხმალს დააკვესებსა!
გაჭაგრებულმა ფრიდონმა,
მუხა მოგლიჯა ძირითა,
გაჰკრა ხელი და გალოპრა
ვასტყორცნა ჭირითივითა.⁸³

ბ ე შ ა ნ ი ა ნ ი

დიდებულნი სმაზე სხედან
სვამენ, ჭამენ, ედიმობენ.
სხვა რომ საქმე არა ჰქონდათ
დევეგმირობას წადილობდნენ:
— ჩვენ რომ ერთი ჭალა გვექონდა
სანადიროთ დიდი ტყეო.
შიგ ღორი შემოჩვეულა,
არ ეტყობა სიმრავლეო.

27

ჯაგარი აუშვევრია
ეშვეები აქვს ხმლის სიგრძეო.
ვინ ხარ ტახის მეომარი?—

ბეჟან წამოდგა იანი,
დაბადებიდან ქკვიანი:

ბეჟანს წადიან ტახს ომი
თუ გურგენი გამოყვება!
მამი, შენი ჭაჭვი მომიე
კაი გული მამეცენა.

— შეილო ჩეი შენ რათ გინდა,
რაც შენ გინდა ტანთ გაცვია,
— შენი ცხენი მიტომ მიწდა

ომში უფრო ნაცადია,
მამი, შენი ჭაჭვი მინდა
კაი გული მამეცენა.

წავალ და იმ ღორს შავებში
ჩემსა კლავსა გამოვცადია.

— შეიდი წლის ყმაწვილი მყეეხარ
ვაი თუ იმ ღორმა მოგკლას
ერევანში შემარცხენიან. —

გურგენ ბეჟანი წავიდნენ
თალანთინის ჭალაშია.

ფართი და ფართი ნობითა¹

ბურთის კვრით, თამაშობითა.

— თუ ის ღორი ჩვენ მოვკალით

წამოვალთ გამარჯვებითა—

ბეჟანი გულადად მიდის
გურგენ აშინებს ენითა.

— ღორო არეში მარეში,

გარეთ გამომეთამაშეო.

ფარი ფარსა ვკრათ,

მკერდი ვაჯახოთ,

ერთმანეთს¹ გავეთამაშოთ.⁸⁴

¹ ფართი და ფართი ნობითა—სიძღერა ხტუნაობითა [მთქმელის განმარტება].

— ბეჟან, ბეჟან გივიშვილო,
რა სირუგენე მოგრევია,
თორმეტი შენი გვარისა
სისხლის ფრათ გამირევია.

— ამოვთქვი ერევანშია,
გადათქმა აღარ იქნება.
ან მოგკლავ ან შეგაკედები,
შინ მოსვლა აღარ იქნება.
ღორო არეშო მარეშო,
გარეთ გამამეთამაშე
შუბლი ვკრათ მკერდი ვაჭაბოთ
ერთმანეთს შევეჭახოთო.

— წადი შენს დედას გადეთამაშე
როგორც მე შენ გეთამაშეო.

— გურგენ ელი ხარ, მელი ხარ
ხეზე ამსოლილი მგელი ხარ?
ეგ ხე რომ ჩამოგისვრია
საიდან ჩამომსვლელა ხარ?#5

ატირდა და მოახსენა:
— შენ მაღალო ხელმწიფეო,
ქალა ჩვენი სარჩო იყო,
სანადირო იგი ტყეო,
ხესა სქრიან ეშვებითა,
არვინ იცის დანერგო.
—ადე ბეჟან შეიკაზმე,
ტანთ ჩაიცვი საომარი.
ადე გურგენ, შენც თან გაჰყე,
შენ გზა იცი უნებური. —
ადგა ბეჟან შეიკაზმა
ტანთ ჩაიცვა საომარი,
სამკლავი და საფუხარი.
ქალის პირას რომ მივიდა
ბეჟანს ტახმა შეუტია.
ბეჟან ლახტი დაუქნია.
ტვინი ადგილს დაუბნია.

მიზოც-მოზოცა ტახები,
სისხლის ღვარი გაუშვია,
ცხენსა აჰკიდა ტახტარსა,
ეშვი ადგილს აუთრია.
— აფრასიონთა მანიუა
მზე არის ამომავალი
ვინც რომ იმას არა ნახავს,
იმის საწუთრ რა არის.⁸⁶

*

ბეჟან გურგენი ჩადიან,
თალათინის ჭალაშია,
ფართი და ფართი ნობითა,
ლხინითა, თამაშობითა.
ღორი რომ კბილებს ილესავს,
საომრად ემზადებაო.
ბეჟანი აბჯარს ისხავდა,
ცეცხლივით აენტებაო.
ჩამოჰკრა ლურჯსა ბოძალსა
ბოძი-ბოძალზე დგებაო.
გაარტყა გულის პირასა,
წვერი ალაგსა ხედებაო.
ღორი გადვარდა ბულულში
სული გვიანა ხდებაო.
ეს რომ გაიგო ბეჟანმა
ხომ ძაან შეშინდებაო.
აისხა ქამარ-ხანჯალი
უწინ ის შეუძღვებაო.
აკრა ოქროს ეშვები
ეს ბეჟანს მოუხდებაო.⁸⁷

*

შენ თუ იცი ჩემო ფირან
ბეჟანს ჩემთვის რა უქნია?!
შეჰპარვია მანიუასა,
ოქროს ღილი გაუხსნია...
ეს ნიავს გაუტანია,
სულ ხმელეთზე გაუშლია.⁸⁸

ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,
ყველა დაგიწყებს გმობასა.
სადაც რომ შემოგეყრები,
გეტყვი შეილსა და ძმობასა.⁸⁹

•

შენ ბერი კაცი, რათ მომკალ
ხმალი რათ დამე ვადამდე?
შენ მამაჩემსა როსტომსა,
საით წაუხვალ, სადამდე?!⁹⁰

ძველი ოძი და სალდათობა.

ემბერ ფაშამ დაიკვეხა

ემბერ ფაშამ დაიკვეხა:
ავილებ სარიყანსაო,
სარიყაში ჩაის დავლევ,
მერე ჩავივლი ყარსსაო.
ავილებ თბილის ქალაქსა,
შიგ დავდგამ ბაირალსაო,
კახეთის მეფეთ დავჯდები,
მოჟღენამ ჩემსა ჯარსაო.
თუ ჩემსას არ დაიჯერებთ
თუ გინდა კითხე სხვასაო.
შუალამისას დაეცაჲ
თათარი სარიყამსაო
სამ კორპუსზედაც მეტი
ვინ გადაავლებს თვალსაო?
ძირიდან ქართველის შვილები,
ესროდნენ ზარბაზანსაო:
მიბრუნეს ზარბაზანი,
გაუდგნენ თათრის გზასაო.
ამომავალო ღრუბელო,
საით ხარ მიმავალიო,
თუ აზრუმისკენ წახვიდე
ფაშას დაავლე თვალიო.⁹¹

•

თურქთ ომი გამოგვიცხადეს

თურქთ ომი გამოგვიცხადეს
დედებო თქვენი ბრალიო:

ჩავსხედით მიწურებშია
 ნუხლზე მოგვადგა წყალო.
 მალიდან გადმოდინდა
 ურჯულო თათრის ჭარიო.
 ძირს ჩაეიტყუეთ ვაკეში
 თან ჩაეაყოლეთ თვალიო.
 მერმე ჩვენ წამოუარეთ
 მკვდარზე დავაწყეთ მკვდარიო.
 ეგრე გავწყვიტეთ თათრები
 როგორც სახინკლეთ ცხვარიო.
 გავატიალეთ სოფლები:
 ვანი და ექრეჟანიო.
 მათ სოფლებს ძაღლები დაყეფს
 ტყეებში ყრია მკვდარიო,
 ზოგთ პატრონს ძაღლი გვერდთ უწევს
 საბრალოდ სანახავიო.
 ეს რა დროება მოვიდა,
 გამოიცვალა ჟამიო.
 მანდ ჭალაბობა გვემდურის,
 აქ დღე გვადგან შავიო.
 რა გიჭირთ შინაურებო,
 არაფრისა გაქვთ ჭავრიო.
 დრუჟინის გამლექსებელი,
 ჩალიკაური არიო.
 ნეტავი ახლა აქ მომცა,
 თუში, ფშაველის ჭარიო.
 გადავსულიყავ სტამბოლში
 ზღვაზე მიმედოს ნავიო.
 სულ გამეწყვიტოს თათარი
 მყუაროს იმათ ჭავრიო.
 თუ ეს ტყუილათ გამოვთქო,
 მოგიკვდეს ჩემი თავიო.
 სალექსეთ გამამივიდა
 სამასი სული ცხვარიო.⁸²

ათას ცხრაას თოთხმეტ წელსა

ათას ცხრაას თოთხმეტ წელსა,
კათათვის ნახევარია,
ელიაობა დღე არის,
შეიძრა მთა და ბარია.
სოფელს მოედო სენივით
ამბავი სამძიმარია,
ამდგარან გერმანელები
ავსტრიელები, სხვანია,
გვეცილებიან მიწა-წყალს.
რუსებს მოსვლიათ ჯაერია:
— შეგვიტყობინეთ ქართველებს,
როგორც ნაფიცი ძმანია!
ელიაობა დილითა
მღვდელმა დამწერა ჯვარია,
იმ დღითვე დავთმე მიჯნური,
ცრემლით მევესება თვალთა.
წამოველ გაჯაერებული,
დავდივარ ცოცხალ-მკვდარია.
ტყვიას მოჰქონდა ბზრიალი,
როგორც წვიმა და წყალთა.
ოთხი დღე ვიწეე სანგარში
არც კი მიცვლია მხარია,
მეხუთე დილა გათენდა,
დავაფათურე თვალთა.
ვინა მყავს გულის დამწველა,
დამალევინოს წყალთა.
ორი მხრის ხალხი მოვეყვით,
ბოდბე და მაჩხანანია,
ეგრე შევეყურებთ ერთმანეთს,
როგორც ნაფიცი ძმანია,
ორი ბიჭი დაგვეკარგა,
სოსო და სოლომანია.
დავკარგეთ ჩვენი სამშობლო
დავკარგეთ ჩვენი მხარია

მშვიდობით, კავკასიონო,
ველარა მნახამ მალია.⁸³

•

ათას ცხრაას თოთხმეტ წელსა

ათას ცხრაას თოთხმეტ წელსა,
კათათვის ნახევარია.
ამდგარან გერმანელები,
ავსტრიელები სხვანია.
მიწა-წყალს გვეცილებიან,
რუსებს მოსვლიათ ჯავრია;
— შაატყობინეთ ქართველებს,
როგორც ნაფიცი ძმანია.
მტერს ერთად უნდა ვებრძოლოთ.
მამულს შავწიროთ თავია. —
ელიაობა დილითა,
ღვდელმა დარეკა ზარია.
სოფლებს მოედო სენივით,
ამბავი სამძიმარია.
ოცი წლის ბიჭებს კრეფავენ,
ვაი რა ცოდო-ბრალთა.
უბრალთ გამაიკეტა,
ბევრი ოჯახის კარია.
მინდვრები გასათიბია,
ყანები მოსამკალია.
გაგვრეკეს გრანიცაზედა,
როგორც მეცხვარემ ცხვარია,
ზოგისა ღედა ატირდა,
ზოგისა მოუკლეს ქმარია.⁸⁴

•

ომია გერმანიასთან

ომია გერმანიასთან
უცბათ შეყარა ჯარია.

წამოუარა ავსტრიას:
— თქვენც ჩვენ დაგვიკით მხარია.
ვეომნოთ რუსის ხელმწიფეს
დღე დაუბნელოთ შავია.
ეს რომ ხელმწიფემ გაიგო
წელთ შემოირტყა ხმალია.
ადგა სალდათი მოკრიფა
ვერ უვლის წვიმა წყალია
გარეკა გრანიცებზედა
ყველგან ჩაკეტა გზანია.
გრიალებს ზარბაზანები
ინგრევა მთა და ბარია.
ბევრი დაეცა მებრძოლი
ცხელი ტყვიითა მთვრალია
იძახის: — მამეშველენით,
დამალევინეთ წყალია.
ვინა ჰყავს შემბრალებელი
გულზე მოუსოს ძმარია.
დედას წერილი მიუვა
შვილი — ტყვიითა მკვდარია.⁹⁵

*

მზემ ღიმილით გადმოგვხედა

მზემ ღიმილით გადმოგვხედა,
პირი აღარ მოიქუშა.
აღარ გვინდა სისხლის მსმელი,
ძირს ნიკოლოზ, მალლა მუშა.⁹⁶

შრომის ლექსები

ნ ა დ ი რ ო ბ ი ს ა

ყურშავ შეჰყეფე

ყურშავ შეჰყეფე — შეჰყეფე,
შე პატრონ ტიალისაო.
ან გაიგონებს მეცხვარე,
ან მონადირე ტყისაო.
პატრონი კლდეს' გიკიღია
ფურ-ბერწის ბანდულითაო.
შვიდ ძმასა, შვილსა ბიძასა,
ჯიხვი რამ შემოგვეჩვია,
შეიდმა ესროლა შვიდ-შვიდი
ჯიხვს არცერთი მოეკიდა.
ესროლა ჰერმა ბიძამა
ჯიხვი ფეხთ გადმოეკიდა.⁹⁷

გუშინ შვიდნი გურჯანელნი

გუშინ შვიდნი გურჯანელნი,
სანადიროდ წასულიყვნენ,
იქ მოეკლათ თეთრი ტახი,
ხორციც მოემრავლებინათ.
ჩვენ შვიდთა ძმათა ხევსურთა,
მთას მტვერი გადმოეყარა.

შვიდთა ვესროლეთ შვიდ-შვიდი
ვერც ერთი ვერ მოეკიდა,
ესროლა ბერმა პაპამა,
ჯიხვი რქით გადმოეკიდა.
ჯიხვი ფეხსა სცემს, კლდეს ანგრევს,
რომ ნახო, გაგიკვირდება,
ჯიხვისა ნასადგომარსა,
ყინვა არ მოეკიდება.⁹⁸

•

დილაზე დილაობითა

დილაზე დილაობითა,
ხარ-ირემს დაეკარ ისარი,
გზაი გაიხვენ შიკრიკო,
ნუ ხარ თავისა მისანი,
თორემ ღაგდე და გაგთაღე
როგორც კიღობნის ფიცარი!
ვინც ჩემზე იტყვის ლალია,
ისეთი ლალიც ის არი,
ძმასაც მოუკვლენ ღუშმანნი,
მამას, — ნასროლნი ისარნი,
ან გულის ნანდაურაშა.
არც ძმაზე ნაკლებ ის არი.⁹⁹

•

დათემა სთქვა სიზმარი ენახე

დათემა სთქვა სიზმარი ენახე,
რაც რომ თავს გადამხდებოდა,
სოფლისა თავზე გადავდექ.
სოფელი ჩოჩქოლდებოდა,
ლამაზ-ლამაზი მწვერები
საომრად ემზადებოდა,
ასეთ გრძელ მინდორს გამიგდეს,
თვალი ვერ მიუწვდებოდა.
ისეთ ღრმა ხევში ჩამავდეს,
ქორი ვერ ჩაფრინდებოდა.

სისხლი წავიდა ღვარადა,
შიგ ნავი მოცურდებოდა,
სვამდა ყვავი და ყორანი,
სვამდა და არ ილუოდა.¹⁰⁰

•

დაღამდა და დაჰკრა ბინდი,
ცოლეურთას მიდის ბიჭი.
წინ დათვი შემოეყარა,
უსურ ქედა, მეტად დიდი.¹⁰¹

•

ნადირი მონადირესა,
მოეკლა ეზო გრილოსა.
ამხანაგი გაეგზავნა,
ჩამოელოდა ღვინოსა.¹⁰²

•

მეჯოგეები ჩიოდნენ

მეჯოგეები ჩიოდნენ:
დათემა თუ გვიყო ზიანი
ბევრი ფურები დაჰამა,
ბევრი ხარები რქიანი
ერთი გივისა შეჰამა
კუდალა იყო რქიანი.
ადგა და გივი წავიდა
საომართ ქედზე გავიდა
ადგილი დახვდა ქვიანი.
ღმერთს იმას ეხვეწებოდა:
„ღმერთო დღე მომეც მზიანი“.
ერთი ესროლა ნადირსა
დათემა დაიწყო ღრიალი
რა მოგაჩქარებს ტიალო
ჯერ კიდევ დიდი დღე არის
ტყვია წამალი ბევრი მაქვს
თოფი მაქვს იმედიანი.¹⁰³

ირემმა ირემს ახარა

ირემმა ირემს ახარა:

— კასრაძე ავით გამხდარა!

თოფის ხმა აღარსად ისმის,

იქნება კიდეც მამკვდარა. —

გამოტყვერა თოფი ამ დროსა.

ირემმა ტლინკი აყარა.

— თუ კი კასრაძე მამკვდარა

მაშ თოფი ვინლამ გვახალა?¹⁰⁴

•

ტყეში ღორმა დაიკეცხა

ტყეში ღორმა დაიკეცხა,

ყველგან დავიდებ ბინასა,

კბილებს ისე დავილესამ,

ვერავენ ვერ მამიდგესა.

ვერცა რა თოვლი დამაკლებს

ვერცა გაზაფხულის წვიმა.¹⁰⁵

•

კ უ თ ნ უ რ ი

მოდი, შევაბათ გუთანი,

გამოვიყვანოთ ალოვო.

გამოვიყვანოთ ლამაზი,

შევაგვევინოთ კალოვო.¹⁰⁶

•

ასე ჰგონია ღუშმანსა,

არცა ხენენ, არცა სთესვენო,

არცა უბიათ ხარები,

არცა კალოსა ლეწვენო.¹⁰⁷

•
ხარმა იცვალა მხარია,
ღმერთო, შენ დაგვეხმარია.
გუთნეულს მიე ძალია,
მტერს დაუყენე თვალთა.
საქორწილო პური ვაცხობთ,
გადავიხადოთ ვალთა.¹⁰⁸

•
რას უყურებ, თამარ ქალო,
რატომ გუთანს არ აბამო.
არ მოიყვან ქერის პურსა,
დაჭდები და არა ხრამო.¹⁰⁹

•
გადი-გამოდი გუთანო,
მაისის დიდი დღეაო.
მეხრეს რომ დაეძინება,
პირი დარჩება ღიაო.
ან ჩაუძვრება ბაყაყი,
ან დაშხამული ჭიაო.¹¹⁰

•
შენი ქირიმე: გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა,
წამოუწვები გვერდზედა,
იცი გატანა ველისა.
შენ აკმევ ცოცხალსა პურსა,
დამმარხველი ხარ მკედრისაო.¹¹¹

•
ღმერთმა ხომ იცის, გუთანო,
შენი მიყოლა ძნელია,
ვინც შენს მიყოლას შეიძლებს,
პური აქვს ძველის-ძველია.¹¹²

•
—ადრე ადექ მოლოზანო,
ხვალ გუთანი ჩვენიაო. —
მეხრეები იძახიან:
— მოგვიტანე ფიფიაო.

შეჰამანდი შაანელე,
ციცხვი შინ დაგრჩენიაო.¹¹³

•

სახნისს უნდა ორი ალო,
საუდაბნოს იარება,
საკვეთელსა ნახევარი,
ზეზეურათ იარება.¹¹⁴

•

გუთნის ლექსი

სახნისმა სთქვა:

— ქვესკნეთს დავალ,
ცისა შუქი მენატრება. —

ეს საკვეთელმა გაიგო:
— ჩემზე მეტი შენ რა გხვდება?

მეტისმეტე წინ ძლოლითა,
წინა კბილი არა მრჩება. —

ეს ჯამბარამ გაიგონა:

— ჩემზე მეტი თქვენ რა გხვდებათ?
ავდარია, მე დამალბობს,

მზე კი ცეცხლად მომედება. —

ეს ხარებმა გაიგონეს:

— ჩვენზე მეტი თქვენ რა გხვდებათ?

დაგვადგამენ მძიმე უღელს,

ზედაც მეხრე დაგვაჯდება,

ჩაგვიყრიან შეინდის ტაბიკს,

არ გასწიო არ იქნება.

ის ურჯულო გუთნის დედა,

ქვეშ-ქვეშ გამოიყურება.

ერთხელ იმას აღარ იტყვის,

უდივრობა არ იქნება.

გადმოძკრა გადმომიშხუვლა,

სისხლმა ამხეთქა რქაშია

დავიჩოქე და შევბლავლე

მეუფეს მაღლა ცაშია:

— მეუფეოჯან, მოშვილე

სისხლმა ამხეთქა თავშია!

— მე აქედან რა გიშველო,
მეც მაგინებენ ცაშია.¹¹⁵

•

ჰარალო ბიჭო გოგია
მოხან და ბევრი მოგივა.¹¹⁶

•

მინდორში, ბალახ-ბულახო,
ყანავ, გერია კიოტა,
მეხრეები ამბობდნენ:
— მეველემ დაგვაწიოკა.¹¹⁷

•

ს ა მ კ ა ლ ი

მამკალი რასმე მოეკლა,
ნარსა თუ გვირილასაო,
სათითე ნარსა ეკიდა,
სამკლავე გვირილასაო.¹¹⁸

•

ბიჭები მკიან ყანასა,
ნარიანსა და ჩალასა.
სიცხეს შეუწუხებია.
ველარ ატანენ ძალასა,
მალიმალ შეაგინებენ,
მარიამსა და ნანასა.¹¹⁹

•

ზოხბის საყელო ვიპოვნე,
ყანა თვირთვილიანი.
ბიჭმა რომ გოგოს აკოცოს,
განა რა სირცხვილი არის.¹²⁰

•

მოდო მიუხტეთ კუტასო,
ბატონი მოგცემს ქუდსაო.
მოგცემს და ისევე წაგართმევს,
ნუ დაგაკლდება გულსაო.¹²¹

•
ჰერიო, ბიკო, ჰერიო,
ყანა უმკალი-ნამკალი,
ძნა შაუკრავი რჩებო!
ჰერიო, ბიკო, ჰერიო,
ვაჟაკო დაქორწილდები,
უცოლოდ რათა რჩებო?¹²²

•
მუხრანელმა ქალმა მითხრა:
— მუხრანამდი გადმომყო,
გასმევ, გაქმევ, გაქეიფებ,
სადამომდე ყანა მკეო.¹²³

•
უყურე ობლის ყანასა,
კორუმ და კორუმ უყრია,
ფათალო გადაფენია,
თავთავი აღარ უბია.¹²⁴

•
ჰე — ოპუნა ყანასაო,
მერე ამისთანასაო,
მუშისა ნამუშავარი,
ღმერთო ახმარე პატრონსაო.¹²⁵

•
ყანაო ბადალიანო,
ბიჭები სად არიანო,
აგერ მოდიან ბიჭები,
მოდიან მომღერიანო,
ყანასა ყანა-ყურესა:
პატრონი არ აყურებსა.¹²⁶

ჰოპუნა

ჰოპუნა ამ ყანასა,
ნარიანსა და ჩალასა,
ამ ყანას რომ გავათავებთ,
სხვის ყანაში გადავალთო.

ყანასა ფათალოანსა,
არ უნდა დახედულობა.
თავში დაკრული ნამგალი
ბოლოში დახედულება.
გავლესოთ ძმებო ნამგალი,
პური შეგვექნია სამკალი,
ჯერ ჰოპუნა დაეაგუგუნოთ...
— ჰოპუნა აენე-აენე,
აბა ჩემი მკაცა ნახე,
თუ მე მკაში ჩამოგრჩები,
ქალაჩუნა დამიძახე!¹²⁷

•

ჩალაუბან კოჭინასა.
გაუკეთე ფიცრის კოფო,
შიგ შევები კამეჩები,
ზედ დაუსვი თეთრი გოგო.¹²⁸

•

ქალო ვინ გაქო, ვინ გაქო,
სადილი სამხრად მიგაქო,
სადილიც მიმიტანია.
სამხარიც ეხლა მიმაქო.¹²⁹

გლესაე და გლეს:ე ნამგალო:

გლესაე და გლესაე, ნამგალო,
ნამგალო ჩემო რკინაო,
გაგლესაე და მიგაყუდებ,
კარსა ვენახისასაო.
მოვიდეს და მოგიპაროს,
ქალმა შეზობლისამაო.¹³⁰

•

გაეწიოთ და გავიდეთ, —
სახელი გაგვივარდება,
ამხანაგობა კარგი გვაქვს,
არც ერთი დაგვივარდება.¹³¹

•
თივას რათ მპარაე ძმობილო,
რა ოფლი მოგიწურია,
მე რომ თივასა ვთიბავდი
მაშინ გრილოში გეძინა.¹³²

•
ამოქროლდი, ქვენა ქარო,
უნდა ხვაეი ვახარხარო,
თბილი პური გამოვაცხო,
ყმაწვილები გაეახარო.¹³³

•
სალამოთი მაიმატებს,
კაი მეუშა და მხნე ხარი,
გადაბრუნდება მოკვდება
გადახრწნეული მკლე ხარი.¹³⁴

•
ალალსა ალალ მეუშასა,
ალალი სული ამოსდის,
ერთი დღის ნამუშევარსა,
ერთი წლის სარჩო გამოსდის.¹³⁵

•
ქართლისა არაბასაო

ქართლისა არაბასაო!
ქალი უდებდა ძნასაო,
ქალო ნუ უდებ ძნასაო.
თორემ მოგიკლავ ძმასაო.
არ დაიშალა, დაუდო,
შაუხტა ურმის თავსაო,
სახრე კამეჩებს გადაჰკრა,
გორული შოლტი ხარსაო.¹³⁶

¹ არაბა—დამახინჯ. რუსული „არბა“.

კახელ მეურმეს აქებენ

კახელ მეურმეს აქებენ
უბია კრელი ხარები,
გადააბრუნა ურემი,
ქვეშ მოუქცია ქალები,
მეურმე ქვევით გარბოდა,
ჯაგს მაინც მოვეფარები.¹³⁷

•

მთაში წაეიდა იობა

როცა მოვიდა თივობა,
მთაში წაეიდა იობა.
გადაუბრუნდა ურემი,
ქვეშ მოიყოლა იობა.
თავ-პირი მიწას ახალა,
ცხვირს სისხლი ჩამოსდიოდა.
— ხალხო, სადა ხართ, მიშველეთ! —
ქვეშიდან გამოჰკიოდა.
ნეტა რა ეჩქარებოდა
რა ხარებს მოუშიოდა?¹³⁸

•

ვ ე ნ ა ხ ზ ე

ვაზო, შვილივით ნაზარდო,
მოვეკვდები მე შენ ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი
იმედი გასაჭირშია.¹³⁹

•

მინდა გიჩივლო, ვენახო,
ხვთითა და სამართალითა!
ორასი მუშა მოვლალე,
ქარელისა და სკრისაო.

ქვევრები ცარიელი მაქვს,
რატომ არ მაძლევ ტკბილსაო.¹⁴⁰

•

ღმერთმა ვაწი გაგვიჩინა,
გვერდით ჩაუხვა სარია.
ასეთი უნდა მოკვაზმოს,
როგორც მორთული ქალია,
ცაში დაიძვრის ღრუბელი
წამოვა ნიაღვარია.
ქორთა ყლორტი ძირს ჩამოვა,
დარჩება ხმელი სარია.
შევეხვეწოთ ელიასა,
აუნთოთ კელაპტარია,
ელიაც ვერას გვიშველის,
თუ რომ ღმერთი გამწყრალია.
ცოცხალი იმით დავრჩებით
მოვიხსენიოთ მკვდარია!¹⁴¹

•

ვაი შენ, ჩემო ვენახო,
გარს რთვილი შემოგდებია.
გცემენ და გიბრახუნებენ,
ცვარი არ გამოგდენია,
მეწვია გულის სტუმარი,
სირცხვილის ოფლი მდენია.¹⁴²

•

მალლა ცის მონადირე ხარ,
ბოლო გიხდება ხმლისაო.
ყველას მოსიყვარულე ხარ,
ნათესავისა, მტრისაო.
ალალო, შენსა ვენახსა,
ქიგო უვლია მსხლისაო,
რაც იმის ღვინო გამოვა,
ნახევარია სხვისაო.¹⁴³

გენაცვალე, ბრუნდე ვაზო,
მუხანათო ოქროს ბზაო,
შენს გასასხლავათ მოვდივარ,
თუნდ ხელები დამაგაზო!
მკვდრებისა დამმარხავი ხარ,
ცოცხლები დაგვილამაზო.¹⁴⁴

•

სიდედრო, შევგერემანობით
არ დაიწუნო სიძია,
წადი სოფელში იკითხე
გრძელი ვენახი ვისია.¹⁴⁵

•

თ ო ს ნ უ რ ი

ვთოხნოთ და ვთოხნოთ სიმინდი,
ახლა ყანის მკა მოვაო. არალო ბიჭო არალოო.¹⁴⁶

•

როდის მომიხვალ სიმინდო,
როდის ჩაგყარო ზარშია?
ქალების გათოხნილი ხარ,
ავდარშია და დარშია.¹⁴⁷

•

დაქუჩებულან ქალები,
სიმინდის სათოხნელადა,
ლოყები დასწითლებიათ,
ბიჭების საკოცნელადა.¹⁴⁸

•

შენი ჭირიმე სიმინდო,
ლობოს შექამანდო...
სანამ შენ არ მოგიყვანე
ქალი არავინ მანდო...¹⁴⁹

•

დედას არ მოკლავს მშვიერსა,
ვაჟი მხარგანიერიო,
თეთრი სიმინდით აავსო,
გოდრები ცარიელიო.¹⁵⁰

უ რ მ უ ლ ი

აღმგევანს წავალ

— წავალ და წავალ აღზევანს წავალ,
მარილს მოვიტან ჩემ ცხვრისათვისა.
ცხვარს გავასუქებ ქორწილისთვისა,
უფროსმა რძალმა ნამცბვარი მიცხო.
შუათანამა თან ჩაპილაგა.
უმცროსმა რძალმა, გზა დამიწყევლა,
შოლტი და სახრე ხელწიაც მამცა:
— წასულხარ მახლო, აღარ მოსულხარ...
— ასსა ურემსა ერთი ქვა მაკლდა
ქარხანა იქცა, თავზე დამაწვა...
ამხანაგებო თქვენ გენაცვალეთ
აქ ნუ გამიშვებთ შინაც წამიღეთ,
ჩემს ნიშა ხარა ტოლს ნუ დაუდებთ!¹⁵¹

•

მარილზე წასვლა

ჩემი მარილზე წასვლაი
არ არი დიდი ხანია,
ცამ დაიხვია ღრუბელი,
როდის მოძველდა მთვარეა.
გუმბრის ბოლოს რომ მივედი,
ავად გამიხდა ხარია.
პიკებმა აღარ ილხინეს,
იმ ღამეს ხარი მკვდარია.
— ნიკოლი შენ გეუბნები,
შენ გამიტყავო ხარია,
არ დამიკარგო ყანწები,
თითო არშინი რქანია.
წავალ, დავწვები ხარებში,
სამძიმარს ვეტყვი გნოლასა,
ვეცდები გამოვიყვანო,
გაღმა ხარი ყავს მოლასა.

კამეჩმა შემამირბინა:

— რას ნატრობ ჩემსა ყოლასა,
ას ფუთსა ისე წაგიღებ,
სტილი არ აკლდეს წონასა.
ურემსაც მარტო წაგიღებ
ზურგზე დავიკრამ დოლასა.¹⁵²

•

პატარა ვიყავ, ობოლი,
დედას გამოვყე გერადა;
ურმის კოფოზე ვიჭექი,
ვასხამდი ქალამანსაო
უკულმა კოპსა უყრიდი,
უკვირდა ქარავანსაო.¹⁵³

•

მ ე ტ ი ვ უ რ ი

არაგვზე ტივი დავაწყე,
ტივი იყო წიფლის ხისა,
ორთაყვირები დავასხი.
ხიმშიაშვილის ტყისაო.
მაშინ გაქებ ჩემო ტივო,
სატივოზე ჩასულიყო,
ზედ მუშტარი შავდგომოდეს,
სხვაზე მეტად გასულიყო.¹⁵⁴

•

სატივე და ყუდრო ქალა,
ჩიბუხს დავატანე ძალა,
მეტივემ ტივი დარიყა,
მებოლოეს დააბრალა!¹⁵⁵

•

პატარა გამოვიზარდე,
ვისწავლე მებადურობა.
კავკავისკენ რომ პირი ვქენ,
ვაი ჩემს უბედურობას.¹⁵⁶

ს ა ფ ე ი ქ რ ო

დაბრუნდი, თუ დაბრუნდები,
ვით ხარატული ჯარაო¹.
მშობელი შენი ვაცხონე,
გამზრდელი შენი ლალო.¹⁵⁷

*

მ ე ლ ო რ ე ო ბ ა

მე რა ვქნა, ჩემმა ლორებმა,
ჩემი ვენახი თხარონო,
ჩავიდნენ ქალას იძინონ,
მუხსაჲც შეეფხანონო.¹⁵⁸

*

შენ ჩემო ღორო ქედაო,
თორმეტი გოჭის დედაო,
გაგზაენე საბალახოზე,
კვრინჩხების ბოლოზედაო.
წასულხარ ყანის საძოვრად:
მოგლეჯილ ფლატოზედაო,
დაგეძებს ზიჳი მელორე
გეძახის: — ეჳა, ეჳაო...
ნეტავი ღორო გიპოვო,
დაგაჯდე ქეჩოზედაო,
ამღენი ჯონი მოგარტყა,
მაგ ცხვირის ნესტოზედაო.¹⁵⁹

*

კაცი არ დაიბადება
მელორისთანა ცუდია.
დაიარება ხევ-ხუეში,
ჩამოუფხატავს ქუდია.¹⁶⁰

¹ ტექსტი დამახინჯებულია „მითხარ რათული ჯარაო“ (რედ.).

მელორემა ღორსა სცემა,
რატომ ტყეში შემივარდი,
შინ მოვიდა, ცოლსა სცემა,
რატომ ზერწად დამივარდი.¹⁶¹

•

გაბრიელ მამასახლისო,
პირველ ღორებში მდევარო,
იქ რომ კერატი დაკარგე
იმისი ქურდი მე ვარო.¹⁶²

•

მელორევე, ღორი ქალასა
დაგიდის ღუილითაო.
მიიტა, გუდა მომეცი,
აგივსო ქუმელითაო.¹⁶³

•

არაგვზე ღორი აპყარეს
საით უზამენ პირსაო?
მანგლისს აქებენ საკმელსა,
ქოხები ჩავდგათ ხისაო,
დავასუქოთ ბურვაცობა,
ფულით გავივსოთ ქისაო.
—გუშინ რომ ღორში ვიყავი,
ნაეალი ვნახე მტრისაო.
შე წუწყო, შეგშინებია,
ვერა ხარ გულადისაო.
დაეუჩოქე და ვესროლე,
მოვარტყი ძუძუს პირსაო,
მაგ თოფის ამბავი ვიცი,
სადაც მოავლებს პირსაო,
ფეხზე აღარ დააყენებს,
ქაშინვე დასცემს ძირსაო.¹⁶⁴

•
 ჩაი თუ ქართლში გათხოვდე,
 შავად შეგქეპარტლოს კერის ბოლმა,
 წადი ილოცე ხატები,
 ეგებ გიშველოს დიდგორმა,
 გუნებიდან გადაგწმინდოს,
 იჩისმა მწვანე მინდორმა...
 თორმეტი გოჭი დაყარა
 ჩუკნ შინაურმა დიდ ღორმა.
 ერთი მინდორში მომკვდარა,
 შეუტყამია დიდ ქორსა.
 ერთი ნათლობაში დაეკალ
 კარჯათ მინათა მის ქონმა,
 ათილა-ლა დარჩენილა,
 აგურ მისძოვენ მინდორსა.
 უკან მწყემსი ბიჭი მისდევს
 ხელში უპირავს გილჯოკა
 ზურგზეცა გუდა ჰკიდია.
 ქადი უწყევია ვიწროდა.¹⁶⁵

•

მ ე ც ს ვ ა რ ე ო ბ ი ს ა

ადექი ცხვარო წავიდეთ,
 თორემ ნადირი მოდისო,
 აგერა ჩვენი პატრონი,
 შაღონებული მოდისო.¹⁶⁶

•

ცხვარო შენსა ბატკნობისას,
 ბევრჯერ გნახე ნაეარდენი,
 შინ გაგიშვებ, — შიმშილი გკლავს
 თან წაგიყვან, — დავარდები.¹⁶⁷

•

მაცალე, მგელო, ნუ შემქვამ,
 არა ვარ ოხერ ტიალი,

იძღუნი ნათესავი მყავს,
რაც ტყეში წვრილი ხე არის.¹⁶⁸

მცეხვარე მგლისა შიშითა,
ვერ გაიგრძელებს ნადილსა,
თუ გაიგრძელებს ნადილსა,
მგელს გაუკეთებს სადილსა.¹⁶⁹

ცხვარო შესძულდი პატრონსა
კარს თოვლი ჩამოდიოდეს.
შენ მაშინ შეუყვარდები,
ბერაში გამოდიოდე,
დიდი საჭერო დაგიდგას
თავს ქაფი გადმოდიოდეს.¹⁷⁰

მგელმა სთქვა: — მთაზე მეცხვარეს
შემოეშალა ცხვარიო,
ციკანს რომ პირი დავავლე,
თხამ დაიძახა: — ვაიო.¹⁷¹

მგელმა სთქვა, გუშინ გორს ვიყავ,
ორიალეთს ვკამე ბალიო,
ატამი დამწიფებულა,
ყურძენს შესვლია თვალიო.¹⁷²

თოვლო, ითოვლე, ითოვლე,
მიდი მეცხვარის კარსაო,
როცა რომ გაუჭირდება,
არც მაშინ მომცემს ქალსაო?¹⁷³

თქვენაც ხომ მოგეხსენებათ

თქვენაც ხომ მოგეხსენებათ
კვერნაკი დიდი მთა არი!
სამასი სული ძროხა მყავს
ემის ხბორები სხვა არი.
ხუთი ათასი ცხვარი მყავ
იმის ბატკანი სხვა არი.
ექვსასი სული ღორი მყავს

იმის გოკები სხვა არი.
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავ
მოჯამაგირე სხვა არი,
სამოცი სული მწყემსი მყავ
მოშალავათე სხვა არი.
სამოცი ძალი ცხვარში მყავ
ბარგის გოშია სხვა არი.
ას ცხვარსა მენაც გაჩუქებთ
როგორც მუნია თხა არი.
ბოლოშიც კარგა მოვილხენ
ვითომ თავს ჯდომა რა არი.¹⁷⁴

ჭრელა წავიდა ხოშარსა

ჭრელა წავიდა ხოშარსა,
ცხორი შაქეჩა მთაზედა.
ცივი რამ შახვდა თოვლქყაბი,
სათრიალეთოს გზაზედა;
მთლად ჩაურეგვა ცხვარია,
მეტ რო ებადა თმაზედა.
სარეკად ძალღებლა დარჩა,
ეგრე გაბრუნდა გზაზედა...
— ჭრელუა რათ გინდ ძალღები?
რალათ მიგიდის ბარჩა?
— კიდევ გამომადგებიან
ოჩხარიო ნაშოვნ ცხვარშია.¹⁷⁵

*

საწყალი მეცხვარეები

საწყალი მეცხვარეები
ძალა მთაშია დგანანო,
ნადირი შემოესევათ
მთელ ღამეს ფეხზე დგანანო.
ჯგუფად ისერიან თოფებსა,
ბოლში აღარა ჩანანო.
ბედნიერ შინა კაცები

თბილად ლოგინში წვეანანო,
ჰკოცნიან დედაკაცებსა
რალაც ეშნაკნი ჰყვანანო.¹⁷⁶

*

საგარეჯოდან წამოველ

საგარეჯოდან წამოველ,
ცხვარი მამიდის გზაზედა,
ერთი გარეჯელი ბიჭი,
დადგა უბრალო შარზედა,
— ან ერთი ცხვარი მამეცი,
ან გადარეკე გზაზედა. —
გავიხადე მოკლე ტყავი,
დავაკარ სახედარზედა,
გადმოვიღე შვინდის ჯოხი,
ბიჭს გაუფარდი გზაზედა,
— თუ შენ ჩემს ცხვარსა წაიყვან,
თავი არ მებძას ტანზედა.¹⁷⁷

*

მუშა საქონელი

ხარო, ხარი ვინ დაგარქო,
ხარო სახე მშვენიერო,
ჩვენ ნუგეშად მოვლენილო,
ქედ ნაკურთხო, ღონიერო.¹⁷⁸

*

კუდალავ, კუდი ვინ მოგქრა¹,
ვის გაუძოვე ყანაო?
ცოლი და დედა უტირე
ვინც შენ ნდაგისო დანაო.¹⁷⁹

*

ჩემი ნიკორა გავყიდე,
ქებიტა და ღიღებიტა
შევხედე, უკან მოჰყავდათ,
ცემიტა და გინებიტა.¹⁸⁰

¹ ძველად თუ ვისიმე საქონელს ყანაში მოუსწრებდნენ, ყანის პატრონი კუდს კრიდა საქონელს და ჯავრს ამით იყრიდა [მთქმელის განმარტება].

ორშაბათობით აშენდა

ორშაბათობით აშენდა,
ციხე-ქალაქი ქვაზედა,
სამშაბათ იყო ყრილობა,
დიდი მეუფის კარზედა.
გლეხი კაცისა შენახვა,
არავინ იღო თავზედა.

წამოდგა ხარი რქიანი:

— მე დამაწერეთ მხარზედა. —

წამოდგნენ ანგელოზები,
აკოცეს ორთავ თვალზედა.

— წალი და, ხარო, იხარე,

ცაზე და ქვეყანაზედა.

ექვსი დღე უღელში ები,

მეშვიდეს დაწექ მხარზედა.

ვინც კვირა — უქმით შეგაბას,

რისხვა მიადგეს კარზედა.¹⁸¹

•

შავი კამეჩი სჩიოდა,

ხეზე შემიდგეს თივაო,

ამდენი მალლა ცქერითა,

გულის ფიცარი მტკივაო.¹⁸²

•

შავსა კამეჩსა, პატრონი

ყელში უყრიდა დანასა,

— ნუ მომკლავ ჩემო პატრონო,

სხვას მოგვეკრი ჩემისთანასა.¹⁸² -ა

•

ნიკორამ უთხრა ლომასა

ნიკორამ უთხრა ლომასა:

— ჩვენ ნუ ვიზამთო მაგასა,

გაგვიგებს ჩვენი პატრონი,
 უღელს გაგვითლის მაგარსა,
 ჯაგ-რცხილის სახრეს მოგვიჭრის,
 მოგვარტყამს მაგარ-მაგარსა. —
 დაბრუნდა ლომა კამეჩი,
 დაადგა ძროხის ლალასა.
 წინ შვინდა შენოეყარა:
 — გავექანები ამასა. —
 შვინდა ეტყოდა ლომასა:
 — თავი მანებე მე აქა,
 როგორც მოსულხარ გაბრუნდი,
 თორემ აგიტეხ ბალანსა,
 ბევრი ტაბიკი გატეხე,
 ვერ გატეხ ჩემისთანასა. —
 შვინდა და ლომა ეძგერნენ,
 შვინდა ატანდა ძალასა;
 ლომამ ამოიქედურა,
 გვერდები დაჰკრა ალაგსა,
 მეძროხეები მორბიან,
 სულზე ასწრობენ დანასა,
 ერთი ვირიც მოიყვანეს.
 — ლომა აკვიდოთ ამასა. —
 ვირმა ყროყინი დაიწყო:
 — მე ჟერა ვზოდავ ამასა!
 — შენ რა გინდოდა კამეჩო,
 მინდერად გეძოვნა ჰალაბი,
 ხილად და ხილად გენახა
 აღზევანი და ქალაქი.
 — შენც რა გინდოდა პატრონო
 ცოტა რამ ხარჯი გეწია,
 გეძლია თითო აბაზი
 თითო კალათა ბზეშია,
 მე მაშინ მოგაგონდები
 ქობის აღმართის ყელშია,
 შეგებას წერილი მოზვრები,
 იკლაკნებოდნენ წელშია,
 წითელი შოლტი გეჭიროს,
 ატრიალებდე ხელშია,

ეძახდე, უჯავრდებოდე,
სული ჰპყენოდეთ ყელშია.¹⁸³

*

კამეჩმა ზაქი მოიგო,
ურქო, უკუდო, უყურო,
ის რომ უღელში შეება
უნდა დადგე და უყურო.¹⁸⁴

*

— კამეჩო, შენ ის გერჩივნა,
გაბურს გეძოვნა ბალახი,
ხილად და ხილად გენახა,
განჯის სოფლები, ქალაქი.¹⁸⁵

*

— კამეჩო, მუხრანელი ხარ,
გუთანი გეცოდინება....
— მე მუხრანელი არა ვარ,
უღელი მეჩოთირება.¹⁸⁶

*

მოდინ მონადირენი,
მოუდით კოხტა ზაქები,
ერთმანეთს ეუბნებიან:
— რომელი, რომელს შეუბათ,
რომელი არი ნაქები?¹⁸⁷

*

თათარს უტირე მოლაო,
მე იმან დამაღონაო,
დამპარა ირმა ზაქები,
მეხრეც თან მიყოლაო.¹⁸⁸

*

კახაბრიანთ კამეჩები
ტილად და ოხრად დარჩა,
ლობიო ხომ შეგვიკამეს,
სიმინდს თავი აღარ შერჩა.¹⁸⁹

*

— უნდა გამოვთქვა ლექსები:
რა დამემართა რა იყო...

კამეჩი მყავდა ურწაზა,
ნიკორა ზაქი მოიგო.
უფრო ფასად გაიყიდა,
რაკი ქვეყანამ გაიგო.¹⁹⁰

*

მამაძალი ღორ-დავითა,
კამეჩების პატრონია.
თითოს ისეთსას დამიტევს,
თითქოს იყოს ბატონია.¹⁹¹

*

კამეჩები დამეკარგნენ,
დაუღლული ხარებიო,
შინ შიშით ველარ მივსულვარ.
ცემით მომკვლენ ქალებიო.¹⁹²

*

შავი კამეჩი დამიდგა,
გვერდზე მოუდგა ლომასა.
აგრე გონიათ ჩვენ ქალებს,
ფულებს მოგვიტანს ბლომასა.¹⁹³

*

ჰაი კახეთო, კახეთო,
შეშინებული გნახეთო.
ის თქვენი კუდა კამეჩი,
ქალაქის ბოლოს ვნახეთო.¹⁹⁴

*

ვენახების ბოლოსა,
ვირი სძოვდა ღოლოსა.
— ვირო, ღოლო ვისია?
— აზნაური კაცისა.
ასისინა — ბასისინა,
ძალი გამომისისინა,
ვერაფერი ვერ დამაკლო,
მხოლოდ სისხლი დამადინა.¹⁹⁵

*

გავიხედე ოლოსაო,
ვირი სძოვდა ღოლოსაო.
— ვირო ნუ სძოვ ღოლოსაო.
მოგაგონებ ბოლოსაო.¹⁹⁶

აჩიტამ უთხრა ვირსაო
— ეს ხურჯინები ატარე.
ჩვენია განა სხვისაო?
შაგაჯდები კუდს ძირსა
ფეხს არ ჩამოვდგამ ძირსაო.
ჩაგიყვან თხინვალშია,
ჩაგამტვრევინებ ცხვირსაო.¹⁹⁷

საწესო ჰორისი

კალენდარული საწესო ჰოეზია

მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ, გორავსა.¹⁹⁸

შვიდ მაისის ნამი
თავზე დამედინა,
შვიდ-შვიდი ნაწნავი
ზურგზე დამეჭიმა!¹⁹⁹

მარტო, აპრილო, მაისო,
ჭერამ-ჭურამო, ყაისო,
თქვენი საწყალი ოჯახი
პურით და ლვინით აივსო.²⁰⁰

ხარო, დადგა მაისი,
ახლა ხორციით გაივსე.
წყალია და ბალახი,
გასუქდი და გალალდი.²⁰¹

¹ შვიდ მაისს (20 მაისს), ქალები ფერხულს აბამდნენ და ლექსს მღეროდნენ. ხალხმა შვიდ მაისზე მრავალი თქმულება შექმნა: „შვიდ მაისს რომ შვიდი ძირი ყანა იდგეს, შვიდ მაისის წვიმა რომ მოხედეს, მაინც ყანად იქცევაო“. „შვიდ მაისის წვიმად არა ღირსო“ „ვირს ყურში ა.....ნ და შვიდ მაისის წვიმა ეგონაო“. „შვიდ მაისის წვიმაო, თმებო კოჭებამდინაო“. „შვიდ მაისისთვის შვიდი გოდორი ბზე უნდა გყაროს და შვიდი ზურგი თივაო“ და სხვ.

პირველი ქუხილის დროს იცყვიან

ზურგი, ზურგი მაგარა,
ჩვენი ყანა მადლარა,
ლეკებისა დამპალა.²⁰²



საგამათხულო

აყვავებულა მინდორი,
მწვანეთ ბიბინებს სათიბი.
შიგ ლალა გამოიძახის,
უხდება კრელი ქათიბი.²⁰³



ჭონა

...როდ ააშენე ეს ოჯახი, მიეც მშვიდობა და ბარაქა!..
...სხენეთ ბაჭებო, ოჯახი აქა ყოფილა, სხვაგან ტყუილად
გვივლია!

ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე,
ვერხვი ვერხვსა ეხვეოდა,
სიცოცხლე და დღეგრძელობა,
სულ თქვენ შვილებს ეხვეოდა.
ალათასა ბალათასა,
ჩამოვკიდებ კალათასა.
ადე ქალო, კვერცხი მოგვე,
ღმერთი მოქცემს ბარაქასა.



დათვმა ყანა მოგვიძოვა,
თავის ორი ბელითაო.
ადე ქალო, კვერცხი მოგვე
შენი ოქროს ხელითაო.²⁰⁴



ჭონას ვიყავ, ჭონა ვნახე,
ორი ქალი დავინახე.

თეთრი ქალი ბრინჯს არჩევდა.
შავგვრემანი სამარხოსა.
თეთრმა ქალმა დამიტეიროს,
შავმა ქალმა დამმარხოსა. 205

წისქვილს პური დავაყარე,
ჩამოვიდა ხრიალითა.
ქალო ერთი კვერცხი მამე,
თავი გასკდა ღრიალითა. 206

აღმოსავლეთი დაბნელდა,
დასავლეთი ხმელეთისა.
ჩარხი უკულმა დაბრუნდა,
ხალხი შაწყდა ყველა მხრისა. 207

ქარი ქრის, ქარი გუგუნებს,
მალლა, ჩარდახსა ბერავსო,
შიგა ზის ქალი ლამაზი,
მოვის პერანგსა ჰკერავსო. 208

ციხესა თოფი ვესროლე,
ტყვია მოდის ზუზუნითა.
ადე დედი, გაგვისტუმრე,
თორემ წავალთ დუღუნითა. 209

თქვენს კარზე გადმოვიარე,
სალვინე ვნახე სველი.
მშვიდობით შეგაკვრევენოთ.
ჯერ კალო, მერე რთველი. 210

კუდა და მარტი შეიბნენ

კუდა და მარტი შეიბნენ,
კუდამ აჯობა ხერხითა.
კუდა შევიდა გომურში,
მაგრა დაება ფეხითა.

მივიდა მარტი კარებში:
— სულს ამოგართმევ ხენეშითა,
პატარძლებს ფრჩხილებს დავამტვრევ,
შენი ფაშ-ფუშის რეცხვითა.²¹¹

*

(ვარიანტი)

კუდა და მარტი შეიბნენ,
კუდამ აჯობა კვეხნითა.
შევიდა კუდა ბოსელში,
მაგრა დაება ფეხითა.
მარტმა ბანიდან ჩასძახა:
— სულს ამოგართმევ ხენეშითა,
გაზაფხულამდის არ გავალ
რას იზამ შენი კვეხნითა?
— გაზაფხულს გავიკუნტრუშებ,
ამ ჩემი მოკლე ფეხითა. —
მარტმა ბანიდან ჩასძახა
— სულს ამოგართმევ ხენეშითა.²¹²

*

ლაშარეობა

ახ, ლაშარე, ლაშარე...
მიდგა, მოდგა თაროსა!
ორლობ-ორლობ ტალახი,
დაემსგავსა მთვარესა.
ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა.
ორლობ-ორლობ ტალახი.
მინდორს კაი ბალახი,
აღარ გვინდა გორახი,
ღმერთო მოგვეც ტალახი,
ჩვენ დაგიკლავთ ციკანსა
შენ მოიყვან წვიმასა.²¹³

¹ ვარიანტი—კალოსა

აღიღო

ოცდა ხუთსა ამ თვესაო,
ქრისტე დაბადებულაო,
ქრისტეს მადლი შეეწევა,
თქვენს პატარა შვილებსო.
აქა ღორი დაკლულაო,
ნაყელარი ჩენიაო.

ეს სახლი ვინ ააგო,
ვინ დახურა მუხისგულთ
ამშენებლის მამა ცხონდა,
დამხურავის მამის სული.
სახლო ღმერთმა აპიიი აგაშენოს!!²¹

ახალი წლის დაკეღევა

ახალ წელიწადს წლის თავსა,
გიკვლევ ვაზისა რქითაცა.
შენიცა სახლი ავსილა,
ტყავ-კაბა ზარბაბითაცა.
ცხენზედაც შეგისხდებიან
მშვილდისრიანი ხმლითაცა,
კარზედაც მოგადგებიან
ცხენ-ჯორა მათრაშითაცა,
ტახტზედაც დაგიდგებიან
თავ-ოქრო-გვირგვინითაცა.
მტერი სულ დაგიბრმავდების
ეშმაკი ხმელეთ ციცათა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს,
მოყვარე მრავალ გზითაცა,
პური-ღვინო ულეველი.
ვით ნოდინარე წყლითაცა
სიცოცხლე გახარებული,
მოუწყინარი დლითაცა,

ასრე დასტები ამ ქვეყანას,
ვით საფლი ფუტკრის სითაცა,
უხვადაც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითაცა.²¹⁵

*

იანერისა რვასაო,
ნუ გამოხვალ კარსაო,
ნურცა მიხვალ დისასაო,
ნურცა ცოლის ძმისასაო.
თუ მიხვიდე ძმისასაო!,
თეთრი გედოს ქისასაო.²¹⁶

*

თინანო¹

თინანო, თინანო,
ვაი თუ ბოლოს ინანო.
თინამ დაკლა ქათამი
არ მაქამა ბარკალი,
ვაი იმას გაუწყდეს
კრუხ-წაწილა ქათამი.
თინანო, თინანო,
ვაი თუ ბოლოს ინანო...²¹⁷

*

ძილისა

დაეწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ზატი, ცხრა ანგელოზი,
სულ თავით დამესვენება.
ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,
ჯვარი პატიოსანი.

¹ ზალხური რწმენით 8 იანვარი ცუდი, ბოროტი დღეა. ამ დღეს დაწყებული საქმე საზარალოა და წარუმატებლობა მოელის.

² ამ სიმღერას ბერიკეები, როცა ბერიკაობას იწყებდნენ, სტვირთან ერთად მღეროდნენ ორ პირულად.

მწყალობს წმინდა გიორგი,
ვერას მიზამს მაცდური.²¹⁸

ს ა დ ლ ე ო ბ ო
ბედნიერი გადიბოტებს
ლომისობას ლურჯაზეო.²¹⁹

წმინდა გიორგი ცხენს შეჯდა,
ხელში უჭირამს მათრახი,
ვისაც გაუწყრა, გადაჰკრა,
დააწყებინა თახთან.²²⁰

წმინდა გიორგო, ცხოველო,
შენს სალოცავადა მოველო,
შენი გამჩენის ჰირიმე,
ცოტა წყალობა მოგვეო.²²¹

წმინდა გიორგის მშვენება,
იქ მოადგება გორასა.
ყველა შლოცავსა მოიყვანს,
დაკუტებულსა მონასა!
წმინდა გიორგო ცხოველო,
შენ სალოცავად მოველო.
შენი გამჩენის ჰირიმე
ცოტა წყალობა მოგვეო.²²²

წმინდა გიორგის კარზედა,
აღვის ხე ამოსულიყო.
დამწიფებული ყურძენი,
საჰმელად შემოსულიყო.²²³

დიდება ყოვლად წმინდასა,
სოფლის შენება ინება.
ცასა უბოძა ღრუბელი,
მას წვიმა მოედინება.²²⁴

შენ, ბიჭო ილარიონო,
შაკრულო ვარდის კონაო,

გვიშველე, წმინდა გიორგო,
გავხდებით შენი მონაო.²²⁵

•

ამდელი ლაპარაკითა,
ენახ არა აქვს სისველე,
ხეთიმშობელო, შეგვეწიე,
წმინდა გიორგი, გვიშველე.²²⁶

•

გორიჯერის წმინდა გიორგი,
გადმომცქერალი მტკვრისაო.
მლოცავი ბევრი წამოვა,
ქარელისა და სკრისაო.²²⁷

•

საოჯახო-საწესო ჰოესია
ქორწილი

ქორწილია და გვეწიეთ
ცოტა რამ შემოგვეწიე.
წინ რომ ხატი დაგვისვენე,
იმის მადლი შეგვეწიე.²²⁸

•

მაცრული

მოვდივართ მოგვიხარიან,
მოგვყავს დედალი ხოხობი,
თვალ-წარბებ გადახატული
ქალია ძუძუ კოკობი.²²⁹

•

ნეფეო შენსა გვირგვინსა
ხეთისაგან ჯვარი სწერია,

თავს გადგა ოქროს გვირგვინი
შიგ მარგალიტი ჭრია.²³⁰

*

სიძისა შავგვრემანობა,
სიდედრს უმძიმდა, ნანობდა,
ქალი ცხენს უზის, მიჰყავდა,
რალას უწველის, ნანობდა.²³¹

*

ჯვარული

ჯვარი წინა,
ჯვარი უკან,
ანგელოზი მხარზე გადგაო.²³²

*

ნათლიავ, სუფრის ღვინი ხარ

ნათლიავ, სუფრის ღვინი ხარ
ცამაც დაიწყო ბიბინი,
იესო ქრისტემ გვიჩვენოს,
შენი წითელი გვირგვინი.
ლამაზი ქალი გვერდს გეჭდეს,
პირს მოგდიოდეს სიცილი.²³³

*

ღმერთმა მაგ ქალს შეგაბეროს

ღმერთმა მაგ ქალს შეგაბეროს,
მოგცეს ხუთი ვაჟიშვილი,
უცვალებელი ამყოფოს,
ნეფეო, შენი გვირგვინი.²³⁴

*

ნეფევ ღმერთმა გადღეგრძელოს

ნეფევ, ღმერთმა გადღეგრძელოს,
მოგცემოდეს ბედი კარგი,

ბევრი ხნა და ბევრი სთესო,
არა გქონდეს გულში დარდი.
მრავალი გაცემულობა,
პირზედ მოგდიოდეს ვარდი,
სამოთხისა კლიტე გქონდეს,
ქვეყნის სანატრელი ფარდი.²³⁵

*

გაიხარე და გამრავლდი,
როგორც აბრამი და სარა,
დილომში ნახნავი მოგცა,
მუხრანში აგელოს დალა.²³⁶

*

სიძეე გაქო, როგორ გაქო,
თეთრი სპილოს ძვალი გაქო,
თოფ-იარაღი გიხდება,
მხარ-ბეჭიცი ხომ კარგი გაქო.²³⁷

*

სიძემ გახსნა ქისაო,
თეთრი ფულისთვისაო
ქალმა ლოგინი გაშალა,
ფარჩა ატლასისაო.
შიგ გოგო და ბიჭი ჩაწვა,
ერთი ბუნებისაო,
კოხტა ბიჭი კოხტა გოგო,
ერთად შეათვისაო.²³⁸

*

ბავშვის დაბადება

მშვე შინა და მშვე გარეთა

მშვე შინა და მშვე გარეთა
მშვე შინ შემოდიო...
მელოგინე ვაჟის დედა
კარგა გვიმყოფეო.
მშვე შინა და მშვე გარეთა
მშვე შინ შემოდიო...

ვაჟის მამა ფარეხშია
მაკე ცხვრისთვისაო.
მზევე შინა და მზევე გარეთა
მზევე შინ შემოდის...
უყვივლია მამალსაო
მზეც შინ შემოდის.
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზევე შინ შემოდის.²³⁹

*

ნ ა თ ლ ო ბ ა

შენ, ჩემო ნათლიდედაო

შენ, ჩემო ნათლიდედაო.
შენ ჩემთვის რასა ბედამო.
დაქსოვე წინდა პაჭიჭი,
ჩახსაკრავები ზედაო.
შაკარ და გამომიგზავნე,
ახალწლის დილაზედაო,
თან ძღვენი განოატანე,
ისიც ხომ მოგვინდებო.
ახლა მე გამოგიგზავნი
რაც ტანზე მოგიხდებო.
ჩაიცვი და წამობრძანდი
აღდგომას წირვაზედაო.
ყველა ხალხს იქ დავინახავთ,
გუნებას ეამებო.
ღამიმტკიცე, მცირე იყოს,
ვიცი არ გეწყინებო.²⁴⁰

*

ჩვენი ნათლიდედა ამბობს:
ჩვენი სვინა მოეთრევა,
ხელსახოცი ხელთ უჭირავს,
ჩვენთვის რამ მოეჭონება.²⁴¹

•
ჩემი ნათლიდელის წყევლა
ჩემი ყურით გაჰმიგია.
მე მის წყევლა არას მიზამს,
თუ არ არის ბედის წერა.²⁴²

დ ბ ლ ო ც ვ ბ

აღლეგრძელოს ცის ნამი,
კაცის მარჯვენა, ხარის ქედი,
დედამიწის მოსაველი,
გუთანი და გუთნის ღვედი.²⁴³

•
თასი ვიგდე ხელსა,
ღმერთო შენა სწყალობდე,
სტუმარ-მასპინძელსა.
საკიდელი, საძირკველი
სტუმარი და მასპინძელი.
შეგეწიოთ ღვთის მადლი,
ცას ღრუბელით დამიმშვიდდიო
დედამიწის მოსაველით.
დედა კაცის ძუძუ-მკერდი,
საბძელი და კალო,
მარგილი და პალო,
ღმერთო, შენა სწყალობდე
აქა მბრძანებელსა.
გაუმარჯოს ოჯახს,
ოჯახის ანგელოზსა,
ჯამ-ჭურჭელს, მერე თაროსა,
იცოცხლეთ და იღლეგრძელებთ
ღმერთი შეგეწიოთ ყველას.²⁴⁴

•
დიდება ღმერთსა,
კიდევ დავლევ ერთსა.
ღმერთმა ყველას გაუმარჯოს,
სტუმარ-მასპინძელსა.²⁴⁵

ჯერ აღლეგრძელოს კერაო,
იმას უცქერის ყველაო.
მერე სახლის საძირკველი,
სტუმარი და მასპინძელი.²⁴⁶

*

ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში
ლხინსა და ლხინის სუფრასა.
ბიკების ქორწილობასა,
ქალების გათხოვებასა.²¹⁷

*

ამ ოჯახის
ოთხივ კუთხე.
მალა ღმერთო,
შენ აკურთხე.²⁴⁸

*

სახლო ღმერთმა აგაშენოს,
ჯამ-ქურქველო. მერე თარო.
შენცა გაიხარე ქალო,
სახლში კარგო პატარძალო.²⁴⁹

*

ამ ოჯახის კედელ კუთხე
საქართველო შენ აკურთხე.²⁵⁰

*

იცოცხლე და იღლეგრძელე,
არ გეწყინოს არაფერი.
ქალაქ სიონი გწყალობდეთ
მცხეთაში სვეტიცხოველი,
ღმერთმა ისიც გიღლეგრძელოს
ვისაც გადახვიო ხელი.²⁵¹

*

იცოცხლე და იღლეგრძელე,
მოგცეს ადამის ღღენია.
გაცოცხლოს ამიერიდან
ფრჩხალიც ნუ წამოგტკენია.
უწინ შენ მოგაკვლევინოს,
შენზე მოსული მტერია.

დაგიფაროს შიშისაგან,
შენ სახლში შიმშილისაგან,
დაგორებული ქვისაგან,
აღელვებული წყლისაგან,
ავი კაცის ვალისაგან,
კახბა ქალის შარისაგან.

გაცოცხლოს და გაღვებდეს
სანამ მინდორს წაეიდოდე
კურდღლებს თავს მოუყრიდე,
გავკრეჭდე და დავჩეჩავდე,
წმინდა პაპის დაფარავდე,
მოვქსოვდე და მოგართმევდე...
მანამდე ღმერთმა გაცოცხლოს.²⁵²

შენი ჭირიშე შენია,
სახლო ვინ აგაშენაო?
დერეფანი ვინ დაგიდგა
თარო ვინ დაგიშენაო? ²⁵³

•

უხალმა ღმერთმა შენ მოგცეს
ოჯახი საძარკელიანი.
ხარი-კამეჩი გუთნებით.
ურმები საესე, ძნიანი,
იმყოფებოდე ხალხ-მრავლად,
დედ-მამა-რძლიან-ძმისანი,
ლამაზი შიმოგეყვანოს,
მშეენიერი და ჰქვიანი.²⁵⁴

•

ძმა-ბიჭიჩი: სადღერქილო

ამ ჭიქას ხომ ლყორებთ
შუშისგან ჩამოსხმულია,
შიგ ლალის ფერი ღვინო დგას
ქვევრიდან ამოსხმულია.
ყვითლად იციო ძმა-ბიჭებო,
ჩვენ რისთვის ვართ აქ მოსული.

გიდღეგრძელოთ ყველა,
გიდღეგრძელოთ კერა.
მის შემყურე ყველა,
ჯამი, ჯამფილი, ქვაბი ქაფქირი.
საბძელი და კალო, მარგილი და პალო.
სახლი აგვესოთ შეილითა,
საბძელი შეილიშვილითა.
მე რომ ჯარში წამიყვანეს,
მგონი ათჯერ ამწონესა,
ჯერ თქვენ მშობლებს გაუმარჯოს,
მერე ყველა გამგონესა! 255

დაგლოცა პირმა ღვთისამა
ნაპირმა ბარძიმიისამა,
ცხოველმა ხატმა და ძალმა,
ქალაქში სიონისამა.
ის მცხეთის ჯვარიც გწყალობდეს,
ისიც კარგია ღვთის მადლმა! 256

მალალმა ღმერთმა დაგასწროს,
ქრისტე აღდგომის დღესაო.
ხელში გეჭიროს სანთელი,
უკან მისდევდე მღვდელსაო. 257

შენი სახელი მითხარი,
პეტრე ქვიან თუ ზაქარა,
ეგ შენი წუთისოფელი,
ღმერთმა კეთილად გატარა. 258

ჩვენს ეზოში ამოსულა
ორი ძირი ბროწეული.
ხალხო, ყველას გაგიმარჯოთ,
ვინც აქა ხართ მოწვეული. 259

გაგიმარჯოს, კამპანიავ,
არიგებავ, ჩარიგებავ,
მანამდის გწყალობდეთ ღმერთი,
სანამ იყოს თქვენი ნება. 260

ახალი სახლი დაგიღვავს,
დაგიხურია ფიქვიო —
ღმერთმა ყველა გაგიზარდოს,
გოგო იყოს თუ ბიჭიო.²⁶¹



საფერხულო ლექსები

ია მთაზედა თოვლიანზედა

ია მთაზედა, მთაზედა თოვლიანზედა,
ია დავთესე, ბიჭებო, ვარდი მოსულა.
ირმისა ჯოგი, ბიჭებო, შემოჩვეულა,
ნეტავ ეძვნათ, ეძვნათ, არ გაეთელათ.
სიძე-სიმამრი, ბიჭებო, მთას ნადირობდნენ
სიძემ ესროლა, ბიჭებო, მოკლა ირევი.
ახლა სიმამრმა ესროლა, მოკლა სახიძო.
შვილო მაკრინე, მაკრინე, ქმარი მოგიკალიო,
ქმარი მოგიკალ მაკრინე, თავს ნუ მოიკლავო.
— შენ მამაჩემო, მამაჯან, დარბაისელო,
შენ ჩემი ცოდვით, მამიჯან, არ მოისვენო.²⁶²



ღ ა თ ვ ო ო ბ ა

ჩაებმოდნენ ფერხულში 10—12 კაცი ხელი-ხელ ჩაკიდებული,
ამორჩევდნენ დათვს (ამ თამაშობას ქალები ასრულებდნენ ყვე-
ლიერში კვირიდან კვირამდის, ჩიტის ფაფობიდან ყუენობამდის),
ერთი მომღერალი ქალი წამოიწყებდა სიმღერას და სხვებიც აჰყე-
ვდნენ:

დათვო, დათვო, ჩვენო დათვო,
ჩვენო დათუნაო!
დათვი ხეზე როგორ ავა,
ჩვენო დათუნაო!
ტოტს შაიწევს ისე ავა,
ჩვენო დათუნაო!
დათვსა ცოლი ავათა ჰყავს,
ჩვენო დათუნაო!

დათვო, მკითხავს აკითხვინე,
ჩვენო დათუნაო!
დათვსა ცოლი კარგათა ჰყავს,
ჩვენო დათუნაო!
ქალსა ძუძუ მოუსინჯე,
ჩვენო დათუნაო!
ქალსა კოჭი გაუსინჯე,
ჩვენო დათუნაო!

დათვი წრეში ტრიალებს, ქალებს არჩევს, ვითომ კოქს უსინჯავს:

დათუნია კარგათ არის,
ჩვენო დათუნაო!
დათვო, ქალი აირჩიე,
ჩვენო დათუნაო!
რომელიც მოგეწონება,
ჩვენო დათუნაო!
დათვო, ძუძუ მოუსინჯე,
ჩვენო დათუნაო!

დათვი ქალს ირჩევს და წრეში ითრევს.

დათვო, ცოლი ათამაშე,
ჩვენო დათუნაო!
თუ ეგ ქალი აღარ მოგწონს,
ჩვენო დათუნაო,
ეგ გაუშვი, სხვა შაირთე,
ჩვენო დათუნაო! 263

შავლეგო

შავლეგო და შენ, შავლეგო, შავლეგო!
შავლეგ იყო კარგი ბიჭი, შავლეგო,
კარგი ტანად აგებული, შავლეგო,
შავლეგ ცხენსა მოაქენებს, შავლეგო,
ვიწროსა და ავსა გზასა, შავლეგო.
შავლეგს ცხენი წამოექცა, შავლეგო,
გუთნისასა ნაკვალევსა, შავლეგო,

თავსა აურქი წამოადგა, შავლეგო.
 დაჰკა თურქო თავი მოსქერ, შავლეგო,
 თუ გული გაქვს მამაციისა, შავლეგო,
 დაჰკრა თურქმა თავი მოსქრა, შავლეგო,
 დაიკიდა უნაგირსა, შავლეგო.
 შავლეგს დედა მოსტიროდა, შავლეგო,
 გაიშლიდა გიშრის თმასა, შავლეგო,
 — ჩემსა შალვას რა მოჰკლავდა, შავლეგო,
 თუ ღვინით არ დამთვრალაო, შავლეგო,
 შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
 გულდადარს აცვიო, შავლეგო და შავლეგო,
 შავლეგო.²⁶⁴

•

შავლეგ ჩამოხტა შავსა გრილოსა

შავლეგ ჩამოხტა შავსა გრილოსა.
 ომი მოგვიხდა, ომი რა ომი!
 ლეშის ნაყარი ხორათ დგებოდა,
 სისხლის ნაღვარი ზღვას ერეოდა.
 შუბის ნამტვრევი ცასა სწვდებოდა! ²⁶⁵

•

მუხა წანწალებს, წანწალებს

მუხა წანწალებს, წანწალებს, გადიქცეოდაო.
 მუხისა ნასადგომარზე,
 წყალი დგებოდაო.
 — წყალი რა წყალი ბიჭებო?
 — წყალი იორიო.
 — შიგ რა ბუდობდა, ბუდობდა?
 — თევზი კალმახიო.
 — იმას რა უნდა, რა უნდა?
 — დაჰქერა უნდაო.
 — რითა და რითა ბიჭებო?
 — ხორხილ ბადითაო.
 — იმას რა უნდა, რა უნდა?
 — გამოწვლა უნდაო.

- რითა და რითა ბიჭებო?
- ალმას დანიტაო.
- იმას რა უნდა, რა უნდა?
მოხარშვა უნდაო.
- რითა და რითა ბიჭებო?
თანგირ-ქვაბითაო.
- იმას რა უნდა რა უნდა:
 ამოყრა უნდაო.
- რითა და რითა ბიჭებო?
- ქაფქირეპითაო.
- იმას რა უნდა, რა უნდა?
- მირთმევა უნდაო.
- რითა და რითა ბიჭებო?
- ორი ხელითაო.²⁶⁶

ავთანდილ გადინადირა

ავთანდილ გადინადირა,
 ქედი მალალი მთიანი,
 ვერც ხარი შოკლა, ვერც ფუერი,
 ვერცა ირემი რქიანი.
 ნახტომსა შველსა ფერდში ჰყრა,
 ისარი ორბის ფრთიანი.
 ჩამოხტა ხისა ძირასა,
 ცეცხლსა დაანთო ძლიერი.
 დაჯდა დათლა შამფური,
 მწვადი ააგო ცვრიანი.
 სანამ მწვადი შაიწოდა,
 ცხენსა მისცა საძოვარი.
 ცხენმა კაცი დაინახა,
 შორი გზიდან მომავალი.
 შეხტა ცხენი შეშქიხვინა:
 — იგი კაცი ავი არის. —
 მეჩინიბეს დაუძახა:
 — ლურჯა მომგვარეთ ჩქარადა. —
 გავაზე ხელი გადუსვა,
 ზედ წამოახტა მარდათა.

მინდორი გაარბეინა,
მიწრონი უფრო ჩქარადა.
უკუ იხედა მისდევდნენ,
ის ურჯულონი ჯარადა.
ერთი სროლით ასი მოკლა,
ერთი გადურჩა შავადა.
ერთი იმანაც ესროლა,
სისხლი წავიდა ღვარადა.
დაჯდა დაწერა ქალაღდი,
მტრედს გამოაბა მხარადა:
— ეს დედაჩემსა მიართვი,
ველარ მოგივალ ჩქარადა.
ის შენი თეთრი მანდილი.
ჩემზე წაღებე შავადა.
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი,
ღვდელს მიეც საწირავადა.
ეგ ჩემი ცოლი ისეთ კაცს მიე,
მე მჭობდეს თვალადტანადა.
ის ჩემი ციხე ქალაქი
თან გაატანე მზითვადა.²⁶⁷



მოდო ვნახოთ ვენახი

მოდო ვნახოთ ვენახი,
რამ შექამა ვენახი?
მიველ ვნახე ვენახი,
თხამ შექამა ვენახი.
მოდო ვნახოთ თხა!
რამ შექამა თხა?
მიველ ვნახე თხა,
მგელს ექამა თხა.
მოდო ვნახოთ მგელი,
რამ შექამა მგელი?
მიველ ვნახე მგელი,
დათვმა სქამა მგელი.
დათვმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შექამა
მოდო ვნახოთ დათვი,
რამ შექამა დათვი?

მიველ ვნახე დათვი,
თოფმა სჭამა დათვი.
თოფმა დათვი, დათვმა მგელი, მგელსა თხა, თხამ
ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ თოფი,
რამ შეჭამა თოფი?

მიველ ვნახე თოფი,
ქანგმა სჭამა თოფი.

ქანგმა-თოფი, თოფმა-დათვი, დათვმა-მგელი,
მგელმა-თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ქანგი,
რამ შეჭამა ქანგი?

მიველ ვნახე ქანგი,
მიწამ სჭამა ქანგი.

მიწამ-ქანგი, ქანგმა-თოფი, თოფმა-დათვი,
დათვმა-მგელი, მგელმა-თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ მიწა,
რამ შეჭამა მიწა?

მიველ ვნახე მიწა,
თაგვმა სჭამა მიწა,

თაგვმა-მიწა, მიწამ- ქანგი, ქანგმა-თოფი,
თოფმა-დათვი. დათვმა-მგელი, მგელმა-თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ თაგვი,
რამ შეჭამა თაგვი?

მიველ ვნახე თაგვი.
ციცამ სჭამა თაგვი.

ციცამ-თაგვი, თაგვმა-მიწა, მიწამ-ქანგი,
ქანგმა-თოფი, თოფმა-დათვი, დათვმა-მგელი,
მგელმა-თხა, თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ციცა.
რამ შეჭამა ციცა?

მიველ ვნახე ციცა,
ტურამ სჭამა ციცა.

ტურამ-ციცა, ციცამ-თაგვი, თაგვმა-მიწა, მიწამ-
ქანგი, ქანგმა-თოფი, თოფმა-დათვი, დათვმა-
მგელი. მგელმა-თხა. თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი ვნახოთ ტურა,

რამ შექამა ტურა?

მიველ ვნახე ტურა,

მელამ სქამა ტურა.

მელამ ტურა, ტურამ-ციცა, ციციამ-თაგვი, თაგვამ-
მიწა, მიწამ-ქანგი, ქანგმა-თოფი, თოფმა-ლათვი,
დათვმა-მგელი, მგელმა-თხა, თხამ ვენახი შექამა.

მოდო ვნახოთ მელა,

რამ შექამა მელა?

მიველ ვნახე მელა,

ძალმა სქამა მელა.

ძალმა მელა, მელამ-ტურა, ტურამ ციცა, ციციამ-
თაგვი, თაგვამ-მიწა, მიწამ-ქანგი, ქანგმა-თოფი,
თოფმა-დათვი, დათვმა-მგელი, მგელმა-თხა, თხამ
ვენახი შექამა.²⁶⁸

გოგონა და რა გოგონა

გოგონა და რა გოგონა — ჰეე

გოგონასა ვინ არ იტყვის, ჰეე.

ჩვენი მოგონილიაო — ჰეე,

გოგონა და რა გოგონა — ჰეე.

— გაღმიდან თეთრი თხა სძოვდა.

ვამოდმა ფერდულ გიშერი.

— მე იმას მარტო ვერ მოვკლავ,

თუ შენ არაფერს მიშველი.

გოგონა და რა გოგონა ჰეე.

ლამაზმა სთქვა: — ჩემი ქმარი...

გულით არა მყვარებია — ჰეე!

არც ლაშქართ წასვლა მწყენია,

არც მოსვლა გამხარებია — ჰეე!

გოგონაა, გოგნი-გოგო!

ჩამოვიდეს მოთამაშე — ჰეე.

დადგეს მოედანზედა,

გოგონა, გოგნი-გოგო!

გენაცვალე გენანე, შენი თავი მე მამე!

გოგონა გოგნი-გოგო.

პატარძლეულის გორასა ჰეე.

გამოუთხრიან ძირსა,

გამოიყვანენ ლამაზსა,

ცრემლით დაბანენ პირსა.
გოგონა-რა გოგონა,
გოგონა — გოგნი-გოგო!
გენაცვალე წამიყვანე, ჰეე.
სიყვარული ძნელია.
გოგონა — გოგნი-გოგო,
ნუ აპყვები ქვეყნის კორსა.
ყველა ჩვენი მტერია.
გოგონა, გოგნი გოგო, ჰეე!!!²⁶⁹

თუშის ქალმა დამბატიყა

თუშის ქალმა დამბატიყა,
თუშის ქალი მეო.
ლურჯი სუფრა გამიშალა,
თუშის ქალი მეო.
საღვინით ღვინო დამოდგა,
თუშის ქალი მეო.
დალია დამალევეინა,
თუშის ქალი მეო.
მადღეგრძელა,—ვაღღეგრძელე,
თუშის ქალი მეო.
თუშის ქალი თუშმაშუშა,
თუშის ქალი მეო.²⁷⁰

ესო და მესო

ესო და მესო,
მელა ჩიოდესო.
მონადირეები მოდიან
გამომაფრინესო.
სოროს შემაგდესო,
შეშომიბოლესო,
კარი ჩაკეტესო,
შიგ ამამახრჩესო.
მეორე დილა გათენდა,
კარი გააღესო,
კავი შემოყვესო,

გამამათრახესო,
მარხილ დამიდესო,
ქალაქ წამიდესო.
ამატარეს, ჩამატარეს,
ფასი ვერ დამდესო.
ერთმა ვაჟარმა მიყიდა,
ქათიბ გამხადესო,
ქალსა ჩამაცვესო,
ქორწილს წამიდესო,
ჩამათამაშესო,
შაბაში მომცესო.²⁷¹

ბანზე ხორბალი გაეფინე

ბანზე ხორბალი გაეფინე
გასაშრობათაო,
ჩიტი მოვიდა, აკენკა
შესაჰმელათაო,
ავიღე კენჭი, ვესროლე
მოსაკლავათაო.
ყასბისა დანა ვითხოვე
დასაკლავათაო,
მელიქის ქვაბი ვითხოვე
მოსახარშათაო.
მელიქის ჩამჩა ვითხოვე
მოსახარშათაო,
მელიქის სინი ვითხოვე
დასასხმელათაო,
სულ ქალაქი დავბატიყე
შესაჰმელათაო,
ადაფხანა ვერ ვიშოვნე
დასაჯდომათაო.²⁷²

ყველა წმინდა ხეთისმშობელი,
მალა სერზე ასვენია.
ყველა ნადირი იქ მიდის:
ვეფხვი, ირემი, შველია.

ღათვის რაღა მიჰქუნილებს?
ვაი, რა შიში ძნელია!²⁷³

საბავშვო თამაშობანი

გათყლა

ონი, ონი კაპიტონი,
დელიცკონი ნაპრიკონი.
იიშკი ბიშკი,
წაკალუკი ვიდი ონ.²⁷⁴

უგმა, უგმა ბარბარუკა,
სამარ ხიდურ,
საჯურ გედურ
აბულბულდი ჩახტი გეთურ.²⁷⁵

იწილო, ბიწილო,
შროშანო გვრიტინო.
აღხო შალხო
ჩიტმა გნახოს
შენი ფეცევი,
ფესუმან დუკი,
აჭექ, ჩაჭექ,
ნეფევე დაჭექ.
პატარალო ფეხზე დადექ.²⁷⁶

წითელი ვაშლი ვის უნდა,
შენ თუ მე, შენ დაიხუქე.²⁷⁷

კომში, კომში კომარა,
კომში გადმომიყარა.
თინამ დაკლა ქათამი,
არ მაჰამა ბარკალი,
უი, იმას გაუწყდეს,
კრუხ-წიწილა-ქათამი.²⁷⁸

•
ყველიერში ყველი ვკამე,
აღდგომასა ჩიტები,
ძალუაჩემს დაუზრდია
ქოჩრიანი ბიჭები.²⁷⁶

დოლ-დოლ მიაა,
ახჩა ახჩა ჩაია.
თევზი მითალ მოთალე,
ყალია და ყალაბოჩი.²⁸⁰

•
ბრინჯი, ბრინჯი დავითა.
კოხტა ქალი წაიქცა.
ერთი უნდა მეკოცნა,
წამოხტა და გაიქცა.²⁸¹

•
აჩუ, აჩუ ცხენო,
შე კუდ მოსაქრელო.
იარალი ვერ გიშოვნე
საით გაგაქენო?²⁸²

•
ს უ ფ რ უ ლ ი

სმა უმღერალი არ ვარგა.
ვაუკაცი დაუთრობელი,
არც ქალი ვარგა გამწევი,
სიტყვის ხმა-მადლა მთხრობელი.²⁸³

•
მასპინძელო შემკობილო,
მარნის კარი გიჭრიალებს,
გამოგვიტა ყურძნის წვენი,
პირიც ჩაგვიმაჭრიანე.²⁸⁴

•
თუ მასპინძელი მოილხენს,
სტუმარსაც მოუღბინება,
- თუ მასპინძელი არ ღბინობს
სტუმარსაც მოეწყინება.²⁸⁵

ლხინო, ლხინს გამოგიგზავნა,
ვარდო, გამლილო იაო,
ნეტავი გამაგებინა,
გულში რა ჩავიდევიაო.²⁸⁶

•

მოდო, თუ მოსასვლელი ხარ.
მომწყინდა შენი ლოდინი,
ან კარში გამომიტანე,
ან შინ დამიგე ლოგინი.²⁸⁷

•

აფრიინდა ქორი, წავიდა,
არაგვი ჩაინადირა.
მცხეთას წიწილას დაეცა,
ავქალას ბური აღინა.^{1.288}

•

პურსა სკამენ და ლვინოს ჰმენ
სიმღერას არ იტყვიანო.
არ ვიცი არა სწადიანთ,
არ ვიცი არ იციანო.²⁸⁹

•

წასვლა სჯობს წამავალისა,
არ დაყოვნება ხანისა.
კოცნა სჯობს თეთრი ქალისა,
ჩახვევნა შაგვრემანისა.²⁹⁰

•

გაფრინდი შავო მერცხალო,
დაჰყე ალაზნის პირსაო.
ომი არ გაუჭირდება,
კარგი დედ-მამის შეილსაო.²⁹¹

•

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს,
აღება ღამეს ლვინოსა.

¹ მეორე ვარიანტი იწყება ასე:

„ღუშეთში ქორი აფრინდა.
არაგვი ჩაინადირა...“

პური სკამოს და წყალი სოს,
დაწვეს და დაიძინოსა.²⁹²

•

ბიკმა რა იცის გოგოსი,
რა იმას უგდებს ყურსაო,
მაგრა მაიქერს სარტყელსა,
სამ დღეს არა სკამს პურსაო.²⁹³

•

ისე ვისწავლე ფშაური
არ დამხარჯენია შაური.²⁹⁴

•

თუ გინდა კიდევ ვიმღეროთ,
თუ გინდა გავათაოთო.
თუ გინდა ჩხაზე დავკიდოთ,
თუ გინდა გავატყაოთო.²⁹⁵

•

ასწიე ყანწი

ჰა, მოილხინეთ, არ მოიწყინოთ,
ასწით და დასწით ქართული ყანწი,
ასწი გადაჰკა, ნუ გწყდება წელი.
ჰა მივაჯახოთ მოჰკიდე ხელი.
ქალო ლამაზო, აქეთ მომხედე.
კოცნას გიპირებ, შენს ღმერთს შეხედე.²⁹⁶

•

ვაჰ, შენ ჩემო თეთრო ბატო

ვაჰ, შენ ჩემო თეთრო ბატო,
ვინ წაგიღო, ან სად დაგდო?
ორთავ ხელები გაუხმეს,
ვინც რომ დაგკლა, ქვაბში ჩაგდო,
ამოგიღო, სინზედ დაგდო,
ასო-ასო დაგკრა ბატო.²⁹⁷

ბატო, ბატო, თეთრო ბატო,
ეხლა რაღა მოგიმატო?
ეგ ბუმბული მაინც მამეც
ეს ოხერი თავი დავდო.²⁹⁹

*

ჩვენი მტერი შესწრობია
დოლათ ქედზე მაყრობასა.
არაყში ღვინოს გვირევენ
გვიპირობენ დათრობასა.
თან მათრახსაც ამზადებენ
გვიპირებენ დატყვრომასა.²⁹⁹

*

ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ

ჩაუხტეთ და ჩაუხტეთ ბარათაშვილსა,
მოვსტაცოთ და მოვსტაცოთ წამოვიყვანოთ,
თვალ-ქუეყუნ და თვალ-ქუეყუნ, თეთრი ქალია
მოგვდევედა და მოგვდევედა ჩემი სიდედრი.
— სად მიგყავთ და სად მიგყავთ ჩემი ქალია?!
— გაბრუნდი და გაბრუნდი ჩემო სიდედრო,
არ არის და არ არის შენი ქალია.
ლამაზ ქალს და ლამაზ ქალს,
ვაჟი ჰყოლია,
ვეწვივნეთ და ვეწვივნეთ ძეობაშია.³⁰⁰

*

ან ღვინო გვასჯი ან წყალი,
ან თოვლი შემოგვიტანე.
ან შინ დაგვიგე ლოგინი,
ან გარეთ გამოგვიტანე.³⁰¹

*

დილით ოქრო ხარ, სტუმარო,
სალამოს ვერცხლათ იქცევი!
თუ მეორე დღეს იქ დარჩი,
სპილენძათ გადაიქცევი!³⁰²

სტუმარო, შენი სტუმრობა,
მე გულში არა მდებია.
არცა მქონია დაფქვილი,
არც გამომცხვარი მდებია.³⁰³

მასპინძელ კარგა მასპინძლობს
გულითა მხიარულითა,
ახალი ჩექმა გაცვითა
მარანში სიარულითა.³⁰⁴

კაცმა კაცი დაჰპატიოს,
დაჯდეს და უნადიმოსა,
ტყუილ ჩაუელის ამაგი,
თუ კი არ ასმევს ღვინოსა.³⁰⁵

ღვინოვ შენა ხარ, შვება და ლხენა,
შენგან არ მახსოვს არცერთი წყენა,
ღვინოჯან ღვინო!
ქვეყნის გვირგვინო!
სუფრას დადგმულო დამშვენებულო.
ლამაზ ქალივით თავშენახულო,
მუდამ შენ განტრობ,
ღვინოჯან ღვინო.³⁰⁶

ერთხანს მიყვარდა,
სუფრა გაშლილი.
ზედ თეთრი პური,
დანით დაჭრილი,
კახური ღვინო,
ქიქას დასხმული.
ცხელ-ცხელი მწვადი,
შამფურს ასხმული.³⁰⁷

შენი ჰირიმე შენია,
მოდო მომხვიე ხელია,
პატარა კიდევ დამისხი
რომ ჩავისველო ყელია.³⁰⁸

კახურო ღვინოვ წითელო
ზედ მოქედილო კულაო.
პილპილით შენელებულო,
როგორ დაგლიო სულაო.³⁰⁹

გოგიასა გოგიასა,
ქავქავაძე გოგიასა.
სამი ძირი ვაზი ედგა,
ქავქავაძე გოგიასა.
ნეკერჩხალზე აგებული.
ისიც ჩიტმა შეუქამა
გოგი დარჩა მოწყენილი.³¹⁰

აგრილდა და გამოვიდა,
მელაშვილი ტყიდანაო.
მელაშვილო კიბღერაო
ვინ გასწავლა სიმღერაო? ³¹¹

იცი რა ძლიერ მიხარის,
შენი აგრე მალე გაზრდა.
ჯერ წვერი არ ამოგსელია,
ულვაშები დაგეზარდა. ³¹²

ვინც რომ კაცია,
ჩოხა აცვია.
ქუდი ნაბდისა,
ჩაბალახისა.³¹³

მორიელისა ნაკებნი
ძალიან გაგიაედება.
იმის წამალი ვიცოდე,
დაგადებ დაგიამდება.³¹⁴

ბრძენთა თქო, კაცთა სოფელთა,
სადაც გაზრდილხარ, ვაითუ უბანოა დაქვე?³¹⁵

შენი გვირგვინი მენახოს,
წითელი ლალის ფრიანი.
უკან მოგდევდნენ მაყრები,
თოფიანი და ხმლიანი,
მეც უკან მოვჩანჩალებდე,
ჩემი სტვირ-ქამანჩიანი.
ფულები ბევრი ამელოს,
ჯიბეს გაჰქონდეს ჩხრიალი.³²¹

*

— ვაი შენ, ჩემო ქამანჩა,
ვერ მოგიყვანე ჰკუასა.
საცა სოფელში გავივლით,
ყველა გვეტყვიან უარსა.
თუ კიდევ გამომაჯავრებ,
დაგარტყამ ცულის ყუასა.
— ვაი შენ ჩემო პატრონო,
შენ ჩემოდოლა რა იცი,
სხნილში გაქამე სახსნილო,
მარხვით გაქამე ჩამიჩი,
წინდები და ქალამნები,
ჩემი წყალობით ჩაიცივი.³²²

*

დამესხენ ჩემო პატრონო

— დაუკა ჩემო ქამანჩა,
ტბილად დაიწყე ლილინი.
განა იმისთვის დაგასხი,
ეგ შევერცხლილი მძივები.
თორემ ისეთ ალაგს დაგდებ,
წინ და უკან გჰამდეს ჩრჩილი.
— დამესხენ ჩემო პატრონო,
ჩემი ამბავი რა იცი.
მე რომ ხელში არ გეჭირო,
შენ მუშაობა რა იცი?
წყვილი წინდა და პაჭიჭი,
ჩემი წყალობით ჩაიცივი.³²³

ჭაბახმელელმა ქალებმა

ჭაბახმელელმა ქალებმა.
ეს რა საქმე ქნესო.
სტირი მე დამაკვრევენეს,
თვითონ იტლინკესო.
სტირის გულდა დამიხიეს,
.....ჩაიცვესო.³²⁴

მაშო, მაშო,
მინდა გათამაშო.
ვინძლო კარგა ითამაშო,
არ ღაიშამათო.³²⁵

ბოდორნელო საზანდარო

ბოდორნელო საზანდარო,
მადლი ახსენე ხეთისაო.
საქმეები გაასწორე,
ცოცხლებისა და მკვდრისაო.³²⁵

დაუკარ ჩემო ქამანჩაე

დაუკარ ჩემო ქამანჩაე
პირში არ გიდევს ავშარა.
აქამლის კარგათ უკრავდი
ახლა რა ღმერთმა შეგშალა? ³²⁷

ვაიმე დედა ფეხები

ვაიმე დედა ფეხები,
ტყეში დავეხეტები.
ნეტავ მომცა ვირი,

შეეკდები და ვივლი.
ტყისა ბოლოს რომ გავედი,
მგელს დაელო პირი.
ისიც მგელმა შემიკამა,
დავჩეჭი და ვტირი.
ტირებით რომ დავილაღე
მომრეოდა ძილი.
მოსულიყო ვილაც კაცი
მოეპარა სტვირი.
ჩემი სტვირის მამპარავსა,
გაუსივდეს ცხვირი.
დღეის სწორამდე მენახოს,
იმის ცოლი ქვრივი.
ჩემი ძმისთვის მომეყვანოს,
გამეჩინოს ლხინი.
მზითებში გამოჰყოლოდეს
ჩემი კრელი სტვირი.³²⁸

ეო, მეო

— ეო, მეო, შვილო დიმიტრეო.

წმინდა გიორგის კარები,
როგორ გააღე?

— ხელი შევყავ ვაჩხაყუნე

კლიტე გავტეხეო.

ფანჯროდან გადავიხედე

დიდი მგელი წევსო.

ძროხა იმას შეიკამა

ზბო იძახის „მეო“.

ხანულობა გადავაგდოთ
რაღათ გვინდა ქდეო.³²⁹

მომეწყინა მეცხვარობა,

ლალვა შავი ხარებისა.

სტვირის დაკვრა კარგი ვიცნ.

თამაშობა ქალებისა.³³⁰

დილის ნიავი ხარ

დილის ნიავი ხარ,
ადრე ადგები,
ყურთმაჯს შაიყრი,
ბანზე დადგები.
რომ გათხოვდები,
მაყრათ გაგყვები,
შენ ტაშს დაუკრამ,
მეც ხომ აგყვები.³³¹

•

აქ საზანდარი მოსულა,
რა გვაქვს რა გაუტანოთო?
შვიდი წლის ნაქერივალი ვარ
ჩუმზე ალაგზე დამაქვსო.³³²

•

ერთმა ქალმა დამპატივა
გამიკეთა ხავიწი.
კოკლი გოგო ათამაშეს
იმის ცოდვით დავიწვი.³³³

•

მესტვირისა გუდა გაქრეს

მესტვირისა გუდა გაქრეს,
მონადირის დარჯანო
ვენაცვალე გუთნისდელას,
მზუცელი აქვს მაძლარიო.³³⁴

•

ხორველა

სუ წინა, წინა ხორველა,
ჭაქოში გაჩნდაო.
სულ ერთიანად გასწყვიტა,
სომხების ფარაო.

ორი კაცი გადაურჩა,
გამოეპარაო.
წამოეწია ხორველა,
ორთავე მოკლაო.
დაღონებული ხორველა,
გზას იქიდან გადავიდა,
ქვაზე ჩამოჯდაო.
მაჩხანური ურმები, შორს დაინახაო.
ბერიკაცად მეჩვენა ურემს შეუხტაო.
საწყალი მეურმეები, სუყველა მოკლაო.
იმათი შოლტი და სახრე,
ხორველას დარჩაო.³³⁵

სოლომონ ბრძენი და კუნბულელი

დიდება და მადლი ღმერთსა
ნეფე წყლის პირს ჩამოხტება,
მებაღურმა ბადე უგლო,
სამი თევზი გამოჰყვესა.
თევზი ტაფაში ჩაყარეს,
ტაფა ცეცხლზე შემოდგესა,
შეწომა რომ დაუსრულდა.
აიღეს და ძირს დადგესა.
— რიგით მოეყვეთ სამართალსა
პირველობა მეფეს ხვდესა!
— ჯერ ზომ მქვიან სოლომონი
მერე მეძახიან ბრძენსა.
ერთი კაცი ბნელ ღამესა
მოდოდა ჩვენს საწოლსა.
ხელს ეჭირა ოქროს ბურთი
ანათებდა ბნელ ღამესა.
თუ ეს სიტყვა მართალია
ჩემი თევზი გაცოცხლდესა. —
გაცოცხლდა და ზღვას შესცურდა
ტაფას ორი თევზი ძვესა.
— რიგით მოეყვეთ სამართალსა,
ახლა ნაზირ-ვეზირ ხვდესა! —

ვეზირი წამოუჩოქებს,
 ეტყვის გულის პასუხებსა:
 — დღეში შეიღჯერ ამას ვიტყვი
 მოდი მოვეკლავ სოლომონსა.
 დედოფალი მე დამრჩესო,
 მერე ეშმაკს შევაფურთხებ,
 გავისტუმრებ ცარიელსა.
 თუ ეს სიტყვა მართალია
 ჩემი თევზი გაცოცხლდესა. —
 გაცოცხლდა და ზღვას შეცურდა,
 ერთი ისევ ტაფას დევსო.
 — რიგით მოვეყვით სამართალსა
 ახლა დედოფალსა ხედესო! —
 შიშითა და ჭირცხვილითა,
 დედოფალი შეწუხდესა,
 გულზე ასხმენ ვარდის წყალსა,
 აფიცებენ მამის მზესო.
 — სოლომონო თავი მოგჭერ,
 გიღალატე საბან ქვეშო.
 თორმეტი წელიწადია,
 ვყვარობ კუნწულ ხელმწიფესო
 ჰანში რომ მთვარე ჩამოვა,
 კუნწულელი ჩამოჰყვესო.
 ავიდეს და თან აჰყვესო.
 თუ ეს სიტყვა მართალია,
 ჩემი თევზი გაცოცხლდესო! —
 გაცოცხლდა და ზღვას შესცურდა.
 ტაფა ცარიელი რჩესა.
 სოლომონმა ბედნიერმა,
 ფიცხლავ ჯარი აჰყაროსა.
 დარბაზში რომ დაბინავდეს.
 მეჭლისობა გამართოსა.
 სულ დაჰპატიჟა გლეხები,
 თან ეძახის თავადებსა.
 კუნწულელიც ხომ მობრძანდა,
 ზემო თაროზე დასვესა.
 სოლომონი ბედნიერი,
 სიტყვას მოჰყვა განსაცდელსა:

— ერთი სპილენძის კოკა მაქვს.
 მიბარია მემამულესა.
 ვინც იმას საყმოდ გააყვებს
 დედოფალი მას დარჩესა.
 წამოფრინდა კუნწულელი,
 — სიტყვას ვესწარ სანატრელსა, —
 ქოშებსაც აღარ იგონებს,
 ფეხშიშველი გარბის კარსა.
 კუნწულელი სიხარულით
 ლამის არის გაგიჟდესა.
 კუნწულელს ასე ეგონა,
 დედოფალი მას დარჩესა!
 იმან რა იცის ოხერმა,
 თავის თავიც ოხრად რჩესა.
 — სულ აქ მოდით ჩემო ყმებო,
 გაჭირვება არის დღესა, —
 მოდიან ბერი კაცები.
 მოაბჯენენ ყავარჯნებსა,
 მოდიან დედაკაცები,
 მოათრევენ კაბის ძველსა.
 შვიდი დღე და ღამ იარეს.
 კოკას ყელში დააკლდესა!
 — კუნწულელი შიგ ჩაჯექი,
 დედოფალი ჩამოგყვესა. —
 კუნწულელი რომ ჩაბრძანდა.
 დედოფალი მოსწყვიტესა,
 თავს ზარფუში დაათარეს.
 წაიღეს და ზღვას მისცესა.
 ღმერთმა დასწყევლოს მეთევზე,
 მეჩანგლევ და მებადეცო.
 მებადურმა ბადე სტყორცნა,
 კოკას ყურში გამოსდებსა.
 — ამხანაგო მომეშველე,
 კარგი სარჩო არის ესა. —
 ერთმანეთს ეუბნებოდნენ:
 — დაიცა, ცოტა დაღამდესა.
 აქ იმდენი დოვლათია,
 შვილ გვეყოფა შვილიშვილსა! —

კოკა რომ გამოათრიეს,
კოკას პირი მოხადესა:
ეშმაკები გამოცვივდნენ
მებადური შექამესა,
ზოგი ტყესა ზოგი ღრესა,
ზოგი წყალში ჩაცვივდესა.
ზოგი გზაზე ამოვიდნენ,
გზის ეშმაკად გადიქცესა.³³⁶

*

ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
შორით მოქრილო მსხლისაო.
მამაჩემისა გათლილო,
პაპაჩემისა ხნისაო.
დაუკა, ჩემო ჩონგურო,
დასძახე სუფთა ხმითაო.
დაუკა, თორემ დაგამტვრევ,
სულ თავს გიძიქკავ ქვითაო.³³⁷

*

ჩონგურო, ჩემო ჩონგურო,
გამართულო ლარებშია,
კვირა დილა გათენდება,
გამოგიყვან ქალებშია.³³⁸

1

უოთხ-ცხოვრების ამსახველი
ლექსები

ბატონეობა

საწყალი კაცის ცხოვრება

საწყალი კაცის ცხოვრებას
არ უნდა ბევრი ხაიალი.
უღელი ხარი ეყოფა,
ორიოდ ძროხა რქიანი,
ათიოდ ცხვარი იყოლოს,
ხუთიოდ თხანი რქიანი
ცოლი შეირთოს მშრომელი,
პატიოსანი ზნიანი.
თითონაც იყოს მუშაკი,
ცოლშვილთმოყვარე ჰქვიანი.
მეზობელ-ნათესავებთან,
ხათრიან-თავაზიანი.³³⁹

*

ჩვენსა ღვდელსა ვთხოვე პური

ალალი და ალალ მაქო,
დიღმის მინდორს ყანა მაქო.
შიგ მუშები მიყენია,
ლუკმა პური არა მაქო.
ნეტა საით რა ვიშოვნო
ჯღანები ძლივას დამაქო.
ერთი კოდი ქერი მქონდა,
ისიც ბატონმა წამართო.
ჩვენსა ღვდელსა ვთხოვე პური,
მას ჰგონია ძნა არ მაქო.
იქით კვირას კალოს ვლეწავ
იმის იმედილა მაქო.³⁴⁰

მთლად ღარიბი არ გეგონო

მთლად ღარიბი არ გეგონო,
მიწაცა მაქვს ერთი ქცევა.
შიგაც ერთი სახლი მიდგა,
წიხლი რომ კრა წაიქცევა.³⁴¹

*

ჩირდილგლო მოურავო,
ქორბუდიანო ხარაო.
შეყარე ჭირურტ ებნისი
ჩარეკე ოსებთანაო
კაცი კი არავინ მოკლა.
თავს არ დამადო ღალაო.³⁴²

*

თათარსა თარაქამასა,
ცხვარი ჰყავს მეტის მეტა.
იმას არავინ წაართმევს,
თავის ბატონის მეტია.³⁴³

*

მაცა შვილო დამაცადე,
მაცა მამაშვილობასა.
კოდი პური თუმნად არის,
ვიღა იტყვის ძვირობასა?³⁴⁴

*

ქართლია დიდი სოფელი.
თოვლს დასდებს აღარ აიღებს.
რაც მოსაველი მოუვათ,
იმას ბატონი წაიღებს.³⁴⁵

*

ეხლა დადგა იანვარი,
ყინვა ჩამოვარდა გრძელი.
წისქვილები დაგვიყინა,
აღარა გვაქვს ფქვილის მტვერი.
ყმაწვილები დაწიოკდნენ.
რომ ჩაუსო ცეცხლა კვერი.³⁴⁶

*

ეს ოხერი სიღარიბე
რა ჩემზეა ასეული.

საცა წაველ თან გამომყვამ,
ფარაჯაში გახვეული.³⁴⁷

მე რომ წყალი მოვიპარე,
განა ცოტა მოვიპარე.
ნახევარი წავეყვანე,
ზედ მერუვებმა მომასწრეს,
მე ბოლოში დავიმალე.
— რადგან ახლა ბალი მოვრწყე.
გინდ ციმბირში წამიყვანეთ
რაც გინდოდეს ის მიყავით
თქვენს ნებაზე წამოყვანეთ.
გინდა ნარბევი წაიღეთ,
მაგ დუქანში მიიტანეთ.³⁴⁸

აქამდის აზნაურები,
უწრუწუნებდნენ ქორსაო
ეზლა კი მათი ცოლები.
ჰალას დასდევენ ღორსაო.³⁴⁹

პეტრე ბატონის ლექსი

გიორგობის მთვარე დადგა
დაიჭირა ავი დარი.
ქალები ამას ამბობენ,
ჩვენ ქმრებსაც დაუდგათ თვალი.
პეტრე ბატონის შიშისგან,
ვერ მოგვიტანია წყალი.
თითო-თითოს მოგვიტაცებს,
როგორც რომ მინდორში ცხვარი.
თურჴე ამ ყიყვიან გულას,
ჰყოლია ლამაზი ქალი.
ფისიკაანთ ქორწილშია,
როსტად დაუხურავს თავი.
პეტრე ბატონი იქ არის,
ამ ქალს გადაავლო თვალი.
ფიცხლავ გულა დაიპარა,

აჩუქა წითელი ხარი.

— ათ თუმანსაც ეხლა მოგცემ,
იმით გადაწყვიტე ვალი.
მოურაობას შენ მოგცემ,
ჩაგაბარო მთა და ხარი.
ოლონდ გულაჯან ერთ კვირას
მაშეცი ეგ შენი ქალი.

— წაიყვა პეტრე ბატონო,
როგორც შენი ნება არის. —
სიმამრს ნაბადი დახურა,
სიდედრს წამოასხა შალი.
თურმე ამ ყიყვიან გულას
ქალაქს დაუნიშნავ ქალი.
დანიშნულმა რომ გაიგო,
წინალამ მოიკლა თავი
სამი ბიჭით წამოვიდა
დილომს დაიპარსეს თავი,
მიუხდა სიმამრს კარებზე
მაშინვე იხმარეს ძალი.
რა იციან ამ საწყულებმა
პეტრე ბატონს უწევს ქალი.
ბატონი კარებში იღვა
ხელში აქვს თავისი ხმალი
სასიძო ზომზე მიაკრეს,
სამგან გაუტეხეს თავი.
ქალი ტახტზე მწარეთ სტირის:
— ნუ დამწვით და ნუ დამდაგეთ
ნუ მომიდეთ ცეცხლის ალი
იმდენი მაინც აცალეთ
ქალაქს ჩაიტანოს თავი!.³⁵⁰

*

გადადიან გალავანსა,
გადაჰყრიან წალამსო.
შავლენ და გამოიყვანენ
აზნაურის ქალსაო.³⁵¹

¹ ეს ლექსი ასახავს ვეძისელი მებატონის პეტრე შიოთაღაშვილის ამბავს, რომელიც სიუჟეტად დაედო ა. ცაგარლის ცნობილ პიესას „რაც გინახავს ველარ ნახევ“-ს.

სხვისა მოჯამაგრობას,
ადვილად იტყვის ენაო.
დილით ხბორებში მგზავნიან,
სალამოს ღორისკენაო.
თუ მელია დაიჭირო,
ხორცი შენ და ტყავი ჩვენო.
თუ კურდღელი დაიჭირო,
ტყავი შენ და ხორცი ჩვენო.³⁵²

•
მოჯამაგირის დღესაო,
არ დაეღუპა კენესაო.
სატკივარი აუტყდება,
ყველა ბედნიერ დღესაო.
მოჯამაგირის დღე გაქრეს
პატარძლის დილის ძილიო.
დილით ადრე ვეღარ ადგა,
გაუწყრა მამამთილიო.³⁵³

მამუჩაშვილი სინუა

მამუჩაშვილი სინუა
შაღალი და წერილიაო.
სულ საქათმეში შერეკა
ნაცვალი და გზირიაო.³⁵⁴

•
ვაი, ვაი ვასაო,
ყაფლანიანთ ყმასაო,
აჰკიდებენ ქვასაო
აძახებენ ვასაო.
ერთი მჰადი დილასა,
ერთი საღამოსაო,
ერთი ჯამი შექამანდი,
ბატონსა და ყმასაო.³⁵⁵

თავადების ჩხუბი

ანდუყაფარ სანადიროთ
საქართველო შეყარაო.
ტყე და ველი მოიარა,
მთა და ჰარი დაღარაო.
მშველიც მოკლა, ირემიცა,
კურდღელმა კი დაცარაო.
— ჩამომეხსენ, მაჩაბელო,
ნუ ხარ ცუდი მასხარაო.
ცხენი — ცხენსა არ მიხალო,
არ მომიკლა ჯაფარაო.
სამასთუმნად ცხენი მიღირს,
ორას თუმნად აეშარაო. —
გაუქანა მაჩაბელმა,
ცხენი — ცხენსა უხალო.
გადმოვარდა ანდუყაფარ,
თავი ქვაზე ახალო.
დედას კაცი მიუვიდა:
ანდუყაფარ მომკვდარაო!
იმის დედამ გამწარებით
თავი ღიდ ქვას ახალო:
— ანდუყაფარს რა მოჰკლავდა,
თუ ღვინით არ დამთვრალაო! —
ლოყაზე ხელი გადისო,
სისხლის ცრემლი დაღვარაო.
თავზედაც ხელი გადისვა,
გიშერ-თმანი დაჰყარაო,
კაბაზე ხელი გადისვა,
მარგალიტი დაყარაო.³⁵⁶

ე ა ჩ ა ლ ო ბ ა

მწერლიშვილი მიხა

— დაუკა ჩემო ჩონგურო. ამოიღე ხმა.
უნდა სიმღერა დავძახო ქიზიყურადა.
პატარა წაველ ძროხაში, თორმეტი წლისა... —
ყანებსა და ყორულებსა ჭიბრით აკმევედა.
ათსა თორმეტსა მეველეს სულ აშინებდა,
თუ შარსაც აუტეხამდნენ, თავსაც უტეხდა.
დაიჭირეს გააწესეს საციმბიროდა.
მატარებელში რომ ჩაჯდა, ძან ჩაფიქრდა:
— მე რომ ციმბირში წავიდე, რა ბიკობაა. —
იფიქრა და ასრულა უკან გადახტა.
ჩავიდა ბოდბისის ხევში, ბოდბისის თავსა.
სოფელმა ჩოჩოლი იწყო: მიხა მოსულა,
შავირიგოთ მწერლიშვილი, გახდეს ჩვენი ძმა. —
ოთხმა-ხუთმა მოხელემა უარი უთხრა.
ე რომ მიხამა გაიგო, ძან გაჯავრდა.
გაჯავრდა და დაემუქრა, გულზე გაირტყა,
ოთხი-ხუთი მოხელეი ერთად შეყარა.
მირეკა ეკლესიის კარს, ყურები დასჭრა.
ხვთაება დღეობა მოდის, საკურატოა.³⁵⁷

2

მიხას ლექსი

ეძახდნენ ნინაობასა, იყო დღეობაო,
შუა ხალხში მიხა იდგა და ქეიფობდაო.

დაინახავდა პრისტავსა, სტრაენიკს უკლავდაო.
გადმოაგდებდა პრისტავსა, ლაფში ათრევდაო
ანაფორაჲ ჩაიცვამდა, პეტრე მღვდელს ჰგვანდაო.
დადიოდა სუღიებში, ლაპარაკობდაო.
იქიდან რომ მოდიოდა, წერილს აგდებდაო,
გუშინ რომ მღვდელი ვიყავი, მე გახლდი, — მიხაო.³⁵⁸

•

ქარუმას ლექსი

ჩილინდრიშვილი ქარუმა,
მამა გიცხონდა მკვდარია.
გოგიჩაანთა რომ შეხველ,
მაშინ დალუპე თავია.
— ტასო, გაშალე ლოგინი,
თუ გიყვარს ჩემი თავია.
თან საღვინე მოაყოლე,
გვერდით მოუდგი ჯამია.
ტასო, გარეთ გაიხედე,
თავს არ დაგვეცეს ჯარია. —
ამ სიტყვის განმავლობაში
მოვოდა ყაზახთ ჯარია.
ძირიდან ბევრი ისროლა
მალლა აყარა ბანია.
ლაშაურიანთ კარებზე,
იქაც დახუჭა თვალია.
— გაიხარეთ წილკნელებო,
ხომ განაცვალეთ თავია.
ალარ მოგივათ ყაზახი,
არც ზეკუტია ჯარია.³⁵⁹

სინუას ლექსი

სოფელმა დამათათბირა,
მომაკვლევინა კნიაზი.

როცა რომ საქმე გაჭირდა,
 სოფელი „ატკაზზე“ არი.
 ავდექ და წაველ ყაჩაღად.
 ნეტავ რა სახელი არი.
 შაქრუა ქობულაშვილი,
 ჩემი ამხანაგი არი.
 დავდიოდი ველურადა,
 სადაც უღრანი ტყე არი.
 კოდიაშვილის ფარეხი,
 ტიალი ბინაც ის არი.
 შაქრომ თქვა: — სიზმარი ვნახე,
 სიზმარი იყო მხრიანი:
 თავით მდგა შავი ბოთლი,
 ჭიქა არყით სავსე არი.
 ავწიე და გადავკარი,
 როგორც წყაროს ცივი წყალი.
 როგორც თაფლი და შაქარი. —
 გაუტრიზავა სინუამ:
 ეგ რაღა სათქმელი არი,
 შეგშინებია, ღიაცო.
 შიში ქალის საქმე არი. —
 გათენებისა ხანზედა
 ძაღლებს გაჰქონდათ გრიალი,
 — ადუ, სინოჯან, გავიქცეთ.
 საითაც ჭახსარი არი. —
 „ცინკა გადაკრულ“ ტყვიასა.
 სად გაეჭყევა ტიალი.
 სინოს მოარტყეს გვერდებში
 სინომ დაიწყო ფრთხიალი.
 — გადმომეშველე შაქროჯან.
 მოგიკლეს სინო მხრიანი. —
 შაქრო მას რას უშველოდა.
 შაქრო მასთან მკვდარი არი.³⁶⁰

— რაკი რომ შემოგეჩვიე
 დედას გიტირებ ღუქანო.
 რაცა მაქვს აქვე შეგაქმევი.
 შინ ჯალაბს რალას ეუზამო?
 ჯალაბი ძლიერ გაჯავრდა,
 — მომეცა ჩემთან ნუ ხარო...
 — რად მაგდებ ჩემი სახლიდან
 ჩემო ლამაზო მსუქანო?
 — თუკი ლამაზი ვიყავი
 რათა ლოთობდი ღუქანსო?
 — გავბრიყვდი შენი კირიმე,
 აგერ დავდივარ უქმათო.
 ამა სოფლისა მცხვენია
 ხალხთანა ვდგევარ უქანო. ³⁶¹

•

ერთი გლეხი ვარ საწყალი,
 სოფელში მივალ დასთანა.
 იქ უნდა პური ვიყიდო,
 გამოვიყვებო ზამთარა.
 შუა გზაში დამიღამდა,
 შეველი მიკიტანთანა.
 ერთსა ერქო ასატურა,
 მეორეს ერქო ვართანა.
 იმ ლამეს ისე დამიხუნდენ
 როგორც ძმა მივა ძმასთანა.
 მეორე დილა გათენდა,
 ფიცხლე წამოხტა ვართანა.
 სალოკი თითი დაადო.
 გააქან-გამოაქანა.
 გულმა კანკალი დამიწყუო:

აქ რაღაც საქმე მანხდარა,
ხუთი მანეთისაგან,
ერთი აბაზი ჩამჩარა!
ჩოთკო, მოგიკედეს ვამთლელი,
ვინც გორგოლ-გორგოლ დაქთალა,
დავწყევლე აღარ გავივლი,
ჩემ დღეში მიკიტანთანა
ჩვენი ოფლით მონაგარა,
სულ მიდის ვაქარ ხალხთანა.³⁶²

ქალაქს დუქანი გავადე.
დავაყენე დახლიდარი.
გავიარ-გამოვიარე,
ყველგან თითო გადავკარი.
დავჯექ და ვიანგარიშე,
დავდებიყო დიდი ვალი.³⁶³

*

გათხოვება და ოჯახი

ნეტავი ჩემო დედილო,
დაგბადებიყავ ქალიო.
პატარას გამათხოვებდი,
თან წამიყვანდა ქმარიო.³⁶⁴

*

ვაი, რა ბედი დავკარგე
გასათხოვარმა ქალმაო.
ჩიქილა წყალმა წამართვა,
შუბლის საკრავი ქარმაო.³⁶⁵

*

ქალმა სთქვა გასათხოვარმა:
ღობეზე დავილაჩები.
თუ კი არ გამათხოვებენ,
რილასთვის გავისაჩები.³⁶⁶

ქალმა სთქვა გასათხოვაოა,
მე ბედს არ დავიკარგაბო.
წავალ დავჭდები წყლის პირზედ,
საყელოს მოვიქარგამო.³⁶⁷

•

სიღედრმა შემოგატყუა,
ქალი შენ მოგცა ყვითელი.
არცა რა მზითებს უქებენ,
არც თვითონ იყო წითელი.³⁶⁸

•

ბიკებო, ყური დამიგდეთ,
რა ვათქმევინო ენასა.
წმინდა გიორგი გწყალობდეთ,
ჩარიგებული ყველასა.
ნინო წმინდას დავინიშნე,
ბელგა მივეცი პელასა.
დანიშნულობა კარგია.
მოგეხსენებათ ყველასა.³⁶⁹

კატუშა და მარო

ქვეიდანა მოდიოდნენ კატუშა და მარო
ერთმანეთს ეუბნებოდნენ,
შენ ვინ გინდა ქალო?
— მე ისეთი ბიჭი მინდა,
ჰქონდეს საწვრიმალო!
იმას ჰყავდეს ერთი ვირი
იმას მოუაროს!
მან თვალით არ დამანახოს,
საბძელი და კალო!³⁷⁰

•

შაქრუამ ქალი დანიშნა
ამ ბეუანიანთ კარსაო

წინაწინ კარგი უჩვენეს
შემდეგ აძლევენ მყრალსაო.³⁷¹

რას შემართლები ლათაჩო,
შარაზე გავლისათვინა.
განა სამტეროდ მოვსულვარ,
სამოყვაროდ ქალისათვინა.³⁷²

გომარეთს წაველ მაყრათა.
ეშმაკათა და ქაჯათა —
წინ ქალი შემომეყარა.
გამიხდა ხათაბალათა.³⁷³

ქალო მანდ რას უზიხარ?
საქმროს დაუწუნიხარ.
სია დაუხევია,
სჩანს, რომ აღარ უნდიხარ. ³⁷⁴

ნეტავი დამეხსნებოდე,
გამანებებდე თავსაო.
ეგები შევეყრებოდე,
ჩემი გუნების ქმარსაო.³⁷⁵

კოსტა ნინა

დაიყვავილე მინდორო,
გაიფურჩქნე ტყეო.
მე ნინა ნავარდაშვილი
ისაკახ ქალიო.
მუქთაშვილსა სანდრუასა
თავი შევწირეო.
მომდიოდა წერილები,
მუდამ-ლამლამეო.

— ნინავ ბელგას ხელი უშვი
თავი ანებეო. —
მე მაინც არ დავიშალე,
ჩემი ვაკეთეო.
ორშაბათ დილა გათენდა,
წყაროზე წავეო.
ეს მუქთაშვილი სანდრუა
წინაც შამომხედესო.
დავიჩოქე და ვემთხვიე,
ორივ მუხლებზეო:
— შენი ჭირიმე სანდროჯან,
თან წამიყვანეო!
აილო და დანა დამცა,
მარცხნივ მხარეზეო.
უცებ მუხლს შემომეყარა
დამიბნელდა მზეო.
დანიშნულს შემიტყობინეთ
ნინა მოგიკლესო.
მამაჩემს შეატყობინეთ
კუბო მიყიდეთო.
ამატარეთ, ჩამატარეთ
შუა სოფელზეო.
დანიშნული ქალი ვიყავ
ყველამ მიტირეთო.
ყველამ ჯრემლი გადმოაგდეთ.
კოხტა ნინაზედო. ³⁷⁶

•

დიანოზამ ქორწილი ქნა,
დაკლა კუდა თხაო.
ქანგიან ქვაბში ჩაყარა,
წვენი არა ქნაო.
პატარძალი ათამაშეს,
გახტა-გამოხტაო. ³⁷⁷

•

ქალაქიდან გამოვთხოვდი

ქალაქიდან გამოვთხოვდი,
ქალი ვიყავ თინაო.

მცხეთის ხილთან რომ მოკედლო
ლეკმა დაუსტეინაო.
მაყრები ისე დამიფრთხეს,
როგორც წყალში ჰიკყინაო,
უხეირო ჩემმა ქმარმა,
მუხრანამდის ირბინაო.
დალოცვილმა ჩემმა ძმამა
გარე შემომირბინაო.³⁷⁸

•

გემდური ჩემო დედილო,
რად გამათხოვე პატარა.
პატარა ქმარი შემყარე,
სულ არი-არე მატარა.³⁷⁹

•

თინათინ, არე-მარეო,
ჩემო მზევე, ჩემო მთვარეო,
შენი თავი მოწამეა
პატარა მოგიყვანეო.
უშობლის ხორცი გაქამე,
მოზერის არ მოგაკარეო,
ბროწეულის ღვინო გასვი,
წყალი არ მოგაკარეო.
ნამტკიცი პური გაქამე.
მქალი არ მოგაკარეო,
ჩახუტებული დამყავდი,
ფეხით არ ვაგატარეო.³⁸⁰

•

ვერ გავაკეთებ მე სახლის საქმეს,
როგორც ძველთაგან ოჯახის რძალი.
უნდა შავირთო ნასწავლი ქმარი.
მას უნდა ჰქონდეს ორტოპიანი,
ორტოპიანსა ხმა დიდი ჰქონდეს.
მას უნდა ჰყავდეს ორი მოახლე.
დილა გათენდეს, წყალი ადულდეს.
— ქალო, წყალი მაიტა პირის დასაბანადა
ნახე ცხელი არ იყვეს, გუშინდელისთანადა.³⁸¹

დედაჩემმა გამათხოვა

დედაჩემმა გამათხოვა,
ესე პატარა ქალიო.
ნინო წმინდას წამიყვანა,
იქ დამწერეს ჯვარიო.
ორი კვირა არ გავიდა,
ქალი ავად არიო,
დაჯდა და წიგნი დასწერა,
დედასთანა გზავნისო:
— მოდი, დედაჩემო, მნახე,
მე გიკვდები ქალიო!
დედამ გაშალა ქალალდი,
შამაიკრა თავშიო.
— ერთი დღეს და ერთი გუშინ,
რა ამბავი არისო.
— შვილო, შენ ნუ მამიკვდები,
მე მამიკვდეს თავიო.
ამ ჩვენსა სიძე მიხასა,
არ ჩააცო შავიო.
გუნება არ შეუცვალო,
ჩვენიც აღარ არისო.³⁸²

*

ახალი მატარძალი ვარ

ახალი პატარძალი ვარ
შემომატარეს კერასა,
ფინთი ქმარი გამომადგა,
გებრალეზოდეთ ყველასა.
როცა ლოგინში ჩაწეება
მაშინ მოჰყვება ხველასა,
გენაცვალეთ, ნუ დამძრახავთ
რომ დაუჯერო ყველასა.³⁸³

ახალსოფელს დაეინიშნე

ახალსოფელს დაეინიშნე;
გამიწყრა გამჩენელიო.
ქალის სანახავად წაველ
ხალხი გამომყვა ბევრიო.
სარკმლის საშუქზე გავსინჯე
ყვითელი სანთლის ფერიო.
მუშტის ტოლა ცხვირი ეღო
გოდორს უგავდა წელიო.
სამი რძალი გამილანა
მეოთხე დედამთილიო.
იმათ რომ ბოლო მოუღო
ახლა მე მომყო ხელიო.
ფანჯარაში გაღუძვერი,
შიგ გამეკედა წელიო.
დამიპირა, ბევრი მცემა,
ზურგზე მადინა მტვერიო.
სადილ-სამხრით შევიქამა
სამი გუთნის ჭერიო.
ცხრა ქილა ერბო შექამა
და ექვსი გუდა ყველიო.
მეზობლებშიც დაიკვეხა,
მურაბას შივაგენიო.³⁸⁴

ახალი ბატარძალი ვარ

ახალი ბატარძალი ვარ,
საქმე ვერ მომიგონია
ჩიქილით სახლი დავგავე,
ცოცხი ვერ მომიგონია.
ცოქი ადგილზე მოვზიღე,
ვარცლი ვერ მომიგონია.
კაბა თონეში ჩავცურე.
ფიჩხი ვერ მომიგონია.³⁸⁵

დაუკარ ჩემო ჩონგურო

დაუკარ ჩემო ჩონგურო,
გაპკა-გამოპკა ხელია.
მშვიდობით მოგიპამია,
ჯერ კალო, მერე რთველია.
ჩემმა ძმამ რომ საქმე გუყო.
დანით გამომპკრა ყელია.
მთიულის ქალზე დამნიშნა.
ბრაცვია, გაუთლელია.
მოსაყვანათ რომ წავედი
ცხენსა მოსწყვიტა წელია.
ახლა ურემი შეუბი.
თვალი მიმტვრია, სქელია.³⁸⁶

•

სირელი ქალი ვ: თხოვე

სირელი ქალი ვითხოვე,
ზარბაცი, გაურჯელია.
ოცი სარტყელი ვიყიდე.
არცერთი შემოსწვდენია.
სამშობლოში წავიყვანე,
ცხენს მამიწყვიტა წელია.³⁸⁷

•

იხლანდელი პატარძლები
ღილით ადრე დგებიან,
ჯამ-კურკელს რომ დარეცხავენ,
საქმეს შეუდგებიან.³⁸⁸

ივანე ბოდბის ხეველო
დაბადებითვე ქკვიანო,
კოლისა ქორწილს მოესწარ,
ბიკობაც მაგას ჰქვიანო.³⁸⁹

საგარეჯოში განოვა
ენმეყობა და ქაჯობა.
ღმერთმანი ჩემო სიღედრო,
ომში არავინ მაჯობა.³⁹⁰



ერთი სულძალდი ბებური
განგებ დაიწყებს წევასა,
არ შეშქანს ცარიელ პურსა
თუ რომა ხედავს წველასა.

ცოლსა ქმარი მოცდომოდა
ბულბულივითა გალობდა.
აგრე ქმარს არა გლოვობდა,
როგორც შაიდიშს ნანობდა.³⁹¹



ქალო რას ტირი, რას ტირი,
რას დაგიტხრია თვალები.
ღულარე შენი ცრემლითა,
ავსილა საგუბარები.³⁹²



ქალებო თქვენი ქმარები,
როგორ არიან თქვენზედა,
აგრე არიან ჩვენზედა,
როგორც მიმინო მწყერზედა.
ზათხელში წყაროს წყალსა ვსვამთ
ზამთრით ჩავდივართ ხევზედა.³⁹³



ქალებსაც შემოუთვლიათ,
მარიამსა და პელასა.
გავაიაფეთ ლებანი,
შეატყობინეთ ყველასა.³⁹⁴



ქალი ქმარ დაწუნებული,
სამშობლოს მიშავდებოდა.
არ ჰქონდა დანაშაული,
რა პირი უშავდებოდა?³⁹⁵

•
ოდანე დანე-დანეო,
ცოლი მოიყვანეო,
ერთი კუკუ ამოკარი
უკან მიაბრძანეო.³⁹⁷

•
მამაჩემმა ცოლი შემრთო,
შავი იყო, არაბს გავდა.
მე რომ ტყეში წავიდოდი,
სატრფოს ქათამს დაუკლავდა.
მე რომ ტყიდან მოვიდოდი,
ხმელა პურსა მომიტანდა.³⁹⁸

მაშ რა ქნას, რომ არ ტიროდეს.
შავი და ბნელი ქალიო?
პირდაპირ ჩამოუჭდება
სიკვდილის ფერი ქპარიო.³⁹⁹

•
რას დამიღონდი, რას სტირი,
რად ჩამოყარე ყურები.
იძახდი ქმრად ეგ მინდაო,
ეხლა ვის დაემღურები?⁴⁰⁰

•
—ქალ გუშინ, გუშინწინადა,
დედა რას გესარჩლებოდა?
— დავკარგე ოქროს საყურე.
მცემდა და მეზარტლებოდა.⁴⁰¹

წისქვილში წასვლისას

— ერთხელ წისქვილში წასვლისას
ძლიერ მოვირთეო,
მოვირთე და მოვიკაზმე
ფერიც ვიცვალეო.
წინ ბიჭიც შემომეყარა,
ბევრი ვეხუმრეო.

იარაღი მომეწონა
თოფი აგყარეო.
თოფი ჩემს მაზლს გადავკიდე,
ლაშქარს გავგზავნეო,
თეთრი გომიჯის პურები
ხურჯინს ულაგეო,
თეთრი ქოჩორა ვარია
კალთას უხვიეო,
გადავყევი დიდ ყანამდე.
გზა დაულოცეო,
ჩემო მაზლო, რას მემდურნი
თოფი გიშოვნეო?!...⁴⁰²

•

გოგოს ქადა გამოეცხო,
ქერქი მოეზილა რძითა.
ერთი ვთხოვე, ორი მომცა
ღმერთო, გაახარე ძითა.⁴⁰³

•

ქალო, რას გამოგადგება
მონადირისა ცოლობა.
დაეგდო თბილი ლოგინი
ნისლიან მთასა სწოლოდა.⁴⁰⁴

•

მინდვრად გასულან ბავშვები,
ყვავილებს ჰკრეფენ მღერითა.
რა ლამაზები არიან,
ვერც კი გაძლები ცქერითა.⁴⁰⁵

•

კოჭლი ქალი

ბებუთისა მინდორზედა
დაგოგავდა ლურჯი რაში,

ზედ ბიკი იჯდა ლამაზი
შეარდენს თუ ქორსა გავდა.
უკან მისდევს კოკლი გოგო
მოსტიროდა და მოსთქვამდა:
— ბიკო უკან მოიხედე
სიტყვას გეტყვი უმეცრადა.
სიკოქლეზე რასა მწუნობ
განა კურდღელს მადევენებო?
შვილებსაც კარგად დაგიზრდი
ერთს არ დაგიზიანებო,
სათეიქროს ჩაუჯდები
მაქოს გაეძლიერებო,
ჩოხა-მერდინებს მოგიქსოვ
ფულებს ჩაგიჩხრიალებო,
ჯამ-ქურკელს კარგა დაგცრეცს,
თაროს დაგიკრიალებო,
ახალუხს კარგს შეგაკერავ,
ლილებს დაგიწკრიალებო,
პურსაც მალე გამოგიცხობ,
ჯერს არ დაგოგვიანებო.⁴⁰⁶

— თვალა დაგიდგეს ელენე
ვერ შეირთე კარგი ქმარი.
ცხენის კეხივით გამხმარა,
ლეღის კინკრიხს უგავს თავი.
— ჩემს მაქანკალს ასტეხიყოს,
ვაგლახი და შავი ჭირი,
დაბრმავდეს ორივე თვალიდან,
სულ არ ჰქონდეს თვალში ჩინი.⁴⁰⁷

ქალს რომ ქმარი მოუკვდება,
დაჯდება და დაღონდება.
განა მართლა დაღონდება,
სიყვარული აგონდება.
ნამუსიანი თავს დასდებს,
უნამუსო გათხოვდება.⁴⁰⁸

ზემო ქართლიდან წამოველ

ზემო ქართლიდან წამოველ
მატყლი წამოვიღე ბევრი.
ქვემო ქართლში რომ ჩამოველ,
დედა მყავდა დედობილი
მატყლი უფეშქეზე ბევრი,
იმათ ერთი რძალი ჰყავდათ
კოჭდაბალი გავასქელი.
ახლო ლოგინი გაშალა:
— შენ დაღალული იქნები, —
ქალმან-წინდას დავეძებდი,
უკან მოვახვედრე ხელი.
— ადე-ადე დედაძთილო,
სტუმარს მოგვიწყვიტე წელი.⁴⁰⁹

•

ახმეტყიდან გამოვთხოვდი

ახმეტყიდან გამოვთხოვდი,
ახ ნეტავი მეო,
მაცურები რომ მომივიდნენ,
ის მიამა მეო.
ლურჯი რაში შემიკაზმეს.
ის მიამა მეო.
ავიწიე, ცხენზე შეეჭეჭე,
ახ ნეტავი მეო!
ცხენსა მათრაზი ამოვკარ,
გზას გავეშურეო,
ნეფე და მისი მაცურები,
უკან დავყარეო
უკანიდან მომძახოდნენ
ქალ დაგვიცადეო!
ამათი ლაყაფ-ლუყაფი,
არათ ჩავაგდეო!
შუა გზაში რომ მივედი,
ვაშლი გავკმეიხო!

სოფლის ბოლოს რომ მივედო
სახლი ვიკითხო.
სიმღერის ხმა შამამესმა,
იქ მივეტანო.
ავიწიე, ტახტზე დავეკეპე,
ტახტი ჩაეტეხე.
აქეთ-იქით პურსა სჭამენ,
პური მშინ მეო!
ცალკე სახლში გამიყვანეს,
ის მიამა მეო!
თორმეტი კვერცხი ერბოსი,
მარტო შევჭამეო.
სამი ისეთი ლუკმა ვკარ,
გვერდი ვიტკინეო.
ორი კვირა არ გავიდა,
მაზლს გავეყარეო.
მამამთილი ვჯობე-ვჯობე,
მული გავსახრეო.
დედამთილი მეხვეწება:
— ნეტავ გადავრჩეო. —
ახმეტვიდან გამოვთხოვდი.
ახ ნეტავი მეო!⁴¹⁰

*

ზოგიერთი პატარძალი,
წამოწვება ძელივითა.
დედამთილსა, მამამთილსა,
პირს დაულრენს მგელივითა,
სადამოს ქმარი მოუვა,
წამოხტება შველივითა.
შეხტება შეიკუნტრუშებს,
ქერ-ნაჭამი ცხენივითა.
იმას კარგი სახრე უნდა
მაეგრიხოს წნელივითა.⁴¹¹

*

ავი გულის დედამთილი,
დილით ადრე ადგება,
ჯერ თავის შვილებს მისტყიპავს,
მერე რძალს მიადგება.

გალახული პატარძალი,
დაიწყებდა წყევლასა:
— ღმერთო, მალე მომავორე
დედამთილის ცქერასა.⁴¹²

•

მამაჩემმა გამათხოვა ესე პატარა ქალიო.
ვერ შევძელი ოჯახობა, ვერ მოვიტანე წყალიო.
მულმა კარში გამომავდო, მაზღმა ჩაკეტა კარიო,
ვენაცვალე ჩემს მამამთილს, იმან გამიღო კარიო.
ვენაცვალე ჩემს დედამთილს, იმან მაქამა პურიო.⁴¹³

•

ენაცვალოს დედამთილი,
რძალი რომ აღრე ადგება.
დასწველის დილით ძროხებსა,
წავა და ბანზე დადგება.⁴¹⁴

•

აკი გითხარ, დედამთილო,
სარჩული სჯობს საპირესა.
სიცილით რომ მომიყვანე,
ეხლა რალა გატირებსა.⁴¹⁵

•

აკი გითხარ, დედამთილო.
ნუ გამგზავნი წისქვილშია.
დამიხვდებიან ბიჭები,
ჩამავდებენ სირცხვილშია.⁴¹⁶

•

ვენაცვალე ჩემს დედამთილს
ბატი უსუქებიანო.
მისი გამოზრდილი ბიჭი
ჩემთვის უჩუქებიანო.⁴¹⁷

•

ვენახში წყალი შეუგდე
ბოლო დამრჩა ღია
დედამთილს თავში ჩავარტყა
თვალი დარჩა ღია.⁴¹⁸

•

მომიცადე დედამთილო
გული მოვიტრიალო

დღეის შენი ლეჩაქი
საით გავაფრიადო.⁴¹⁹

•
აი პელო, პელო,
ასე რამ გაგახელო?
ფეხშველა წყალზე გამგზავნე
დამაწყებინა ხელო!⁴²⁰

•
პატარძლო, პატარაო,
წყალს მოიტან, სხვას არაი.
ჩამოჯდები კერასაო,
ატარტარებ ენასაო.
ჩასვამ ცეცხლა-კერასაო,
ჩაგვამწარებ ყველასაო.⁴²¹

•
შავსაყდრანთ, კედელანთა,
ჩხუბი მოსვლიათ ძმაშია,
იმათი ახალი რძალი
გამოპარულა სახლშია.
დამიან გამოპარულა,
მოუსხამს ტანზე ჩადრია.
წინაწყაროს რომ მოვიდა
ქალები შეუფანტია.
აგრე ეგონათ ქალებსა, წყეულია თუ ქაჯია:
— წავიდეთ შევატყობინოთ,
ჩვენ ჩვენებისა სახლშია! —
ახლა იმათი კაცები
ჩაჯდნენ თოფ-იარაღშია.
— ხმა ამოიღე ვინა ხარ,
თორემ გაგარტყით თვალშია?! —
მაშინ იკადრა ქალამა,
ხმა ამოიღო წამშია:
— ქრისტიანი ვარ, ნუ მომკლავთ,
გაბუტული ვარ სახლშია.

აგრე მიყო ჩემმა მელმა,
გამომარჩია მაზღშია. —
— წამო, ქალო, წაგიყვანოთ
იმ მამაშენის სახლშია —.⁴²²

•

რძალ დედამთილი ჩხუბობდნენ
ახალ შედღეებილ დოზედა.
ბოლო დროს რძალმა აჯობა
თავი უხალა ბოძედა.⁴²³

•

ნეტავი ღმერთმა დასწყევლოს
ეზლანდელი ქალის რჯული.
ზანამ გასათხოვარია,
მტრედი არის დაღულული,
ქმრის ხელში რომ ჩაეარდება,
მიეცემა დიდი გული.
კიდობანს კლიტეს დაადებს,
არ ვინ მოიტეხოს პური.
ჩემი ქმრის ამაგი არის,
გამოიჩიჩქნევით ყური!⁴²⁴

•

ძმა რო ძმასა გაეყრება

ძმა რო ძმასა გაეყრება,
ველარ დადგამს დიდსა ძნასა,
წავა, დადგება ბოსელში,
გვერდზე გამაიღებს კარსა.
მამაძალი იმის ცოლი
კობტად დაიხურავს თავსა
გავა და ბანზე დადგება,
ბიჭებს გადაავლებს თვალსა.⁴²⁵

ერთხელ ჩემმა მამის დედამ

ერთხელ ჩემმა მამის დედამ
თალხი კაბა შაშიკერა.
წითელ ფერი ბაწრის ძაფით
დიდი ჯიბე დამიკერა.
შიგ ჩამიწყო ჩირ-ჩუჩხელა,
კაკლები და თეთრი ფული.
ხეხარულით გადამკოცნა
გამიხარა ძლიერ გული.
თანაც მითხრა: — ჩემო შვილო,
რაც დაგარქო გამიგონე.
როცა მოვკვდე შენს ხუყრ-ჯე,
პურ-მარილზე მომიგონე!⁴²⁶

ქალი ვარ ჭიჭანთ ნათელა,
წილი მაქვს დიდობაშია.
ერთი ერბოსი ქილაო
ჩვენც გვიღვა კიდობანშია.⁴²⁷

გენაცვალოს დედაშენი,
მემრე შენი მამიდაო.
შენი წილი შექამანდი,
თაროზე დგა ჯამითაო.⁴²⁸

ქათმისა მიყვარს ენაო,
მალლიდან გადმოფრენაო.
მხარ-კურტუმ-კისერ ბარკალი.
ცოტა რამ საწიწკნელაო.⁴²⁹

ქათამო შენსა კაკანსა,
ეგ შენი გული სჯერაო.
შორს ნუ წაასხავ წიწილებს.
თორემ დაგიკამს ძერაო.⁴³⁰

•
ჩემო მეგრულო ქათამო,
ბუჩქებში იცი ძვრენაო.
შვილები შორს არ წაასხა,
თორემ მოგტაცებს ძერაო.⁴³¹

•
მტრედმა თავის სიმშვიდითა,
იარუსალიმს კოშკი დადგა.
შალლა ცაში აიყვანა,
ზედ მირონი გუბეთ დადგა.⁴³²

საწყალი ბერი ქედანი

საწყალი ბერი ქედანი,
მთას წავა საბუღარათა.
წინ შევარდენი გადუდგა,
გაუხდა საჩხუბარადა.
შავარდენო ფრთა გიშერო,
ვინ ორსულობა, ვინ შენო.
ნეტავი ვაჟი გეყოლოს,
მე მოგინათლო ის შენო.⁴³³

•
ორშაბათ დილა გათენდა,
ცუდი ამინდი ღგებაო.
ეს ჩვენი წუწკი მელია,
საომრად ეშაადებაო.
მიცუნცრუკდა მოცუნცრუკდა,
საცა მამალი ჯდებაო:
— მამალო, ხორცი მიბოძე,
ჩემ თავი დაგჭირდებაო. —
— მე ხორცსა ვერა გიბოძემ,
ყელს ძვალი დაგადგებაო!⁴³⁴

სტუმარ-მასწინებლობა

თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე,
კალთა გამიბი კალთასა.
თუ მტერი ხარ და მიმტერე,
ან მთას დამიხვდი ან ბარსა!⁴³⁵

*

მოყვარე მინდა ასეთი,
ამ ზამთარს შემინახოსა,
ორმოცი კოდი ხორბალი
ერთ ღამეს დამინაყოსა.
სადილად ბულა კამეჩი,
ვახშმად სხვა მომინახოსა.⁴³⁶

*

გამხიარულდი ბუხარო,
გულჩათხრობილი ნუ ხარო,
ლამაზო, ღვინო დაასხი,
დავლიოთ ჩავახუხალოთ.⁴³⁷

*

კაცი რომ კაცს დაჰპატიეებს,
ასვას და ანადიმოსა,
შესევას ცხენსა ლურჯაზედა
შინდორი ანადიროსა.
ბადვინით ღვინო მიუდგას,
ქალს უჭდეს კარგსა ნინოსა.
როდეს ქეიფში შევიდეს
უსხნიდეს კილო-ღილოსა.⁴³⁸

*

კაცსა სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არ ნახულისა.
დააპოს ურმისა მორგვი.
ზაფხულის შენახულისა,
დასწვას ფიწალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთოს გულისა,

ოთხკუთხივ ბოლი ავიდეს,
დასვას და ანადიმოსა,
ატლასის კაბა ჩააცვას
და ცხენსა შესვას წითელსა,
ყველა ტყუილად ჩაუვლის
თუ კი არ ასმევს ღვინოსა.⁴³⁹

•

ხილისთავსა და გორს შუა,
ერთი მოყვარე მყვანდაო.
არცა რა მე მიუტანე,
არცა რა იმას ჰქონდაო.
მშიერი გამამისტუმრა,
იმის დედ-მამა ცხონდაო.⁴⁴⁰

•

პატარა ბიჭის დედასა,
საყელო ეპრელებინა.
იმდელი თვალი დაუდგა,
რამდენიც ეგრილებინა.⁴⁴¹

•

აწ რომელ ქარს დაუმაღლო
მე რო ესრე მომაძალა.
დამიბერა გადმომაგლო,
თქვენი ნახვა მომაცალა.⁴⁴²

•

ნათლია ჩემი მეწვია

ნათლია ჩემი მეწვია
ჯიბეში ედო ყარყარა.
ერთი ქათამი დაუკალ,
კუდა იყო და ნაცარა.
სულ ერთიან გაუკეთე
ერთი პატარა ჩალბანა.
ათი ჩურჩხელა მივართვი
ერთი თაბახი თათარა.
ისე შექამა ისინი
წვერი არ გააცანცარა.

რაც შენ ნათლიად გიშოვე,
სახლში აღარა შემრჩა რა.
სამჯერ რომ მე დაგპატიეო
რატომ შენ ერთხელ აღარა?⁴⁴²

ნათლიდედის კარზე მიველ

ნათლიდედის კარზე მიველ
ნეტა რა ღმერთმა შემშალა.
გამოვარდა ლეკვთა დედა
გამომაცალა კანჩალა
მიჩვენეთ ჩემი ნათლული.
დიდი არი თუ პატარა?
მაშინ შინ შემიპატიეეს
კერასთან დამსვეს საწყალა
ხილანი ბევრი მომართვეს,
სამი თაბახი თათარა.
ერთი ქათამი დამიკლეს,
ქოჩორა იყო ნაცარა.
ასიც ძალღმა მოიტაცა,
თვალი არ დაახამხამა.
გაჯავრებული წამოველ
ჩამოვიარე ავჯალა.
იქიდან გლდანზე გაველი,
იქა ვსვი თეთრი მაჭარა.
საქაშე თეთრი ხშიადი,
რუის წითელი მაჭარა.
შემწვარი გოჭი ნივრითა,
დამსო, იმასთან მაჭამა.⁴⁴¹

ნათლიამ ნათლიმამასა

ნათლიამ ნათლიმამასა,
ბევრი რამ დასდო ვალები,
უღელი ხარი დაჭპარა,
ორივე შვილის დარები

სულ გაუწყვიტა ცხვარ-ძროხა
წინ დაუყარა ძვალები.⁴⁴⁵

•

შენი ნათლია მეწვია
დიდი იყო თუ პატარა.
ასი ჩურჩხელა შექამა,
ხამი თაბახი თათარა.
ერთი ქათამი დაუკალ
კულა იყო და ყარყარა.
საღვინით ღვინო მივართვი,
კულა იყო და ყარყარა
იმის ოჯახი დაიქცეს
ალარათერი დამრჩა რა.⁴⁴⁶

•

შორეული ნათლია სჯობს,
ენით არის სანატრელი.
მოვა ყელზედ მოვეხვევი.
მომივიდა მომნათვლელი.⁴⁴⁷

•

პურის ჭამაზედა ვსხედვართ,
რას მეხვეწები ძმობილო?
ბევრ საცრის პური მიჭამის,
ბევრსა ვარ გადანაყარი.⁴⁴⁸

•

სიბერე და სიკვდილი

ვაი დედი გვერდები,
უცოლშვილო ვბერდები.⁴⁴⁹

•

ანდრუა დაბერებულა.
ხვედას დაავლებს ხელსაო.
ამ დათას რალა მოსვლია,
დედას აგლიჯავს თმებსაო.⁴⁵⁰

•

— დავბერდი და შემინახე, —
მამა ეუბნება შვილსა.

— აქამდე რომ გინახამდი,
სხელა იცოდი ვენახისა:
ვაზსა სხლავდი და აბამდი,
სიმიინდს უთოხნიდი ძირსა.

ეხლა აღარ შეგინახავ,
გადი, ცალკე მოგცემ წილსა!

— თუ კი არ შემინახავდი
რისთვის ვნატრულობდი შეილსა.

კერის პირას რომ იჯექი,
ცინგლი დაგდიოდა ცხვირსა.

ქალაქში რომ წავიდლოდი
ჯიბით მოგიტანდი ხილსა.⁴⁵¹

•

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
გავთეთრდი ბატივითაო.

ხანამ ჭეელი ვიყავი,
ხმა მქონდა კახივითაო.

მხარზე ცულს გადავიგდებდი,
გალესილს ბრაზივითაო.

მიუხდებოდი მუხასა,
გლარჯანა ჯაგივითაო.

იქავე გადავაქცევდი
დავცემდი ხვაკივითაო.

იქავე გამოვცხვირავდი,
პატარა ბაწკივითაო.

ამოუბამდი კამეჩებს,
ფხოკავდნენ დათვივითაო.⁴⁵²

•

დავბერდი დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექმნა კალარა.
აღარ მყავს ბედაურები,
ჩემი ბაჩა და სალარა!

¹ ცხენის სახელებია.

აღარა მყვანან შვილები —
ჩემი. რაჟღენა, შაქარა
ამასთან მეორეები,
იოსებ, ჩემი ვახტანგა.⁴⁵³

სიბერე ძნელი ყოფილა,
სიბსა ჭევას დაემგვანება.
დაჯდება ველარ აღება,
არგანზედ დაეკიდება,
რაც გინდა კარგი სიტყვა სთქვა,
არავის დაეჭერება.⁴⁵⁴

სიკვდილი და სიყოყმლე

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს,
შენ ვერ მოხვალ ჩემი წონა.
დავაწვენ იმდენს გაკვნესებ,
მოგაბეზრო გვერდზე წოლა.
იხეთ მიჯნურს მოგაშორებ,
როგორც შაკრულ ვარდის კონა.
მგონი სულ მეხვეწებოდე,
მომეწყინა გვერდზე წოლა.⁴⁵⁵

სიკვდილმა უთხრა სიყოყმლეს

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს
— შენ რას გარგებს, ჩემთან ბრძოლა.
მოდო სასწორს ავიწონოთ,
ვინ გამოვა ჩემი წონა.
დავაწვენ, იმდენს ვაკვნესებ,
მომეწყინოს გვერდზე წოლა.
სიცხით ტანში შეუჯდება,

სიცივისგან გავთანგამო.

მეზობლები იძახიან:

— ქალო ქმარი როგორ გყავთ?

— უქანასკნელ წუთებშია,
მეზობლებო, რაღა ვქნაო?⁴⁵⁶

სიღარიბე და ობლობა

სიღარიბე და ობლობა,

ორივე გადამხედია.

სიღარიბე სჯობს, ობლობას,

სიკვდილი გადამეტია.

ჩამოიარა სიკვდილმა

ობოლი დახედა წინაო.

სიკვდილო მეც წამიყვანე,

ობლობა მომეწყინაო.

— შენ ვერ წაგიყვან ობოლო,

შენი მწირავი ვინაო?

არცა გაქვს სანთელსაკმელი,

არცა სუღარა შინაო!

— სიკვდილო, სიციცხლისათვის,

თავს არა მოგცემ მუღამა.

მაინც არ შეგეპოვები,

თავით რომ მედოს სუღარა.⁴⁵⁷

ვაჟკაცსა თავის სიკვდილი

ვაჟკაცსა თავის სიკვდილი

თავი მძინარი ჰგონია,

სისხლისა ღვარი ნადენი

ხალხინო ოფლი ჰგონია,

დადება ზაკაცეზღდა

ცხენზე შეჯდომი ჰგონია,

წინ რო ღვდელი გაუძღვება

თავის შათირი ჰგონია,

ჩადება ბნელ სამარეში

ლოგინში წოლა ჰგონია,
თავით ქვას რომ დაუდებენ
ცოლის ბალიში ჰგონია,
ზედ დაყრა შავი მიწისა
საბნის დახურვა ჰგონია,
ბაყაყ-ქინკველის დახვევა
წვრილი ცოლშვილი გონია
ყელზედ გველის შემოხვევა
ცოლის მკლავები გონია
ნაწვეთი მარმარილოსი
დედის ცრემლები გონია.⁴⁵⁸

*

გლეხმა სთქვა

გლეხმა სთქვა დღენიც კრულია
დაბადებისა ჩემისა
რამდენიც დილა გათენდა,
უფრო და უფრო წყენისა.
სკოლიდან გამომიყვანეს,
შინ მოველ ჩემი ფეხითა.
მამა მიმზადებს ქორწილსა,
ყველანაირი წესითა.
ტანისამოსიც მიყიდა.
ქამარ-ხანჯალი ვერცხლისა.
მაყრებიც ემზადებიან,
ცხენებს კაზმავენ კეხითა.
ხორხისკენ გავემგზავრენით,
ნათელი გვედგა ზეცითა.
ყველანაირი ცხენი გყვავს,
წითელიცა და თეთრიცა.
ნეტა ვის გაუგონია,
უქუხვრად დაკვრა მენისა?
ეკლესიაში მოსულის,
პირქვე დაცემა ნეფისა?
ღვდელი კარებში გაჩერდა,
ეს რა დაგვეცა ზეცითა.
ეს არის უბედურება,

ერთი მეორეს ეტყვისა.
ნათლიას თოფი გავარდა.
მუცელ გაგლიჯა ნეფისა.
— რა ქესით ჩემო ძაყრებო, —
ნათლია მაყრებს ეტყვისა.
ისე იწვოდნენ მაყრები,
როგორც აბედი კვესითა.
გიგოლას ამბის მიტანა,
სუყველამა დაიზარა.
ისევე ნათლია წავიდა
მთა ჩქარა გადაიარა.
გიგოლას თავის ნათლიამ
კარებზე გადაუარა.
სამჯერ გაულო კარები,
სამჯერავე დაუჯარა.
— კარზე გამოდი გოგილავ,
ეჭიდმა დაგიბარაო.
ნათლიის თოფი გავარდა,
ნეფე თან გაიტანაო. —
გამომართა საწყალი,
არ ჰქონდა მუხლში ძალო
ულვაშზე ხელი გადისვა,
სულ დაბლა ჩამოყარაო.
— თუ ჩემი შვილი მოკალით,
ქალი ვინ წაიყვანაო?
აგერ ცხედარი გამოჩნდა,
დავილუპენით განაო?!
მეც უნდა თავი მოვიკლა,
გულში დავიცე დანაო!
— კარგი დადექი გიგოლავ,
ეგ ცოდო-ბრალი კმარაო —
სამი ატირდა სიძეი,
სანთლებურ დაიღვარაო
სამი მამიდა ტიროდა:
— დავილუპენით განაო.
ეხ იყო ჩვენი სილაღე,
წავიდა გაიპარაო. —
აიხსნა ქალმა მანდილი.

ზედ პირზე დააფარაო
 ღაიჭრა შვიდი ნაწნავი,
 ზედ გულზე დააყარაო
 — არ ძოგშორდები ლამაზო,
 უნდა ჩამოგყვე თანაო
 ცოცხალმა როგორ დაელაზო,
 მალლა მთა დაბლა ქალაო?
 ქალი და რძალი ტიროდა,
 გულზე ტბა დადგა ცრემლისა
 თავზე ნათლია დასტირის,
 გაყვითლებული ფერითა:
 — ქორწილში ვემზადებოდი,
 ცხენს ვასუქებდი ქერითა.
 ნათლიად წამოსული ვარ
 დუშმანიცა ვარ მტერიცა.
 უბედურებას უყურეთ,
 მე მოვკალ ჩენის ხელითა.
 ერთად გათხარეთ საფლავი,
 მაგისაცა და ჩემიცა. —
 გულში დაიცა ხანჯალი,
 ბეჭში გამოჩნდა წვერიცა.
 დაჭრილი გონად მოვიდა,
 სიტყვას ამბობდა კვენესითა:
 — ნუ სტირით თქვენი ჭირიმე,
 სანამ ყურებში მესმისა.
 ეს ჩვენი საქმე გახდება,
 სალაპარაკო ქვეყნისა.
 ვინც გამოთქვას ჩვენი ლექსი
 ოქრო მიეცით ვერცხლიცა.
 ტანისამოსიც ჩააცვით,
 კობტად შეკერეთ წესითა.
 ნეტავი ცოტა სიცოცხლე
 იყიდებოდეს ფულითა.
 გადამეხადოს ქორწილი,
 ღვინოცა მქონდეს პურიცა. —
 ესლა ამოსთქვა საწყალმა,
 დადუმდა ენაც გულიცა.⁴⁵⁹

შაქროს ლექსი

შაქროს ლექსი მოგახსენოთ,
სათქმელად საზარელია.
გომიდან-გომში გადაველ,
ღამეა მეტად ბნელია.
ჩემი ამბავი რომ გითხრათ,
სათქმელადაც კი ძნელია.
მცხეთას შეუხტი საბარგოს¹
გავფრინდი როგორც მწყერია.
როცა მივედით სადგურში
იქაც ხომ ჩამოველია
კიბეზე ფეხი ჩამოვდგი,
მაგრა მოვკიდე ხელია.
ერთი გრძელი ჩოხა მეცვა,
ის ოხრათ დასარჩენია.
თვალმა ჩოხა ჩაიგრიხა,
ჩაგრიხა როგორც წნელია.
თექვსმეტ დატვირთულ ვაგონსა,
ჩემს წელზე გადურბენია.
მამაჩემს შემოუთვალე:
ამიხდა წყველა შენია.
ალარც მოგინდეს ნიშნობა,
ალარც ქორწილი ჩემია.⁴⁶⁰

ჯალაბ შევიდა დარბაზში

ჯალაბ შევიდა დარბაზში,
ოჯახს არ მოსდის ძილია.
მოუკვდათ ქარუმადათი
ის კარგი ვაჟიშვილია.
წინ უდგათ კუბო მორთული,
შიგ უწევთ ბიჭი ილია.
სტირის და სტირის საწყალი,

¹ საბარგო მატარებელი.

მოხუცი მამა წინია...
თმებიც კი გადასწეწია,
საბრალო გოგო ანასა.
სტირის და სტირის საწყალი
ამბობს და ამბობს ამასა:
-- აღეჭი ძმად აღეჭი,
აღეჭი რა დროს ძილია.
ოლოოდ მარწყვი დამწიფდა,
ის შინდერის ტკბილი ხილია.
შენ ჩემი სიტყვა არ გესმის,
დაჯიხუჭია თვალები.
მშვიდობით ძმად, მშვიდობით.
შენს სახეს ვენაცუალები!¹⁶¹

•

დაილოცოს მალლა ღმერთი

დაილოცოს მალლა ღმერთი
ამომავალი მზე,
ესე უბედური დღისა
რათ დავიბადე.
შვიდი თვის ნაქორწილარი
ცოლსა გამყარე,
გაზაფხულისა პირზედა
სიზმარი ვნახე.
თუ მე თათარი მომკლავდა,
რათ დავიბადე,
არ მინდოდა მთაზე წასვლა
უბედურსა მე.
აველი, მალლა დავწეპი,
იმ სახლის ბანზე.
ჩემი ძმა ნიკო მოვიდა
თავზე დამადგეს,
რას აკეთებ, ჩემო ძმად,
რას წევხარ მხარზე?
სუყველას ცხვარი წასულა,
ჩვენი დგას გზაზე.

ხათრი ველარ გაუტეხე,
აედექ და წაველ.
ფეხები უკან მრჩებოდა,
რომ მივალ მთაზე.
სამი დღე და ღამ ვიარე
იმ დელი-დალზე,
სალამო ხანი მოვიდა
ცხვარი დავყარე.
მწყემსებსა ცხვარი დაუკალ,
პური ვაჭამე,
შუალამე რომ გადვიდა,
სროლა ასტეხეს,
ცხვარი წიო-წიოთ მიდის
ტიალ ტბის პირზე,
ერთი მალა ავიხედე,
ცხვარსა გავხედე,
იმ დროს თოფი გამოვარდა,
პირდაპირ ჩემზე.
თავის ქალანი გაგლიჯა,
მივწექი მხარზე,
მოვა თათარი რჯულძალი,
თავზე დამადგეს.
ნაბღის კალთა გადამხადა,
— ეს ვინ არი ეეე?
ეს ხომ ჩემი დოსტი იყო,
რაზე მოვკალ მე? —
იმდროს სული კიდევ მედგა,
შამოვიბლავლე — თქვენი ქირიქე
ძმებოჯან, თქვენ გენაცვალეთ,
ამათ ხელში ნუ გამიშვებთ,
ბარში წამიღეთ.
გაგზავნეთ ბარში ქალალდი,
შეატყობინეთ...
ეს ჩემი ძმა ნიკო
ცხენზე შემოჯდეს,
საცა იყო და არ იყოს
ხომაც მიპოვნეს.
შუა წელზე გადამწყვიტეს,

ცხენზე გადამდეს,
ბარში წამიღეს,
მოსულა ქალი და რძალი
თავს დამტვიროდეს.⁴⁶²

ე ჰ ი ტ ა უ ი ე ბ ი

ბედმა მიმუხთლა, გამწირა,
ღრთები არ გამაშლევენა.
მომწყვეტა მზიან ქვეყანას,
ძირმწარე დამალევენა.
ხანგრძლივი ავადმყოფობით
საწოლი დამაცლევენა.⁴⁶³

*

ოხ, საკვდილო შენი ჯავრი,
რა უდროვოდ შემარხიე.
სამი ადლი ტილო მამეც,
თავს სუდარად მომახვიე.⁴⁶⁴

ნურა კაცი დაიკვეხებს
ქვეყანაზე მართო მე ვარო.
ისიც ესე გახდება
როგორც ეხლა მე ვარო.⁴⁶⁵

*

ორმოცდა ხუთმეტი წლისა ვარ.
ჯერ კარჭი მქონდა ჯანია,
შვილის ბოლმისგან მომკვდარი,
შავს მიწას ჩაეებარია.
ნეტავ გიორგის ეცოცხლნა.
მე კი არ ვიყავ ბრალია.
მოვკამე წუთისოფელი
ჩემი დრონი და ხანია.

*

ცაო გაგცვივდეს ვარსკვლავი
ჩაცვივდეს შუა ზღვაშია.

ვაი თუ მოკვდეს ფირუზი
ცხვარიც ვერ წავა ჩთანშია.
მწყემსობამ ჯოხი დაყაროს.
უკან დაბრუნდეს გზაშია.

•

საყორნით გამომხედულა.
სათიბ ველებსა ეხედაპო.
გამიგონებდით სწორებო,
დამიტირებდი დედაო.
გამწყრალი შვილის ტირილო
რაკი არ შავიხდებო.³⁶⁶

მღვდელი და ეკლესია

დილომში ერთი ღვდელია.
შავთხას მიუგავს წვერია,
ეკლის ეკლესია უდგას,
ხატები არ უსვენია.⁴⁵⁷

•

მარხვა ვის გაუგონია,
მეცხვარისა და მგლისაო
გალობა გამოდიოდა,
ჩვენი პატარა მღვდლისაო.⁴⁶⁸

•

თრიალეთო, თრიალეთო,
მანდ რომ ბერი ტრიალებსო.
თუ ეგ ბერი არ დავკოდეთ.
ქალებს გაგვიტიალეფსო.⁴⁵⁹

•

ლუარსაბა ღვდელი,
თავის სულის მტერი.
ბევრეთიდან მოდიოდა,
გაზუნჯული სველი.
ხურჩინი საესე მოჰქონდა,
ერბო, ქადა, ყველი,

დიაკვანს ეჩხუბებოდა:
— შენ არ ახლო ხელი.
შარშანაც შენ შემიქამე,
მოიგონე ძველი.
ეხლა ეს სულ ჩემი არის,
მაგის წილს ნუ ელი.⁴⁷⁰

რაპქვიანა ღვდელი,
თავის სულის მტერი.
ბევრეთიდან მოდიოდა,
გაზუზული სველი.
არაყი ზვერი მოჰქონდა,
კარაქი და ყველი.
დიაკვანი ეუბნება:
— გავისველოთ ყელი. —
ღვდელი ძლიერ გაუწყრება:
— შენ არ ახლო ხელი,
შენ არაფერი გერგება,
ბრიყვი ხარ და რეტი.
თუ ხმა კიდევ ამოიღე,
თავს გაგიტეხ კეტით.
რამდენჯერა უნდა გითხრა
ნუ ხარ ასე ცეტი.⁴⁷¹

აგრეთია ჩვენი მღვდელი,
როგორც გაზაფხულის მგელი.
ჯეელები გამოლია,
ახლა ბებრებს მიჰყო ხელი.⁴⁷²

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
— ალაპი არის რუსეთსა...
ჩამოისო წვერზე ხელი,
სიტყვები წარმოსთქვა ცხელი:
— შორი არარის თუ კორი არ არისო.⁴⁷³

ერთხელ მღვდელი დიაკვანსა

ერთხელ მღვდელი დიაკვანსა,

წაეჩხუბა: — შე გლახაო.

არაფერი გაგეგება;

სამოწყალოდ გინახავო.

წირვაში და ქელეხებში,

მაგრად ძლები ჩემსავითო.

უჩემოდ კი ხმას არ იღებ

ისე დგახარ ხესავითო.

მე სულ სხვა ვარ, ხალხის მამა,

ღვთის სამართალს ვკითხულობო

და ყოველდღე, ახალახალ

სახარებას ვკითხულობო.

დიაკვანმა უპასუხა:

— მართალს ამბობ შენ, მამაო.

მე ეგ ლანძღვა არ მწყენია.

და კიდევაც მეამაო.

მერე მღვდელი სად იქნება,

შენისთანა ნასწავლიო...

გულში ფიქრობს: — დაიცადე

მე შენ ჰკუას გასწავლიო.

ერთ კვირა ღლეს, როცა მღვდელსა,

წირვა უნდა წამოეწყო

მისი საკითხავი წიგნი,

იქვე მაგიდაზე ეწყო.

დიაკვანი მიეპარა,

შეუმჩნევლად როგორც ქურდი

ღვდელს წიგნიდან მან მოპარა

დანიშნული პრასის კლდი.

და ჩუმაღვე გამობრუნდა,

ვითომც არვის დაუნახავს.

თანაც ჩუმჩუმად იცინის

რადგან იცის სეირს ნახავს.

ღვდელმა წიგნი გადაფურცლა

დაიძახა: — „რქვე უფალმა“.

მაშინ დიაკვანმა ჰკითხა.

— რა თქვა ღმერთმა იმისთანა?
ხალხო, ღვდელი რომ არ ამბობს.
დასამალი არის განა?
მაშინ მღვდელმა უპასუხა:
— ღმერთმა სწორეთ ესა სთქვაო:
„დიაკვანი მოკალიო!“
მაშ მე მღვდელი არ ვყოფილვარ,
თუ გაგიშვა ცოცხალიო. —
გადმოუხტა უცებ მღვდელი,
წამოუვლო კეტსა ხელი.
გამოუდგა დიაკვანსა,
როგორც ცოფიანი მგელი.
ხალხი ჰკვირობს: — ეს რა მოხდა
რამ შეშალა ეს ხუცესი?
რალა ეხლა დაავიწყდა
წირვისა და ლოცვის წესი.⁴⁷⁴

•
რა ნისლი მოგიხვევიათ,
ციციაანთ სერებო?
კათალიკოსი მოგიკვდათ
შავი ჩაიცვით ბერებო.⁴⁷⁵

•
მღვდელო, დარეკე ზარები,
შაგირდათ მოგებარები
ვისწავლი ანაბანასა,
წირვაზე მოგეხმარები.⁴⁷⁶

•
ზემო ქართლელი ხუცესი,
გადმომპარვიყო ყურძენში.
ყურძნით რომ გამაძღარიყო,
ატამს იყრიდა უბეში.⁴⁷⁷

•
სიდედრის დაწუნებულო,
შე საწყალო, შიო ბერო.
კარაქის უჭმელობითა,
ერბო უნდა დაიძველო.⁴⁷⁸

•
ხანდაკსა და კავთისხევსა
ორთა გვყვანდა ერთი ღვდელი.

სე დავარბეინებდით,
როგორც სასიკვდილო გველი.⁴⁷⁹

*

მღვდელმა უბრძანა დიაკვანსა.
— ნეტა რა ღმერთი წყრებაო.
არც ნათვლენ, არც ქორწილია,
არც არავინა კვდებაო.⁴⁸⁰

*

შენ ბერო, დაბერებულხარ,
დაუხვრემიხარ კიასა.
სადაც შენ დაიმარხები,
ნეტავ იმ ეკლესიასა!⁴⁸¹

*

შე დალოცვილო საყდარო,
რათ გინდა ორი კარები.
შადიან და გამოდიან,
თავ დახურული ქალები.⁴⁸²

*

ს ვ კ ს ც ო ბ ს

სოფელმა და ცუდმა ქორმა,
ქმარი ავად გამიხადა.
არც მამიკლა არც აცოცხლა,
საიქიოდ გამიხადა.⁴⁸³

*

არის ერთი რიგი კაცი,
ღმერთს ტყუილად ემადლება.
ათასი რომ ბევრი ჰქონდეს
კიდევ სხვისა ეხარბება.
წავა მალვით ყურს დაუგდებს,
მეზობელი რასა შვრება.
ორი შაურის გულისთვის
ნათელ-მირონს შესძულდება.
ორი მტკაველი მიწისთვის

ძმას მოჰკლავს ან შეაკვდება.
 ეს კი არ იცის უგნურმა
 კაცი კვდება მიწა რჩება.
 კაი კაცის პურ-მარილი
 გზაზე ხილად გაიღება,
 ნეტავი იმის სოფელსა,
 ვისაც ჭკუა გამოჰყვება.
 მშიერს ვაჰმევთ. მწყურვალს ვასმევთ,
 შიშველს შემწეობა ხვდება.
 გზა-დაკარგულს გზას ვასწავლით,
 ისიც მადლად წაგვადგება.
 ას წელიწადს რომ ვიცოცხლოთ,
 სულ ერთ წუთზე გათავდება,
 მოგვივლენ ბედის მწერლები,
 სასთუმალზე დაგვიჭდება,
 ცოდვა ვქენით თუ რამ მადლი,
 ყველა მაშინ გადაგვხდება.⁴⁸⁴

•

კახური ღვინით დავითვერ

კახური ღვინით დავითვერ,
 სამი დღე ვვგდე ლაფშია.
 ამამათრიეს იქიდან,
 დამაზდეს დერეფანშია.
 მოვიდა ქალი ლამაზი,
 ჩამცხო და ჩანცხო თავშია.⁴⁸⁵

დაულიე, ძილი დამიტკება

დავლიე, ძილი დამიტკება,
 სართაულ დავდე თავია.
 ამ ჩემმა ღორმა მუცელმა,
 ცეცხლზე დამისხა წყალია.
 წუხელი დამაკარგვინა
 თვალყუყუნ თეთრი ქალია.⁴⁴⁶

•

დედა გიტირეს რენელო,
სულ მუდამ შარის მდევნელო.
ერთხელ იქნება მოკვდები,
მიწას არ ჩაგიშვებენო.
არცა მოგივლენ მეყვისნი
არცა ცრემლს დაგადენენო.
არცა მღვდელსა მოიყვანენ,
არცა გაზიარებენო.
არცა სახვთოს დაგიკლავენ,
არც ლავაშს დაგიხევენო.
არცა სუფრას გაგიშლიან,
არცა შანდობას დალევენო.
მოგაბავენ ყელზე წნელსა,
ძალღივით გაგათრევენო.
ორსა ბიქსა თრევით მიაჭეს,
დიდ ხევში გადაგდებენო.
იქ მოვა სვაფი-ყორანი,
ძვალ-ხორცსა გაარჩევენო.⁴⁸⁷

•

შვიდნი იყვენ და გაიქცნენ,
იყვენ იმერლის გვარისა.
იყვენ ვერცხლის მოყვარულნი,
მერე პატარა ქალისა.⁴⁸⁸

•

დედა გიტირეს ივანე,
ანანურს ველარ იარე.
შემოგკრა ლეგამ ხანჯალი,
ზარივით შეიყლრიალე.
შაშვივით პირსა აღებდი,
ვირივით დაიღრიალე.
შენ სხვისა ცოლსა ელტვოდი,
შენიც ხომ გაატიალე.
ივანეს დედა მისტირის:
— ვაიმე შვილო ივანე.
მოკეთეს გული მოუკალ,
მტერიც ხომ აახრიალე!⁴⁸⁹

დალამდა — ჩიტი დაღონდა.
გათენდა — გაიხარაო.
ერთი სულძალდი ბებერი,
გაძლა და გაიპარაო.⁴⁹⁰

•

შე მამაძალლო ღვთისია
საქმე რათ იცი ნისია
ულელი ხარი გიბია.
იმას ვერა სცნობ ვისია.
მოდო და, სწორედ გაიგე
შენი არი თუ სხვისია.
დაგიხუქია თვალები
ცხვირზედ წაგისვამს ფისია
არ იცი კაცის გატანა
შენი ტომი და თვისია.⁴⁹¹

•

ვაი შენ გადამკიდესა,
დღედაღამ მგლოვიარესა.
დახურე შენი ლეჩაქი,
შენს გვერდით მწოლიარესა.⁴⁹²

•

ვაუკაცს სხვისა ცოლთან წოლა
ჰგონია კარგი ნამუსი,
ეშმაკისა მუშა ხდება
სთესავს სხვისა მამულში.⁴⁹³

•

მეზობლის ქალმა დამწყველა,
სულ ამომავდო ძირითა.
— ქალო მოგიკედეს ეგ ქმარი,
თავს დასტიროდე დილითა!⁴⁹⁴

•

შავი ხარ, შავს ცხენზე ზიხარ,
შავი თაქალთო გიგია.
ამხანაგს არა კადრულობ,
ცული ზნე შემოგიღია.⁴⁹⁵

ს ა ს უ მ ა რ ო

ერთმა ბიჭმა ქორწილი ქნა
ფეხმომწვარი წიწილითა.
თემო კატას ეუბნება, —
კატა კვდება სიცილითა!⁴⁹⁶

ოდანე ქილა-ქილაო,
თაგვები დაეჭირაო.
ქონი ქილებში ჩაესხა,
ტყავები დაეჭიმაო.⁴⁹⁷

გახსოვს ხამფერ,
თელეთში რომ წამიყვანე ვირითა?
ჯორივით რომ გამოეძეხი
ლობიოთი, წნილითა?
გახსოვს ხამფერ,
შენი ეშხით რომ დაეითვერ ღვინითა?
ეხლა ხამფერ დაგბერდი,
წვერს ვიღებავ ინითა!
შნო რაკალემ, ქემატალ,
რომ გამაძლე ფლავითა
გენაცვალოს ფილტვებში
შენი გიჟი დავითა.⁴⁹⁸

დამთვრალხარ და დაგდებულხარ,
ვით რომ ანეული ჰელტი.
ღვინო როგორ მოგერია,
კაცი იყავ, განა რეტა?⁴⁹⁹

სიმამრი მყავდა იელი,
სიღედრი ქასქანჯიელი.

ცოლი მყვანდა კუდიანი,
არც შე ვიყავე ქრისტიანი.⁵⁰⁰

•
კოტორაშვილო მიხაო,
ეგრე რამ გაგამგელაო.
გუთნის ჯერი არ გეყოფა,
ერთი ქოთანნი წველაო.⁵⁰¹

ლობიოს საგალომბელი

! ოი ყოვლად ნოყიერო ლობიო, \

დიდი არს სახელი შენი,
ივერსა ქვეყნასა ზედან.
დიდება აჩუხჩუხებასა შენსა!
დიდება წინწკალსა შენსა!
დიდება ლაბასა შენსა!
რამეთუ გვირგვინ არს,
თავისა შენისა: ქინძი, ქონდარი და კამა.
და ელის გვამი ჩვენი, ნოყიერებასა შენსა.⁵⁰²

•
ღმერთმანი ძლიერ მეწყინა,
შენი მარცხი და ზიანი.
ვირი მგელმა შეგიქამა,
კურტანი დაგრჩა ტიალი.⁵⁰³

•
მამაშენი ცხონებული,
ორი კეტით დადიოდა.
ერთი ქოცო ღვინო ჰქონდა,
ასი კოკა ჩადიოდა.
როდესაც იმას მოხდიდა,
სულ ქეიფით დადიოდა.⁵⁰⁴

•
ნუ მოკვდები, ჩემო ქმარო.
თორემ არ დავირჩენ თავსა.
ხესა გავალ ქონდრისასა,
მაზედ ჩამოვიხრჩობ თავსა.
ნაგუბარსა ჩავეარდები,
ნაჩლიჭარსა ხარისასა.⁵⁰⁵

სიძემ სთქვა

— ვაი ჩემო ქისაო,
ოქროს ქსოვილისაო.
შიგ ნადებო საქონელო,
ფასო სამოთხისაო. —
სიდედრმა უპასუხა:
— ვნახე შენი ქისაო,
თხისა ბუშტულისაო.
შიგ-ნადები საქონელი,
კბილი ნიორისაო.⁵⁰⁶

•
აჩლაჩუჩლა იაბე, ქალაქს დაიკვიანე,
ერთი ვაშლი მაიტანე ისიც დააჭიანე.
წახვედ ქალის სათხოვნელად, ქართლი შამაიარე.
ჩამოხვედი კავთისხევში, აქაც დაიკვიანე.⁵⁰⁷

ქალო ანაო-ანაო

ქალო ანაო-ანაო,
ხელ-პირი დაგებანაო.
შენი ხელ-პირის ნაბანი,
ავქალას ჩამომდგარაო.
შიგ დიაკვანი დამხრჩვალა,

საწყალი დედის ერთაო.
გალმა ეძებდნენ ნავითა,
გამოღმა ჩანგალ-კავითა.
ეპოვნათ გამოეტანათ,
პირი გაესიყო ლამითა,
ქოჩორი ჩალა-ბულითა.⁵⁰⁸

ქვეყნები სულ მომივლია
ეხლა მივდივარ ქაბასა.
ვინც თავი არ დაგვანებოს,
თან გაპყვეს მამა-პაპასა.⁵⁰⁹

*

დათუქიმ უთხრა მამასა
კაცი რათ გინდა ეული.
შენ ჩემი სიტყვა ირჩიე,
სირეგენით გამორჩეული.⁵¹⁰

გამესეირა მანანა

გამესეირა მანანა,
გამლანძღა, გამათორიაო.
წისქვილი ტივქვეშ ჩამიგდო,
ბორბალი დამიმტერიაო.
გადი-გამოდი მანანო,
ავქალას თურქი დგანანო.
დაუკაზმიათ ცხენები,
ლაგამ წაყრილი დგანანო.⁵¹¹

გათენებისა ხანსაო

გათენებისა ხანსაო რწყილმა მიკბინა მზარსაო.
თოფ-იარაღი ავისხი გავეყვი იმის კვალსაო.
ცხრა დღე და ღამე ვიარე, მივაგნე იმის კვალსაო.
დავუჩოქე და ვესროლე, მოხვდა მარცხენა მზარსაო.
ასსა ურემსა დაუდღე, ორას უღელსა ხარსაო.
ურემი კრიკინით მოდის, ფერსო ემტერევა თვალსაო.

მოვიტანე და დავაგდე იმ ჩემი სახლი კარსაო,
კილო აბაზათ გავყიდე, ვაი ჩემს მოგებასაო.⁵¹²

ფრუშკიასასა ამბობენ

ფრუშკიასასა ამბობენ
აფშოს არა ჰყავს ბადალი.
სასახლეები დამართა,
ლიბო ჩაყარა მაგარი.
ფრუშკია „ბალკონში“ დადის,
შავ ჩექმებშია ჩამჯდარი.
ბიჭია ლაღად გაზრდილი,
პურსა სჭამს როგორც ნაქარი.
მის ხელში არ დაიღვევა,
ჩაი-შაქრიან სტაქანი.
ქალაქს ამბობენ ვაჭრები
ნეტავ გვაჩვენა სად არი!
ამოიარონ წიკოსა,
იხილონ ჩემი სახლ-კარი.
ტყეს ვიყავ სანადიროთა,
დამეცა დიდი ავდარი.
საუბარ ბევრი მეწადა,
სიცივემ მამკლა საწყალი.
ვინძლო თქვენც გამომიგზავნოთ
ლექსი ლექსზედა შემხდარი.⁵¹³

^

წმინდა გიორგიმ დაწყევლოს

— წმინდა გიორგიმ დაწყევლოს,
მაროჯან შენი მძახალი.
ბოსტანში აღარ გაუშვა,
ხახვის ფოჩი და ჭარხალი.
ისე კვნეტავდა ნიორსა,
როგორც მყინვარი შაქარი.
იმდენი მამა გიცხონდა,
რაც ეგ მართალი არ არი!⁵¹⁴

მაჩხანზე ავიარე

მაჩხანზე ავიარე,
წყალი იყო მეტად ძვირი,
პატარძალსა წყალი ვთხოვე
წყალზე არის ჩვენი ვირი.
ჯიბეში ხელი ჩაიყო,
ამაილო ლედვის ჩირი.
სინამ მოვიდოდეს ვირი,
ამით გაისველე პირი.
გაუფიცინე-გამიცინა,
დამანახა თეთრი კბილი,
— რომ წამოგყვე, სად წამიყვან,
საით უნდა მიყო პირი?
— ისეთ ადგილას წაგიყვან
რომ ყვაოდეს ყველა ხილი.
წყალიც იქ გაზოდოდეს.
ალარ მოგვიწდება ვირი.⁵¹⁵

ქებანი, გაბახსებანი

წისქვილი

წისქვილის ამბავს თუ მკითხავ,
თავით ბოლომდე რა უნდა.
ღრმათა გაჭრილი ბორბალი,
იმას რუსხმული სხვა უნდა.
მალლა წყლის გადასაგდები
და გრძელი ღარი სხვა უნდა.
ძირითგან მურყნის ბორბალი,
ორმოცდაათი ფრთა უნდა.
ზემოთგან მაგარი ღერძი,
ზედ ერთი ძირით ქვა უნდა.
ზედ გადადგმული ბოძები,
იმას ხეიმირა სხვა უნდა.

ძირითვან ჩაბმული კრიკა.
რომ აწევ, დაწევა უნდა,
ქალსა ჩააცო, დახურო,
იმაზე მეტი რა უნდა?
ერთი ხელი საშინაო
და საგარეო სხვა უნდა.
თავზე წითელი ბალდადი,
და თავსაკრავი სხვა უნდა.
ფეხზე წითელი ჩუსტები,
„პოლსამოჩკები“ სხვა უნდა.⁵¹⁶

•

შემოდგომამ დაიკვეხა

შემოდგომამ დაიკვეხა:
— დამრჩა ზაფხულის ქონება,
იმის ნაწვევი-ნაღაგი
სულ ჩემკენ მოქანება.
თუნდა ავილოთ ყურძენი,
აბა ზაფხულს რა ერგება?
მე კი დავწურავ ყურძენსა,
პირამდე მოვყრი ქვევრებსა,
გარს შემოუსხავ ბიჭებსა.
თანაც ვამღერებ ტკბილ ხმებსა.
— ზაფხულმა შემოუქაბა:
ძმაო, რათ იკვეხ მაგასა?
ე მაგნაირი სიტყვის თქმას,
რატომ არ ამბობ მართალსა?
რიგი მიღის. რაგი პოღის,
ვერ ხედავ სოფლის წერასა?
არც შენ შეგრჩება ერთი დრო
სწრაფ ნახავ იმ თეთრ წვერასა:
თუ შენ იკვეხი მაჭარსა,
ის ღვინოს დალევს მაგარსა,
შემოუჭდება თბილ ბუხარს.
თან დამღერებს ამასა:
„ეხლა დავჭექ ბუხრის წინა,
ეხლა დამიამლა გული.“

გამცვივდეს თეთრი წვერ-თმა
თუ ვიყო ღვინის ორგულა“.517

შემოტრიალდა ღოლოვო

შემოტრიალდა ღოლოვო,
ლობის მოსდო ბოლო.
—მუცლის ტკივილი გცოდნია,
კაცი უნდა დააღონო.
— შე ფინთო, როგორ დამცინი
შე შავო და ოჯახქორო.
უნიეროდ შენ არ იკმევი
კაცი უნდა ააყროლო.518

ნახშირმა სთქვა მე მაჩივლეთ

ნახშირმა სთქვა, მე მაჩივლეთ,
ჩემგნით ქენით სამართალი.
ყველა ჩემგნით გაკეთდება.
სახნის-საკვეთ-საჭრელი.
ბოლოს ბამბამ შემოსძახა:
— რილათი სჯობს ფერი შენი,
ჩემ დუქანში გადიხელე
ჩიკრიკი მაქვს საბენტელი. —
ახლა ყაჟმა შემოსძახა:
რილათი სჯობს ფერი შენი?
ასეთ ხაოს გამოუშვებ
„კნიაზების“ საკადრელი.
ლარიბიც ხომ ვერ მიყუდის
რადგან მინდა ფული ბევრი. —
ბოლოს ცხვარმა შემოსძახა:
— რილათი სჯობს ფერი შენი?
ოთხივ კუთხივ მატყლი მიდევს
ქვევრებში მაქვს ძველი ყველი.
ბაკის კარებიც ღია მაქვს,
მისგან ბატკანს გამოველი,

ყველაზე დიდი მტერი მყავს
ის ოხერი შავი მგელი.
სამხვთოთ რომ წამომაქცევენ
ბეჭს დაეტანება მღვდელი. —
ბოლოს ყურძენმა შესძახა:
— რილათი სჯობს ღერი თქვენი?
ჩემს მარანში გაღიხედე
ყურძენი მაქვს, ყურძნის წვენი,
ჩემი დამთვრალი ვაჟკაცი
გეგონება ჭკუა თხელი. —
ახლა პურმა შემოსძახა,
დაუძახა: — ერი-ერი,
თიბათვის დღე დამიდგება.
კოხტათ მოვიდერო ყელი,
მაგრა დავადლო მუშები,
ნამგლებს წამოავლონ ხელა.
ცოცხალს მე ვაჭმევ ლუკმასა,
მკვდრებისა ვარ დამმარხველი.⁵¹⁹

სოფლებისა და მხარეების ქება

სოფლების ქებას მოგიყვე,
იმ სატილო სკრისაო,
იალადია ხარისა,
საძოვარია ცხერისაო.⁵²⁰

ზემო ქართლელ კაცს გამსგავსე,
ჩონხა ბოლოგანიერსა,
რაც უნდა გასო, გაჭამო,
ვერ გაგზავნი მადლიერსა.⁵²¹

ერთი ქართლელი ფუჩჩეჩა',
თურმე დამხრჩვალა წყალშია.
იძიეს გამოიძიეს,
ეხ სადაური კაცია?!

¹ ზემო ქართლელს ფუჩჩეჩებს უწოდებენ, რადგან სიმინდსა ჭამენ.

იმაზე იცნეს ფუჩეჩა.
ძვალი ეჩარა ყბაშია.⁵²²

†

„შავო მუხრანო დამპალო“
მანდ ციხის ძირო, ქანდაო,
სადილი გამომიგზავნე,
ველარ გიახელ მანდაო.⁵²³

†

საწყალი მუხრანელები
დაუზოცია ხველასა.
ხანდაკელები ამბობენ,
ძილი სჯობიან ყველასა.⁵²⁴

†

— შავო და ბნელო მუხრანო,
რითა სჯობიხარ წილკანსა? —
— ეგრე ვჯობივარ წილკანსა,
როგორც ბატკანი ციკანსა!⁵²⁵

†

შენ ჩემო თხოო-ციკანო
დიდო მუხრანო, წილკანო,
კაცის დამცდელო დამპალა,
ოსო, ძალისო ვინ ხარო?⁵²⁶

ავჰალელი და მცხეთელი
წყალშია დაუზარელი.
საწყალი დიღმელი კაცო,
ხარჯშია შეუბრალელი.⁵²⁷

†

დიდომი არის ბაღდადი
რომ არ იცოდეს ქარია.
სიმინდი ბევრი მოსულა,
ყველამ დაიდგა ზარია.
დედაკაცები ამბობენ,
ხაუბედუროც არია.⁵²⁸

†

¹ მუხრანი ძველად კაობებისა და ციების ბუდე იყო და ამიტომ უწოდებს ხალხი „შავო მუხრანო დამპალო“.

ღღსო, ღღსო
ქარი ქრისო.
წოდორეთი
ქვას ისვრისო.⁵²⁹

+

ქალაქს ზევითა სოფლები

ქალაქს ზევითა სოფლები,
ნეტავ ვიცოდე ვისია.
სულ თარხნიანთი ყოფილა
წოდორეთი და ღღსია!⁵³⁰

✓

თელოვანსა და ვეძისსა

თელოვანსა და ვეძისსა
ვინ გარევეს მარაქაშია?
თითო ძირი პანტა უდგათ
შემოლოპილი ბაკშია.⁵³¹

✓

შეჭამანდი არ იჭმევა.
ქვაბისაგან წაკალული.
არც პატარძალი ივარგებს,
პატარძალი ავჭალური.
კაცი შიგ ვერ ჩაიხედავს,
წყლისგან არის დახრამული.⁵³²

✓

ათასი ჟამი ასრულდა,
მტკვარი არაგვს შეეფარა,
ბაქომდის ერთად იარეს,
ადგა მტკვარი გაეყარა.
არაგვმა თავის ხერხითა,

¹ მეორე ვარიანტში ასეა: სულ კახნიანთი ყოფილა წოდორეთი და ღღსია

ერთი თევზი მოიპარა.
შეიყარნენ მცხეთელები,
თევზი ბადეს მოეფარა,
დაიჭირეს მცხეთელებმა,
მარტო ველარ შეეჭამათ.
რაც მცხეთელებს დარჩენოდათ,
ზოგი ძეგვში გაეგზავნათ.⁵³³

•
ჰეი ქსილისო, ქსილისო;
თავ-პირი ჩამოგტირისო. ✓
წინარეხელი ქალები
ქვეშიდან შემოგცინისო.⁵³⁴

•
წინარეხული ბალბაო
საქმელად გამომადგაო, ✓
თელადგორელი ქალები,
სატრფოდ არ გამომადგაო.⁵³⁵

•
ატენში ერთი ჰალია
ორასი კოკა გამოდის.
გვერდზე უბრუნავს წისქვილი
შუაზე წყალი ჩამოდის, †
იმისა მეწისქვილესა
შემშლით სული ამოსდის.⁵³⁶

•
ნეტავი თევზი მაქამა
ჭემო ხანდაკის წყლისაო. †
ზედ ღვინო დამალევიანა,
მუხრან ბატონის ზერისაო.⁵³⁷

•
ჩამოვიარე წილკანსა.
თხა მოვაწოვე ციკანსა. ✓
ცოლი ლაშქარში წასულა,
ქმარი ერდოზე ტლინკავსა.⁵³⁸

•
ხიდისთაური ყურძენი, ✓
ჩაეკრიფე კალათაშია,

იმით დამთავრალი ბიჭები,
ვერ გამოსულან კარშია.⁵³⁹

ღმერთმანი მეჭვრიხეული
ბალები რიყიანია,
ისეთი ღვინო დადგება,
წითელი ლალის ფერიო.⁵⁴⁰

ღმერთმანი მეჭვრიხეული
ღვინო დადგება თხელიო,
ისეთი ღვინო დადგება
როგორც რომ ქია ფერიო.⁵⁴¹

ჭოპორტი კარგი სოფელი

ჭოპორტი კარგი სოფელი,
ბალები რიყიანია,
ქალი და რძალი ლამაზი
ვაჟკაცი რიხიანია.⁵⁴²

შინდისი და ტაბახმელა,
ორთავ ერთად გადახმება.
დილით ჩააკრავენ პურსა,
სალამომდის არა ცხვება,
სალამოთი ამოხდიან
თბილ პურათაც არა ხვდებათ.⁵⁴³

დავწყველე აღარ გავივლი,
საგურამოს მაყრობასა,
ღვინოში არაყს გვირევენ
გვიპირებენ დათვრობასა.⁵⁴⁴

ახლო-ახლო სოფლებო,
არაშენდა, ვარიანო.
ვისაც კაი ქალი უნდა
არაშენდას არიანო.⁵⁴⁵

ანანურს ციხე მაღალო,
საყდარო გუმბათიანო.
ქალო და რძალო ლამაზო, ქ
ვაყკაცო ლაზათიანო.⁵⁴⁶

სახვრელელმა კაცმა იცის
გაძღება და გაგორდება.
რაც უნდა მაძლარი იყვეს,
მინც ფაფა აგონდება.⁵⁴⁷

გადვიხედე სარკინეთსა
ქალი ქათამს აგინებსა.
— აქშა, აქშა, შე ოხერო
აგრემც ქორი წაგიღებსა.⁵⁴⁸

ვაი თქვენ თიანელებო,
პურის ჰამა გაქვთ სისხლისა,
კარზე ველარ გამოსულხართ,
პეტრე ფერშალის შიშითა.
პეტრე ფერშალი გამორბის,
თავისი თეთრი კვიცითა,
სად თქმულა, სად გაგონილა,
დაყორულობა რიყისა.⁵⁴⁹

შენ უჯარმავ შემეკობილო

შენ უჯარმავ შემეკობილო,
წინ მინდორო, უკან ტყეო,
ქალებისა სათამაშოვ,
ბიჭებისა სამოთხეო.⁵⁵⁰

კახელებო, თქვენი გოგო
ვნახოთ როგორ მოიქცევა,
დაჯდომაზე ზარმაცია,
ადგომაზე წაიქცევა.⁵⁵¹

კაკალი და მაქარიო
კახი კაცის საგზალიო.⁵⁵²

ხევსურო ხმალი გამშვენებს,
ფშაველო ენა გრძელიო,
ხელში გიჭირავს ბერდენკა,
ტყვია გამოდის ცხელიო.⁵⁵³

ფშაველო კაცო, გამშვენებს,
მრუდი ყალივნის სირაო,
ვერ შეგაშინა ხევსურმა.
ჩხუბი რომ დაგიპირაო.⁵⁵⁴

გეტყობა იმერელი ხარ
ზურგზე გკიდია გიდელი.
შიგ გიდევეს მჭადის ნატეხი
თოხი¹ გაქვს გასასყიდელი.⁵⁵⁵

იმერელი ვარ, ლილღველი,
ზურგზე მკიდია გიდელი,
შიგ სავარცხლები მიწყევია
ქალაქში გასასყიდელიო.⁵⁵⁶

იმერეთიდან ნავალი,
ქალი მინახავს მრავალი;
მორთული და მოკაზმული
მოვის პერანგით ნავალი.⁵⁵⁷

¹ ქართლ-კახეთში ცნობილი არიან იმერელი და რაქველი მკედლები, რომლებიც სამეურნეო იარაღს აწვდიდნენ აღმოსავლეთ საქართველოს.

ოსო ქარჯინით გაზრდილო,
და იმერელო ღომითა,
ქართლელი კაცი დოსა სკამს,
ვინა სჯობია ღონითა.⁵⁵⁸

ერევანს ხილმა მაწყინა,
ბადრიჯანმა და ხურმამო.
ღილით მასველებს ავდარი,
ღამით ნაბდისა ხურვაო.⁵⁵⁹

გაიარ-გამოიარე,
კვერცხი დამიღე ქათამო.
რა კაი კაცი შენა ხარ,
რჯულიც დაგექცეს თათარო.⁵⁶⁰

ბარის კაცო ბართაო,
დაწნეხილო კალათაო,
ქვაბში ნალებს აღარ უშვებ
კიღობანში კარაქსაო.⁵⁶¹

მდინარეების შესახებ

ლიახვმა სთქვა — ავდიღდები,
არავცს არ დავედარები.
ისე მოვდივარ მოვხუი
თითქოს ფეხს მეკრას ნალები.
ორი მცურავი დავახრჩე,
ულვაშებ ნაყელარები.⁵⁶²

არავმა სთქვა: „ავდიღდები
მტკვარო არ დაგედარები.“⁵⁶³

ადიღებულხარ არავგო,
რა თავი აგიგღიაო.

ხეკორძულამ დაიძახა

ორშაბათ დილა გათენდა,
ღრუბელი ეკრა ცასაო.
ჰეჰა-ჰუხილი დიღია,
ანგრეედა მთა და ბარსაო.
ხეკორძულამ დაიძახა,
ეხლა კი ვიჩენ თავსაო:
ნატრადის წისქვილს მოედო,
ჩამოუარა გარსაო.
კოკლუაშვილის წისქვილზე
ნიშნათ გაუშვებს ღარსაო.
კოკლუაშვილი გამორბის,
თავში იცემდა ქვასაო.
— ნეტავ ცოლშვილი გადმირჩეს
წისქვილი ჟანდაბასაო! —
ცოლი ამას ეუბნება:
— კაცო ნუ იკლავ თავსაო.
მარტო შენ თავს ხომ არ არის
აბა შეხედე სხვასაო.
— გაჩუმდი ქალო — ოხერო
როგორ უყურო სხვასაო!
ჩემი წისქვილის ჰადალი
ვის რა მოსტაცა სხვასაო?
მიქელას გულსა ეყრება,
ნატრადე ასხავს წყალსაო:
— შენ ხომ ვენახი გადგირჩა,
შენ რალათ იკლავ თავსაო?⁵⁶⁵

•

კავთისხეურ კავთურასა,
ქვა მოჰქონდა ლოდი ბევრი,
მცხეთის ბოლოზე იყრება,
არაგვი და მტკვარი ჩვენი,

იქ ზომ ერთი მორევია,
ძნელათ მოსაბრუნებელი.
იქ ორი ოსი დაახრჩო
ერთი წვერიანი მღვდელი.
ერთი კამეჩი დაახრჩო,
ის კი ატრიალა ბევრი.⁵⁶⁶

•

ნორიო ძლიერ დასეტყვა,
დაჰყვა იორის პირსაო.
აზამბურ გადაირა,
ნაგლეჯ იყარა კლდისაო.
საგარეჯოში გავიდა,
ციკნები ზოცა თხისაო.
თოხლიაურში გავიდა,
მატყლი აღულა ცხერისაო.⁵⁶⁷

სატრფიალო

ქ ე ბ ა ნ ი

ჩერქეზს გათლილო ისარო,
ქალაქს ნალებო ინითა.
უკვდავებისა წყარო ხარ,
მოღიხარ ოქროს მილითა.⁵⁶⁸

*

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაგებო კირითა,
ჩერქეზს მოკრილო ისარო,
ქალაქს ნალებო ინითა,
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეყრილო ღილითა,
ცავე წმინდა ვარსკვლავიანო,
მზევე დაფენილო ღილითა,
შენთანამც წოლით გამაძლო,
ათი დღე-ღამე ძილითა.⁵⁶⁹

*

გემში ჩავჯექ და ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო.
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.
დილის ცისკარზე გნახევი,
ანთებულ სანთელს გამსგავსე,
კარგათ ვერ დაგინახეო.
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
სახე ვერ დაგინახეო.⁵⁷⁰

*

ქალო, ეგეთი თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირიო.

თვალ-წარბი გადაგქიმია,
სარკეს მიგიგავს პირიო.
ნეტავი შენთან მწოლარეს,
მოუვა ტკბილი ძილიო.⁵⁷¹

აქ მომაწოდე ფანდური,
გითხრა შენი ქება.
ჯერ პირველათა გიცოცხლოს,
ეგ მშობელი დედა.
მაგეთი რომ გაგაჩინა,
მასე დაგამშვენა.
დალოცვილმა იმ ბუნებამ,
მოგცა ტკბილი ენა.
გიხდება ტურფა თვალეში,
დახვალ ნელა-ნელა.
გიხდება ბროლის ყელ-ყური,
როგორც გიშრის თვალი.
ახლა უნდა მოგიტაცო
მოვიხმარო ძილი.⁵⁷²

•

ტანად სარო ტანი ხარ
პირად სახე მზოვანი.
წალკოტის ყვავილი ხარ,
საყნოსველად თოვანი.
გული შენგნით მოწყლულდა
ოხვრა ვალალოვანი.
ესრეთ ვკვდები სევდისგან,
დღე ბნელდება მზოვანი.⁵⁷³

•

ქვეყნები შემოვიარე,
აზრუმი და ჰასანგალა.
ბიჭები ბევრი მინახავს,
არ მინახავს შენისთანა.⁵⁷⁴

•
ოი შენი ჰირიმე,
შუბლი გადამიქიმე.
შენი ქამარ-ხანჯალი,
წელზე შემამიქირე.⁵⁷⁵

•
ძმაო შენზე უკეთესა
ვერვის ვნახავ მომავალსა.
მხარ-ბეჭი და მხარ-კისერი,
გიგავს როსტომ ფალავანსა.⁵⁷⁶

•
ფეხზე ქოში მოგიხდება,
დაკალმული წინდებიო.
შენ კი გენაცვალე, გოგო,
რა კარგი რამ იზრდებიო.⁵⁷⁷

•
დარუჯანის ქალი ვარო,
საქართველოს თვალი ვარო.
ქალო, დარუჯანაო,
დარუჯანის გულისთვისა,
ქალაქს წაველ ფულისათვის,
ქალო დარუჯანაო!⁵⁷⁸

•
ნეტავი შენსა დედასა,
შენ გაუზრდიხარ შვილათა.
არც გინდა პირის დაბანა,
არც წარბის ღება ხშირადა.⁵⁷⁹

•
ვინა გშობა ეგრე კარგი,
თუ ზეციდან ჩამოვარდი.
პირველად რომ დაგინახე,
მე მეგონე ბაღის ვარდი.⁵⁸⁰

•
ამას რა მომაგონებდა,
ქვევიდან შოვა თარეში;
თვალ-ყური ბროლით სავსე გაქვს,
შენ გენაცვალე თვალეში.⁵⁸¹

•
ვაშლი ხარ თურაშაული,
ფერს ვერ შეგიცვლის ზამთარი,
მითხარ, თუ ჩემი არა ხარ:
შემომითვალე მართალი.⁵⁸²

•
მალლა-მალლა დაეფრინაედი,
დაედიოდი ქორივითა
გოგო, ძუძუ დაგინახე,
თეთრი გქონდა ბროლივითა.⁵⁸³

•
გოგო ისეთი თეთრი ხარ
როგორც საყდარში კირიო
ლამე რომ მომაგონდები,
წამოვჯდები და ვტირიო.⁵⁸⁴

ქალ-ვაჟის სურვილი.

აქედანა და შენამდის,
ვარდი მასხია ყელამდის,
რომ ვინმე გამომიშვებდეს,
თამაშით მოვალ შენამდი.
აქედანა და შენამდის,
მთები მიფარავს წინარე.
მე შენის სიყვარულითა,
დაბნედილი ვარ მძინარე.
ასე გამხადა სურვილმა,
დავჯექ და ველარ ვიარე.⁵⁸⁵

•
ოთხ კედელშუა მდებარეს,
ქვიშა ლოგინათ მდებია.
გლოვის პერანგი ჩამიცოშს,
ზედ სევდის ღილი მიბია.
ალარ მახსოვს მზე და მთვარე
რა წესებით განაგებენ.
მე მათაცა შემძულეს,
ჩემთვის ალარ ანათებენ⁵⁸⁶

•
შენი ვარ, შენთვის მოეკვდები,
შენთვის ჩავეცმევ შავსაო.
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
შენ განაცვალე თაფსაო.⁵⁸⁷

•
თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ,
კიდე ვჯობივარ კახსაო.
დავკრამ ფენს, გადავერევი
ბახტრიონ გალანასაო.
ასი ვერ მოვკლა ხმალდანხალ.
გამცვალეთ კახის ქალსაო.⁵⁸⁸

•
პა, ქალო, მძივი, რა მძივი,
ქარვისეული მინაო!
— არ მინდა, შენი ჭირიმე,
მიჯაერდებიან შინაო.
ქმარი მცემს, მაზლი მაგინებს,
მული მილესავს დანასა.
რომ გამიგოს დედამთილმა,
ყულში გამიყრის დანასა.⁵⁸⁹

•
უჭკნოზელო ვარდის კონა
ედემდელო ალვის ხეო,
კეუა-გონება წამართვი,
ჩემო თვალის სინათლეო.
ამეამამდე შენ გელოდი,
არ მოხვედი მომკალ მეო.
დასასრულიც შენგნით იყოს,
მოდო, შენვე დამმარხეო.⁵⁹⁰

•
ქალო, შენი თეთრი კაბა,
წყალს მიჰქონდა მდინარესა,
ჩავეყავ ხელი, ამოვიდე,
ჩაგეხუტე მდინარესა.⁵⁹¹

დანამა ბროლის მინდორი

დანამა ბროლის მინდორი,
მარგალიტისა წვიმამა.
— ქალო პირობას რომ მაძლევ,
გუშინ რომ გითხრა იმანო?
— მე ეხლა არა მცალიან
სალამოს ჩამო შინაო.
მოლოდინი რომ შექნება
კარებს გაუშვებ ღიასა.
პირდაპირ ჩემს სახლში მოდი,
ვინ დაგიხვდება წინასა?
ხომ იცი ჩემი საწოლი
დაგებულია რბილად!
მოხვალ და ჩამომიწვები,
ზედ მოგეკრობი ტკბილად.
შენ ხომ ხელს არ დააყენებ,
გამიხსნი ოქროს ღილასა.
ახლა ნახე შენი შფოთი.
რა ოფლს დაგასხამს ხშირადა.
ოდეს ოფლი დაგაშრება,
ძირს დაეშვები ძილათა.
ადგები, ტანთა ჩაიცომ,
თვალებს იფშენიტამ ფრთხილათა,
ახლა პირს დაგაბანინებ,
წყალსა შაისხავ ცივათა.
ახლა ზუფრას გაგვიშლიან
მოგვივა ჩვენი ღვინაუა.
ისეთი ბრუნდე დედა მყავს
კლდეს გადაადგებს ქვიანსა.
თუ არა ჩავაწოდეთ რა,
ფიცხლავ დაიწყებს ღრიალსა.⁵⁸²

✠ გოგო, ჩაიყვი თეთრები

შავი ყორანი შავ კლდესა
ჩავა და ჩაეგონება,

ჩავე გაძლება ლეშითა,
ლეშითა უხაშელითა.
გოგო ჩაიცივი თეთრები
ნუ დახვალ მუდამ შავითა.
— ბიჭო რას გადამეკიდე,
რას ამიტეხე შარები.
აგრე გაგიხდი საქმესა.
ველარ გაიგნო კარები.
— ქალო, შენსა დერეფანსა
ბოძს მიუდგამ, არ დავაქცევ.
შენი ქმარი ხაშალია,
შეუბერამ, გადავაქცევ.⁵⁹³

ქალო, მანდ რას უზიხარ
ან რომელსა მხარესა.
ვის უზიხარ მახლობლად
ვის უშტერებ თვალებსა.⁵⁹⁴

წუხელის სიზმარი ვნახე

(მთიელი ქალ-ვაჟის გაშაირება)

— წუხელი სიზმარი ვნახე,
ზორბალაურთან მეძინა.
ქვეშ მეგო არხა-ურხუა,
ფარჩის საბანი მეხურა.
გვერდთ მეწვა ლამაზი ქალი,
პირი მისაკენ გებრუნა.
— ეგრე არ იყო, შავ ბიჭავ;
სალორის კარსა გეძინა.
ქვეშ გეგო ჩალა-ჩულანი,
ზედ ნაბდის ძველა გეხურა.
გვერდთ გება ფაშატი ვირი,
პირი მისაკენ გებრუნა.⁵⁹⁵

ქალო, რა ძლიერ გიხდება,
მაგ ბანზედა გადმოდგომა,
არ გაგიშვებ წაუყვანელს,
თუ მობრუნდა შემოდგომა.

აგიყვან და ტახტზე დაგსვამ.
ღმერთმა იცის გამოდგომა.⁵⁹⁶

•

ეხლა დავჯექე ცეცხლის პირსა,
ეხლა დამიამდა გული.
ქალმა ქისა შემიკერა,
ქისა დალიანდაგული.
სანამ მქონდა მიხაროდა,
დავკარგე და დადგა გული.⁵⁹⁷

•

შევარდენი გადმოფრინდა.
თავის ოქროს ბუდიდანა,
ქალმა ვაშლი გადმომიგდო,
ამოიღო უბიდანა.
— აჰა, ბიჭო, შეინახე.
არ გადმიგდო გულიდანა.⁵⁹⁸

•

ქალო, შენი ქალამანი,
წყალს მიჰქონდა მდინარესა.
ჩაეყავ ხელი, ამოვიღე,
მოგიტანე მძინარესა.
თავით გედგა თეთრი ვაშლი,
ფერხით უფრო მსხმოიარე.
თავი გთხოვე, არ მისრულე,
ქმარზე იყავ მგლოვიარე.⁵⁹⁹

•

წინწყარო ჩამოვიარე
ქალი დამიხვდა გზაზედა.
თავი ვთხოვე და არ მამცა,
შადგა უბრალო შარზედა.
— შენ ჩემს ქმარს ხომ კარგად იცნობ,
სულ ხელი უღევს ხმალზედა.
დღისით მიხოცავს ნადირსა,
ღამით უწევარ მკლავზედა.⁶⁰⁰

•

— ბიჭო რასა მოედები,
ნაღვინევი მთვრალივითა?

ჩემი ქმარი ლაშქარს არი,
დაბრუნდება ტარივითა.
სისხლის ნიაღვარს აგიტეხს,
მოგაცურებს ნავივითა.⁶⁰¹

•

ვტირი ვარდისთვის,
იმ ლამაზისთვის.
წამალს არ მაძლევს
ჩემი დარდისთვის.⁶⁰²

•

ადექ და ჩემთან წამოდი,
გაღმოიარე ბანები.
კარს უკან ჩემი საწოლი,
ღია დაგხვდება კარები.
ასწიე ყურთნის საბანსა,
ზედ გადმომხვიე ხელეჭი.
შენი გუნების საქმე ქენ,
მტერს დაუყენე თვალები.⁶⁰³

•

მიყვარდი და შემეყვარე,
ვიყავ შენი მუდარაო.
შენ კი აღარ შემინახე,
მლაღატობდი მუდამაო.⁶⁰⁴

•

ქალო, კრულად გევედრები
წელიწადი გამოსულა.
გასციენია ხეს ფოთოლი,
სხვა ახალი გამოსულა.⁶⁰⁵

•

ტურფავ, შენი გაცნობა,
მიჭდება ძვირი.
მახსოვს ხელის ჩამორთმევა,
თითები რბილი.
მტრედსა მოგიგავს ფეხები,
ბურათი ცხვირი.
ხაკოცნელი გაქვს ლოყები,

შაქარზე ტკბილი.
თეთრეული მოგიხდება,
ზაფხულში გრილი.
შენთან რომ კაცი დაწვეს,
ნუ მისცეს ძილი.⁶⁰⁶

•

ბინდის ფერი ეს სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება.
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაფრინდება.
ქალო, ქალ-თუთო,
ჩემო გულის ვარდო,
შორით ლაშაზო.
იმ გულით შენ გაიხარე,
რა გულით შენ გამახარე.⁶⁰⁷

•

ნ ა ტ მ რ ა

ნეტავი, ქალო, მე და შენ,
ყანები მოგვცა ზიარი.
შიგ სამარგელი მორია,
ნაპირი ჰქონდეს ტყიანი.
მე და შენ ტყეში შეგვეყარა,
ყანები დარჩეს ტიალი.⁶⁰⁸

•

ნეტავ ქალო ფიქვი იყვე,
ხევ-ხევ ჩამოჰყევე ნიავსა
არცა-რა შენ დაგიშავდეს
არც მე ჩამავდო ზიანსა.⁶⁰⁹

•

ტურფა ბალი და წალკოტი,
ეკლითა ვინმე შესარა.

რკინისა კარი შეაბა,
კლიტე მე მომცა, შენ არა.
სიკვდილსა შენსა სანაცვლოს.
თავსა მე მივცემ, შენ არა.
ვაჰ თუ ზედ ისიც დაშერთოს,
მე მიყვარდე და შენ არა.⁶¹⁰

•
ნეტავი გოგო შენი ხმა
ავადმყოფს გამაგონაო,
ტუჩი ტუჩს დამადებინა
ძუძუებს ჩამაკონაო.

მალ-მალე მოდი ჩემთანა
შენც ობოლი ხარ მეცაო.
უბეში ხელის ჩაყოფა
შენც გიამება მეცაო.

ნეტავი გოგო მე და შენ
ერთადამც დაგვაწვინაო,
დაგვხურა ჩემი ნაბადი
მალლით დაუშვი წვიმაო,
ნეტავი გოგო მე და შენ
ერთმანეთს დაგვატოლაო,
რომელიც მეტი მოვიდეს
მაკრატლით გაგვასწორაო.⁶¹¹

•
ნეტავი რადმე მაქცია,
ბულბულად გადამაქცია,
მასწავლა შენი ვენახი,
ვარდებში ჩამამაჩვია.
მოკვრიფო კონა და კონა,
დავფერო ვერცხლის წყალშია,
მოვიტანო და ჩაყარო
შენი საწოლის ბანშია.⁶¹²

•
მთას ვიყავ, ცივი წყალი ვსვი,
ზარს ჩამოვედი — მაჭარი.
ნეტავი გოგო გაგყიდონ,
მე ვიყვე შენი ვაჭარი.⁶¹³

აგერ იმ ხეობაზედა,
წყალი ჩამოდის დართული.
ნეტავი გოგო ჩამაცო
წინდები შენი დართული.⁶¹⁴

ატენის ხეობაზედა,
წყალი ჩამოდის წმინდაო,
ნეტავი ქალო ჩამაცო,
შენი ნაქსოვი წინდაო.⁶¹⁵

ლამაზმა ქალმა დამწყევლა,
თმა შეღებილმა ინითა,
ნეტავი იმას შემყარა,
ზარხოშათ ვიყვე ღვინითა.⁶¹⁶

ნეტავ ქალო, შენმა ქმარმა
ერთი დანა მე დამცესო.
ის წავიდეს, დაიკარგოს,
შენი თავი მე დამრჩესო.⁶¹⁷

საყვარელო, წიგნსა გწერავ
გამითენდა ღლე საწყალი.
ნეტავ შენს კალთაში მოვკვდე
შენის მუჭით მასხა წყალი.
ამას მაინც იტყვის ვინმე;
— შენთვის მოკვდა ის საწყალი.⁶¹⁸

ნეტავი, გოგო, შენი ხმა,
ავადმყოფს გამაგონაო.
დამადებინა პირი პირს,
ძუძუებს ჩამაკონაო.⁶¹⁹

ნეტავ ფრინველად მაქცია
შემსვა მაღალსა მთაზედა.
ქალაუ შენსა წამყვანსა,
შეუდგებოდი კვალზედა.
გულზე ხანჯალი დაუსო,
ვინც შენ დაგიწვენს მკლავზედა.

გული მას აქეთ დაღონდა
რაც შენ შემომხველი გზაზედა.
— ვინა ხარ, ვინ იარები,
ცივსა მალალსა მთაზედა?
ლექებმა თოფი არ დაგკრან
მეხი არ დაგკრან თავზედა.
თორემ დავიცემ დანასა
აქრელებულსა ტარზედა,
გაისმას ჩემი აუგი
თავი მოვიკლა რაზედა.⁶²⁰

•

ქალო, ნეტავ მე და შენა,
არვინ უთხრას დედაშენს,
წითელ ჩუსტებს შენ გიყიდი,
და თავსახვევს დედაშენსა.⁶²¹

სატრფიალო სტროფები ✕

გაღმიდან ქალმა ლამაზმა,
ჩიქილა დამიქნიაო, —
იქით ის მოკლა სურვილმა,
აქეთ მე შემარხიაო.⁶²²

•

გაღმაგდე და დამკარგე,
როგორც ჩერქეზმა ისარი, —
შენ ჩემს გულს ველარ მოიგებ,
ჩემი სათქმელიც ის არი.⁶²³

•

აფჟრინდები, შენთან მოვალ,
შევარდენი შევიქნები,
შენ—ბატონი მწყალობელი,
მე—ერთგული ყმა ვიქნები.⁶²⁴

•

ლამაზო შენსა ხვეენასა,
ლილი შემიწყდა პერანგსა...
გეპოვნოს, გამოგეგზავნოს,
მაგ შენი ძმების ლხენასა.⁶²⁵

•

ახლა შენ წადი ცხვარშია,
წითელპერანგა ქალო,

მეც ეგრე ჩამოვაყოლებ,
ვთაროთ მხარდამხარაო.⁶²⁶

•

გათენებულა, გამიშვი,
თავსა ნუ მამაკვლევინებ,
თოვლი მოსულა თიფქისა,
კვალსა ნუ მოაკვლევინებ.⁶²⁷

•

აქედანაც ვერა გხეღამ
ნისლისა და ბურვისაგან,
შენ უჩემოდ როგორა სძლებ,
მიკვირს შენი გულისაგან.⁶²⁸

•

რა ვქნა, რა უყო თავსაო,
ამ ჩემს პატარა ქმარსაო,
არცა აქვს შენახვის თავი,
არცა მანებებს თავსაო.⁶²⁹

•

ამლამდელსა ღამესა,
შენთვისა ვდგევარ კარზედა,
როდის იქნება გამოხვალ,
დაგინახავდე კარზედა.⁶³⁰

•

დილით ვარდი მოგეკრიფა,
ხელთ გეჭირა კალათითა,
არ ვიცოდი, მოვკვდებოდი,
სიყვარულში ღალატითა.⁶³¹

•

მალლა ცაშია ყინული
აპირებს ჩამოდნობასა;
რაც უნდა გყავდეს მიჭნური,
ვერ გიზამს ჩემოდნობასა.⁶³²

•

მეგრელის ქალსა შევყვარდი.
არაყს მასმევდა დილითა,
ახლა მე ხელი შეუწყე,
ყველს უზიდამდი პინითა.⁶³³

•
ტურთამ რომ ბალი ააგო,
გარს ჩაურიგა ხილები;
რაც შენ დაგშორდი, ლამაზო,
ველარა ვნახე ლხინები.⁶³⁴

•
გადმიშვი მთაო მაღალო,
რა ნისლი დაგიხვევია,
მთას იქით ჩემი მოყვარე,
ლამაზ ქალს ჩაუხვევია.⁶³⁵

•
თეთრო ჩოხის ახალუხო,
ახლო-ახლო ლიანდაგო;
შორსა წეხარ, ახლო მოწეკ,
სად გეხვეწო ნიადაგო.⁶³⁶

•
ლამაზმა სთქვა: ბნელსა ღამეს
მე რათ მინდა ფარანიო, —
მე ეგეთი ბიკი მინდა,
პირს არ ჰქონდეს ბალანიო.⁶³⁷

•
გაზაფხულისა პირზედა,
შამოიძახე ჟეჯილო;
ქალო შენს გამრავლებასა,
ძალლებს არ დამავლეჯინო.⁶³⁸

•
ობოლი ვარ და საწყალი,
ხეთის გულისთვის გამიკითხე.
ეგრე როგორ მამიძულე,
ერთხელ აღარ გამიკითხე.⁶³⁹

•
ქალმა აილო ქვა დამცა,
რა გულმა გააბედინა?
შიგნითა გული მომიკლა,
გარს ცეცხლი მომადებინა.⁶⁴⁰

•
პატარა ხარ, ეგეთი ხარ,
გაიზრდები, რა იქნები?

შენ ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები.⁶⁴¹

•

შენ რომ დამპირდი, ქალწულო,
ველი და არ მომივიდა,
რას ვაქნევ გათენებასა,
თუ სული ამომივიდა.⁶⁴²

•

მინდორში ბალახ-ბულახო,
პატარა ნარის ეკალო;
გოგო, ვისი ხარ ლამაზო
ძუძუებს ამოგეკარო.⁶⁴³

•

შენ, ქალო, ირიანელო,
რომელი ველთა გზირი ხარ?
უკვდავებისა წამალსა.
არ მასმევ, მეტად ძვირი ხარ.⁶⁴⁴

•

გათენებისა ვარსკვლავი
ეუზნებოდა ცისკარსა:
დიდხანს ნუ დაიგვიანებ,
მალე ამოდი, ღვთის მადლსა.⁶⁴⁵

•

ამომავალო ღრუბელო,
გამიყოლიე თანაო...
მაჩვენე ჩემი მიჯნური,
მიმაგდე იმასთანაო.⁶⁴⁶

•

ქალო, შენ კი გენაცვალე,
გადმოდგები ბანზედაო,
ლეჩაქი გიფრიალებდეს,
ლერწამივით ტანზედაო.⁶⁴⁷

•

ლამაზო და მშვენიერო,
ღვინის ფერო მცინარეო,
მე რომ შენსკენ წამოვედი,
შენ რად მოიმძინარეო?⁶⁴⁸

გუშინ ბიჭმა დედაბოძმა
ჩვენი ეზო გადიარა,
ტანზე ეცვა თეთრი ჩოხა,
ქუდი მოენაბდიანა.⁶⁴⁹

•
შორიდან შამამლულუნებ
მტრედი ხარ განა ქედანი,
ერთ მაინც ჩაგეხუტები,
თუ გინდ რომ გავხდე ცხედარი.⁶⁵⁰

•
დილით მზე დაბნედილიყო,
მთვარე აყრიდა შაქარსა;
მთვარე ნუ აყრი შაქარსა,
არავინ მოგცემს მაგ ქალსა.⁶⁵¹

•
სადა ხარ. სად იარები,
შენ ჩემო გულის ლახვარო?
მობრუნდი ერთი გაყოცო
წავიდე დედას ვახარო!⁶⁵²

•
შენ გენაცვალე ლამაზო
რა ყური დაგიგლიათ?
კარები მოგიხურია,
ურდული გაგიყრიათ.⁶⁵³

•
მოვიდა თოვლი,
გათეთრდა მთები.
ქალო გეხვეწები,
ნუ გათხოვდები.⁶⁵⁴

•
წითელი ვაშლი გოგოსა
ხელში ვერ ავადებიინე,
სამი დღე და ღამ ვეხვეწე,
კარი ვერ გავადებიინე.⁶⁵⁵

•
ხელსახოცსაც გადმოგიგდებ,
ოქრომკერდით მოქსოვილსა,

შიგ გავახვევ ჩემსა გულსა,
შენგნით დამწვარ-დადაგულსა.⁶⁵⁶

•

ზემო ქართლიდან წამოველ,
დავექარ ძირობასაო,
გუშინ რომ სიტყვა გითხარი,
როგორ ხარ პირობასაო.⁶⁵⁷

მალლიდან გადმომდგარიყო

მალლიდან გადმომდგარიყო
თვალ-ქუქუნ თეთრი ქალიო,
უყრიალებდა საყურე
ყურში უვლიდა ქარიო,
ხელს მიქნევს: — აქეთ წამოდი
შინ არა ჩემი ქმარიო,
ციხის სანგრევლად გავგზავნე
თავს დასცემია ქვანიო!
მისგან გულ-კლულსა მიშველე.
მირჩიე გზა და მხარიო. —
მახარობელიც მოვიდა:
— ქალო მოგიკლეს ქმარიო, —
სამახარობლო გაილო
სამასი სული ცხვარიო,
იმასაც არ დააჯერა
გაუგდო ნიშა ხარიო,
იმისაც არ დააჯერა
წელს შამოაკრა ხმალიო,
მერე მე მითხრა: — ვინატრი
შენ დაგრჩეს ჩემი თავიო!⁶⁵⁸

•

მალლიდან გადმომდგარიყო,
ქალი ლამაზი, ტანწვრილი:
— შენს უნახავსა ნუ მომკლავ,
ახალგაზრდა ვარ, ყმაწვილი.⁶⁵⁹

წყალსა მოჰქონდა ნაფოცდი

წყალსა მოჰქონდა ნაფოტი,
აღვის ხის ჩამონათალი.
— დადექ ნაფოტო მიაგბე,
მოყვრისა შემონათვალი.
— მოყვარე შენი ტანწერილი,
შუა გზას ენახე დაქრილი,
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ მივაყარე ჰვა წვრილი.⁶⁶⁰

გადმოქცევისაჲ ამბობენ

გადმოქცევისაჲ ამბობენ
მალღა თოვლეთის მთისასა.
შიგ დატანებას ლამობენ,
სამოცი ხევსურისასა.
ხევსურო, ოქროს ლოგინო,
შიგ სამნი დანი წევანანო.
არ ვიცი, ჯომელს შევყვარდე,
სამივ ერთმანეთს ჰგევანანო.⁶⁶¹

თავფარავენელი ჭაბუკი

თავფარავენელი ჭაბუკი
ასპინძას ქალსა ჰყვარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.
ერთი სულძაღლი ბებერი,
აქრობდა, აბეზარობდა.
ჭაბუკი წყალში მისცურამს,
მიდის და მიიჩქაროდა.
ცალს მკლავს ეკეთა გელაზი,
და ცალ მკლავს ისე ხმარობდა,
ჭაბუკი წყალმა დაახრჩო,
ზედ ნიაღვარი ჩქარობდა.
ჭაბუკის ძუძუ მკერდზედა,
ორბი იჯდა და ხარობდა.⁶⁶²

მთაო, გადმიშვი, გადმიშვი

მთაო, გადმიშვი, გადმიშვი,
რა ნისლი მოგიხვევია
მთას იქით ჩემსა სატრფოსა,
სხვა ვინმე ჩაუხვევინია.
გადმიშვი, მთაო, გადმიშვი,
ბრძოლას აუტეხ, ცხარესა,
ან შევაკვდები, ან ვიხსნი,
ჩემი სიცოცხლის მთვარესა.
ვაი თუ ჩემმა მიჯნურმა
სხვაზედ გამცვალა ნებიითა,
და ახალ სატრფოს ეკონვის,
ნეტარის სავსე ვნებითა.
მაშინ კი ჩემი ფრანგული,
გულ-მკერდს გაუპობს ტრფიალსა.
და საწამლავად შეუცვლის
ნეტართ სავსე ფიალსა.
გადმიშვი მთაო — გადმიშვი,
გადმიშვი მთაო ბიღარა!
მე შენი არა მინღარა!⁶⁶³

ქალები დაგროვდებიან

ქალები დაგროვდებიან
სუფთა კალოზეო.
ერთმანეთს ეუბნებიან,
— შენ ვინ გინდა ეო?
ერთმა ქალმა დაიკვება,
— ერთი მიყვარს მეო.
გუშინ საყდარში ვიყავი,
ბიჭი გავსინჯეო.
გვერდზე ეყარა ქოჩორი,
მე მოვიწონეო.
შავხედე და შემომხედა,
გამიცინა მეო.

მე როჲ იჰან გამიციანა,
თავი ჩავლუნეო.
თურმე ნუ იტვით, ქალებო,
გული აქვს ჩემზეო.⁶⁶⁴

აი დედამ-დედამ

აი დედამ-დედამ,
ქალი ზის წყაროზედამ.
აცვია მოვის პერანგი,
უხდება კაბაზედამ.
წამომყე, წამოვიყვანოთ
დავისვით კარებზედამ.⁶⁶⁵

ვისია ქალი ლამაზი

ვისია მწვანე კარავი,
კარავში არ ერჩეოდა.
ვისია ქალი ლამაზი,
ქალებში არ ერჩეოდა.
გვერდს უჯდა ბიკი ლამაზი
ჰკოცნიდა ზედ ელეოდა.⁶⁶⁶

სოფელი გადმოვიარე

სოფელი გადმოვიარე,
ქუდი გადმოვისრიალე.
ისე მივედი ოჯახში,
ძალდი არ შევახმიაწე.
ისე შევალე კარები,
ქუსლი არ შეუჰკრიალე,
ისე ავანთე სანთელი,
კრაქი არ შევახმიაწე.

ისე ავსწიე საბანი,
ბოლო არ შევეუშრიალე.
ისე ჩაუწეკ ლამაზსა,
ძილი არ დაუფრთხიალე!⁶⁶⁷

მანგლისი რომ ააშენეს

მანგლისი რომ ააშენეს,
წყარო ადინეს მილითა,
დამართეს სასახლეები,
თეთრად დალესეს კირითა,
შიგა ზის ქალი ლამაზი,
ხელებს იღებავს ინითა.
თრიალეთიდან მეცხვარე,
ყველს უზიდავდა პინითა.
მეცხვარეს ცოლათ უნდოდა,
ვერ გაუბედა პირითა.
ქალმა დასწყევლა მეცხვარე,
თავის ცხვრითა და ბინითა:
— მეცხვარევე, ცხვარი გეხოცოს,
გახურებული ჭირითა.
დანოცილები გეზიდოს,
ორტარიანი ჭინითა. —
ახლა მეცხვარემ დასწყევლა.
თავის ცოდვილი პირითა:
— ქალო, შენ ქმარი მოგიკვდეს,
თავ დასტიროდე დილითა.
ჩამოვიარო დილითა,
ჩემი ქამანჩა-სტვირითა.⁶⁶⁸

¹ ლექსი „ივენანა“-ს ცნობილი ტექსტის გადაკეთებას წარმოადგენს. (რედ.).

ა თ რ ი ზ მ ე ბ ი
და
მოსწრებული სიტყვები

სიკვდილო, სიციცხლისათვის
ქრთამსა ვერ მოგცემ მუღამა;
მაინც არ შეგეპუები,
თავით რომ მეღოს სუღარა.⁶⁶⁹

*

ნამუსისათვის გამოვა,
ულვაშები და წვერია;
რაც გინდა ელაპარაკე,
თუ კაცსა არა სცხენია.⁶⁷⁰

*

ძმაო, რაი სჯობს ძმობასა,
ერთმანეთისა ყრმობასა,
ერთმანეთი ვერ ვიცანით
დახე ჩვენს უგონობასა.
ძმა მაშინ მოგაგონდება,
შვიდი რომ გცემდეს მარტოსა,
მაშველებელი არ იყოს,
ეფარებოდე ფლატოსა.⁶⁷¹

*

ხე ხმება და ფესვი რჩება,
ფესვი ისევ აყვავდება,
ის დედა არა კვდება,
რომლის შვილიც დაფასდება.⁶⁷²

*

მალლა მთიდანა ყინული,
აპირებს ჩამოდნობასა.
გინდ მყავდეს ცხრა მეგობარი
მაინც ვერ იქმენ ძმობასა.⁶⁷³

•
პატარა მერცხლის კლანჭითა,
არწივი არ დაიჭირვის;
თუ კაცსა ბედი არა აქვს,
ტყუილად საქმეს იჭირვის.⁶⁷⁴

•
სიყვარულსა მალვა უნდა,
როგორც ცხენსა ნაპარევსა;
თუ გაიგეს გლოვა უნდა,
როგორც ძმასა საყვარელსა.⁶⁷⁵

•
რით არ იცი უგუნურო;
ვერ დაიჭერს ლომსა ბადე;
ხელშეკრული ტყვე გახლავარ,
გამიშვი და გამომცადე.⁶⁷⁶

•
შარი ბეგო, შარი ბეგო.
სკამ და არას არიგებო.
ხალხს რომ არაფერს არგიხარ,
სიბერის ღროს გაიგებო.⁶⁷⁷

•
კამეჩი ლონიერია,
ულელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება წაიღებს,
თავისასა და სხვისასა.⁶⁷⁸

•
როსტომ სთქვა: ჩემი ქართული,
ჩინეთის ქვაზე სწერია:
ვიზეც დავთესე სიკეთე
ის უფრო ჩემი მტერია.⁶⁷⁹

•
სიძეო ცოლეურთასა,
გამჩინაობა გინდაო,
დიღთანა და პატარასთან,
ჩოქევით სალამი გინდაო.⁶⁸⁰

•
ვაჟკაცსა ცოლის სიავე
შუა გზას მოაგონდება,

წაიღებს საფიქრებელი,
გზას იქით გადავარდება.
წავა და ღვინით გაძღება,
გულიდან გადუვარდება.⁶⁸¹

•

ქალი ქერსა ჰგავს ბეჩავსა,
სადამ რა გაილეწება,
ვინ მომკის ან ვინ შეჰკონავს,
სადამ არ გაილეწება.⁶⁸²

•

სიკვდილმა ქრთამი არ იცის,
არცა რა დიდკაცის შეილობა,
ვისაც მოასწრობს წაიღებს,
როგორც წისქვილში პირობა.⁶⁸³

•

თხამა სთქვა: — მგელი მომკვდარა! —
გაიცინა და შახტაო.
— შე თხოო, რას გაგეცინა,
განა სამგლეთი წახდაო?
შენ თუ დაზარდე ციკნები,
მგელსაც ლეკვები დარჩაო.⁶⁸⁴

•

სამოცდა სამი შვილი ჰყავს,
გიორგი ქიშვარდიანსა,
ერთის პატრონს დანატროდა
გონიერსა და ჭკვიანსა.⁶⁸⁵

•

მდიდარი ბევრი მინახავს
ოხრათ რჩენია ქონება,
აგერა გააქვთ ცხედარი,
ნეტა რა მიექონება?
სამი ადლი ტილო მიაქვს,
ის არის იმის ქონება.⁶⁸⁶

•

როსტომ სთქვა:
— სიბერ კაცითა,
სიტყვა სათქმელად გაჭირდა.⁶⁸⁷

•
დედა ობლების გამჩენი,
კაცი მკვლელს ედარებოდა,
უბეში ესხა გველები,
ძუძუებს ეტანებოდა.⁶⁸⁸

•
არ დაგაყვედრი ყორანო,
შენ ჩემი ლეშით ძლებოდე,
მე შენი არ მეშინოდეს,
შენ ჩემი შიშით ქრებოდე.⁶⁸⁹

•
ვაი ამ უცხო სოფელსა,
კაცი რად დავალ რეტია;
რაც გინდა კარგი სიტყვა ვთქვა
მაინც იტყვიან — ცეტია.⁶⁹⁰

•
ასწიე მძიმე-მძიმესა,
მსუბუქზე რალა მეტია,
თუ კაცი კაცსა არ იცნობს,
სიკვდილზე გადამეტია.⁶⁹¹

•
საცა არ გეხარჯებოდეს,
ლხინს ნურა გირჩეენია რა,
გაძეხი, გამოითვერი,
სახლის გზაც მონახე ჩქარა.⁶⁹²

•
კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა,
რაც გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც მოსწონს კიდევ სხვისა.⁶⁹³

•
ჭიანჭველას ღმერთი მაშინ გაუწყრება,
როცა ფრთები გამოუვა:
მთაში წასვლას მაინდომებს
გზაზე სული ამოუვა.⁶⁹⁴

•
ნუ დაღონდები ღარიბო,
ერთი დრო შენც კი მოგივა,
ზოგს დღესა მოგცემს, ზოგს ხეაღე,
სულ ერთ ბარში წაგივა.⁶⁹⁵

•
არამ კაცს ისე ჰგონია,
არამი ლუკმა ტყბილია,
მამამ შექამა ტყემალი,
შვილიშვილს მოსკრა კბილია.⁶⁹⁶

•
არ უნდა ეჩხუბებოდეს
სულ მუდამ ცოლი ქმარსაო,
ერთხელ იქნება გაარტყავს,
ცეცხლიან მოგუზალსაო.⁶⁹⁷

•
ვინა თქვა წილი არ უდევს,
თუ დედა გაზრდის შვილებსა,
ცხრა თვესა მუცლით ატარებს,
მეათეს მოუხშირებსა.⁶⁹⁸

•
ვაი რა ცოდო-ბრაღია,
შევარდენ მიაქვს ძერასა,
კაცი ვერსად ვერ წაუვა,
თავის ბედსა და წერასა.⁶⁹⁹

•
ობოლი გაზრდას მოელის.
ღარიბი გამდიდრებასა.
პატარა ცოლის პატრონი,
მოელის გადიდებასა.⁷⁰⁰

•
ღვინომ სთქვა ქაჭანაურმა:
უცეცხლოდ ამოვდუღდები.
ქკვიანთან ბრძენთა ბრძენი ვარ,
რეგვენთან — წამოვჩხუბდები.⁷⁰¹

•
ღმერთო, ვაჟკაცსა ნუ მისცემ
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,

ის მოჰკლავს, ის დააბერებს,
წყალსაც ის მისცემს მდინარსა.⁷⁰²

მთიდან ღრუბელი დაეშო,
თავ-თავქვე დაეკიდება,
ვაჟკაცი ამპარტავანი,
სილაღეს მოეკიდება.⁷⁰³

ავლაბარი და კუკია,
ქალაქის ბოლოს კუნტია.
საწყალი კაცის საგზალი, |
ერთი პატარა კუტია.⁷⁰⁴ |

ქორო, ფრენა ვინ გასწავლა,
შავარდენო ნადირობა,
გლეხსა კაცსა მუშაობა,
აზნაურსა გაზრდილობა!⁷⁰⁵

ყმა გავლილ-გამოვლილი სჯობს,
ქვეყნიერება ნახული.
ქალ-მამის კერას ნაჯდომი,
საქმარეთ თავშენახული.⁷⁰⁶

თეთრი თხისა ხარ ციკანო,
შორით გეტყობა ვაცობა;
დღეს ღვინო გალაპარაკებს
ხვალ ენახოთ შენი კაცობა.⁷⁰⁸

კარგი ხარ კარგო ყოფაო,
ბევრო ცხვარო და ძროხაო,
საწუთროდ სანახევრო ხარ,
მოსასხამო და ჩოხაო.⁷⁰⁹

ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან
ზოგსა კაცსა — კაცუნაო,
ზოგს დედაკაცს დედაკაცი,
ზოგსა დედაკაცუნაო.⁷¹⁰

ქათამს დავკლავ,
ლორსა სჯობდეს,
სიტყვას ვიტყვი,
ორსა სჯობდეს.⁷¹¹

*

ეგრე არა ჰქნა ხუცესო
საქმე არა ჰქნა უწესო,
თორემ ეგ შენი ნაქნარი,
შენს შვილიშვილსა უწევსო.⁷¹²

*

აღათია და წესია,
ფეტვი ადგილზე სთესია,
რამ შეგაშინა ეხლავე;
ჯერ ხომ არ დამიკვნესია.⁷¹³

*

ჰაი გიდი მუხრანელო,
შენ მითვლიდი მუქარასა.
არ იცი რომ დაგხვდებოდი,
ფარიანი, უფაროსა?!⁷¹⁴

*

აღდგომა სჯობს ნამიანი,
ამალლება დარიანი,
სხვა კი არაფერი ვიცი,
პური მოდის გვარიანი.⁷¹⁵

*

მთიულია და ბრიყვობსო,
დე, თავისათვის იყოსო.⁷¹⁶

*

ცეცხლო თუ დამწვავ წესია,
შენ რაღად, ნედლო შეშაო?
ქალო, თუ დამწვავ წესია,
შენ რაღად, ქალის დედაო?
ხმალო თუ გასპრი წესია,
შენ რაღად კაცის ენაო? ⁷¹⁷

*

მოყვარეს შემოუთვლია:
— მოყვრის მოყვარე კვდებაო.

— მოკედეს და ჯანი გავარდეს,
სხვა უკეთესი მრჩებაო!⁷¹⁸

*

ამო მზეო, გამიგონე,
საცა ვიყვე გამიგონე.⁷¹⁹

*

სულ რომ მე ვილაპარაკო
დამიძახებენ ყბედსაო;
თავად მენა ვარ სულელი.
ნულა ვაგიყებ სხვებსაო.⁷²⁰

*

ღმერთი დიდათ გაისარჯა
ჩვენი გამოსახვისთვისა;
ახლო-ახლო დაგვასახლა
ერთმანეთის ნახვისთვისა⁷²¹

*

ღმერთო, ერთობლივ მიცენიხარ
რას დაგიწყვიან ღონება;
ღმერთო იმას გეხვეწები,
მომეც ჭკუა და გონება.⁷²²

*

ბევრი ვეწვალე ვერ დაეწან
გოდორი აემანუკისა;
ვერცა ყური ამოვები,
წითელი კოწახურისა¹.⁷²³

*

დავეხსნათ ჭორის კრეფასა
ძრახვასა მეზობლისასა;
ჩვენც ისე დაეიხოცებით
როგორცა ვხედავთ სხვისასა.⁷²⁴

¹ ტექსტის მთქმელმა შემდეგი განმარტება დაურთო:—ძველათ ასეთი წესი უღილა: როდესაც კაცი დაბერდებოდა, მისი შვილი გოდორს დაწნავდა, შიგ ჩასვამდა მამას და კლდეზე ჩადავდებდა. ერთ კაცს მამა მოხუცებოდა და დრო მოსვლოდა კლდეზე გადავდებისა. დაეწყო შვილს გოდორის წენა. მამა მიხვედრილიყო თუ რას უმზადებდა შვილი და ეუქვა: „შვილო ისეთი გოდორი დაწანი, რომ ჩემ შვილისშვილსაც ვამოადგესო“. შვილი გონს მოსულიყო და გოდორის წენისათვის თავი მიენებინა. როცა ჩაღზმა მოიკითხა რა ქენი. მამაშენს რა უყავიო: შვილს ეთქო ბიჭრი ვეწვალე ვერ დაეწან გოდორი აემანუკისა, ვერცა ყური ამოვები წითელი კოწახურისა.

•
თუ ვერ მოვიხმარ იარაღს,
როგორც რიგი და წესია,
რომ არ მეკიდოს წელზედა,
ათასჯერ უკეთესია.⁷²⁵

•
ბევრი ლეინო მოგვივიდა
ჩვენ დილოში წელსა;
კაი გამგონე კი უნდა,
კაი სიტყვის მტკმელსა.⁷²⁶

•
დასხდებიან ჩვენი მტრები,
ჩვენსა საქმეს განაგებენ,
პირუტულმა ხმაღს გაღოსენ,
ზელუკულმა ჩააგებენ.⁷²⁷

•
დათუკიმ უთხრა მამასა,
კაცი რათ გინდა ეული.
კაცი რათ გინდა ეული;
სირეგვნით გამორჩეული.⁷²⁸

•
ეშმაკმა სთქვა: საცა თბილი საბანია
ანხე ჩემი ბაბანია;
საცა ხმალი შიშველია,
შე იქ ვერას გიშველია.⁷²⁹

•
არა უშავს რა წაქვილსა,
დატრიალდება წყლის პირსა.

•
კაპიკმა გამაგზავნა:
—კაპიკისა ხურმაო.
კარგიც იყვეს, ბევრიც იყვეს,
კაპიკ ისევ ხურდაო!⁷³⁰

•
ვაი დედიჩემის ღმერთსა,
რა ქრელათა ეხედავ დღესა,
რაც აქამდის მაღლი ვქენი,
ახლად ცოდოდ გადმექცესა.⁷³¹

•
გაუმარჯოს პავლესაო
დაასხავს და დალევსაო.⁷³²

•
წუთისოფელმა უწყალომ
ბალამი დამალევინა,
არც მომკლა, არც დამარჩინა,-
არც სული დამალევინა.⁷³³

ვაი თუ მოვკვდე, მოვექცე
ორმოსა ბნელეთისასა,
სიკვდილსა დავღონებულვარ:-
სიკვდილსა ბნელეთისასა.⁷³⁴

•
ციცას აღებლამე გაქრეს,
ხევსურის ტყუილი ფიცი,
რაც უნდა მელაპარაკო,
მე კუდიანივით ვიცი.⁷³⁵

•
ნუ დაიკვეხებ მამულო
ყველა ამინდის შვილია.⁷³⁶

•
ჩაეარდი საგონებელსა,
როგორც კამეჩი მორევსა,
ვიწევ და ვერ ამოვსულვარ:-
უყურე ჩემსა ღონესა.⁷³⁷

•
აღარავარ იმ კილოსა
ლურჯამ ჩაიკინკილოსა.⁷³⁸

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ტექსტის ჰასპორტი

- შ. ზოგიერთი გამოჩენილი მთქმელის რეპერტუარი
- ზოგიერთი სიტყვების ასსნა
- ჟ. სამიებლები

საკმირო-საისტორიო

1. მტერსა რო მტრობას უწევდეს — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილოში, ჩამწერი დიღმის სამ. სკოლის მოსწავლე ანზორ მიხეილის ძე შოშიტაშვილი.

ა. 'შოშიტაშვილი ჩემი დავალებით იწერდა ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებას და მრავალი საუკეთესო ნიმუშიც მომაწოდა, რომელიც ამ წიგნშია მოთავსებული.

2. ზამთარი ვარდსა დააქცნობს — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილოში, მთქმელი მაქსიმე დიმიტრის ძე მზარეულიშვილი, 78 წ., გზირ-ნაცვლად ნამყოფი. მ. მზარეულიშვილი ცნობილი მოლექსეა. როცა გზაში შეგხვდებით საღმის შემდეგ უეკველად ლექსით გაგიმასპინძლდებით. 'მაქსიმე მზარეულიშვილი ახალგაზრდობისას მწყემსად ყოფილა ძროხებში და ცხვარში, შემდეგ კი გზირ-ნაცვლად. მის რეპერტუარში შედის როგორც სასიმღერო ესე „სასეირო“ ლექსები. მისგან ჩაწერილი ლექსების რაოდენობა. 144 აღემატება.

3. ვაჟო-კაცო მე რა გაქო — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილოში, მთქმელი გიგო ივანეს ძე სოზიაშვილი, 78 წ. კოლმეურნე.

გ. სოზიაშვილი მრავალ ლექსებს გადმომცემდა ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ მწიგნობრულსაც გამოურევდა. ახალგაზრდობაში უმსახურია თბილისში ქართველ მწერალთა საზოგადოებაში და ხშირად ხვდებოდა ქართველ მოლექსეებს: ილიას, აკაკის, ივ. მაჩაბელს და სხვებს და იმათგან შეისწავლა მრავალი ლიტერატურული ლექსი. მაგალითად აკაკის ლექსის „ქალარა“-ს მიბაძვით გიგო სოზიაშვილმა თავის თავზე შექმნა ლექსი; „დავბერდი დავჩაჩანაკდი“, იხ. შენიშვნა № 453.

გ. სოზიაშვილი მრავალ ადგილას ნაწალი კაცი იყო. ურმით ქირაზე დადიოდა. მშვენივრად ერკვეოდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. პატარაობისას უვლია მწყემსად, შემდეგ მეცხვა-რედ. უჭუშავია ხენა-თესვაზე, მეზღეთ, მოჭამაგირეთ და ბოლოს ზოწინავე და საბატო კაცად ითვლებოდა კოლმეურნეობაში. გ. სოზიაშვილი გარდაიცვალა 1953 წ.

4. ლომისა ტყავსა ჩაიცმევ — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილოში, მთქმელი ალექსანდრე იაკობის ძე სონღულაშვილი, 55 წ. კოლმეურნე.

აღ. სონღულაშვილი, საუკეთესო ამბების მთხრობელი, იყო საუკეთესო მეჩონგურე და კარგ მომღერლადაც ითვლებოდა. გარდაიცვალა 1952 წ.

5. ვაჟკაცს არ გამოადგება—ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

6. ბევრი რათუნ და დედასა—ჩაწ. 1951 წ., სოფ. დილომში, მთქმელი ანტონ ლაზარეს ძე სონღულაშვილი, 70 წ. კოლმეურნე.

ა. სონღულაშვილი ცნობილი მოლექსე და მომღერალია. მელექსეობა და მომღერლობა მემკვიდრეობით მოსდგამს. ა. სონღულაშვილის მამა ლაზარე (ლაზო) განთქმული მაყარი და მოლექსე ყოფილა, მის მიერ გამოთქმული ლექსები (ლექსები № 422—447) და სიმღერები დღემდე ცოცხლობს ხალხში. ანტონ სონღულაშვილს პეტად მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარით ვიცნობთ. მისგან ჩაწერილი ლექსების რაოდენობა 160 აღემატება. ანტონ სონღულაშვილი პროფესიით მეურმე ყოფილა, მოვლილი აქვს საქართველოს მრავალი კუთხე და საქართველოს გარეთაც ყოფილა. ამავე დროს მისდევდა ხვნა-თესვას და მებაღეობას. მის რეპერტუარში ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა კუთხეში გაგონილ ლექსებს — მოხეურს, მთიულურს და სხვ.

7. ვაჟკაცსა გული რკინისა... — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.

8. მთიული ვარ მთას გაზრდილი... — ჩაწ. 1953 წ. სოფ. დილომში, მთქმელი მიხეილ თეოფანეს ძე სონღულაშვილი, 66 წ. მუშა-მოსმსახურე. მ. სონღულაშვილი კარგი მომღერალი და მცოდნეა ძველი ქართული ხალხური სიმღერებისა. მისგან ჩაწერილ ლექსებისა და სიმღერების რაოდენობა 66 უდრის.

9. აი ესია, მესია... — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.

10. ვაჟკაცსა გული რკინისა... — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

11. ზღვის პირას ვილაცა იჯდა — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.

12. ხმალმა თქვა — ჩაწ. 1953 წ. სოფ. ქვემო ხვითში, ჩამწერი თამარ გიორგის ასული მაჩაბელი.

13. თოფმა თქვა — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.

14. ვახტანგ მეფე — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

15. ერეკლე ნეფის დროშა — ჩაწ. 1943 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

16. მეფე ერეკლე — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, მთქმელი სანდრო ილარიონის ძე მამუჩაშვილი 90 წ.

ს. მამუჩაშვილი მრავალი ლექსისა და სიმღერების მცოდნეა, მოხუცებულობას თავისი კვალი დაუმჩნევია. დაბრმავებულია. სამწუხაროდ არ შემეძლო სიმორის გამო შევხვედრილიყავ მრავალჯერ და მისი სიმღერებისა და ლექსების ცოდნის სალარო ამოიეწურა.

17. მეფე ერეკლემ დასქვივლა — ჩაწ. 1952 წ., სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 16.

18. სოლომონ ბუტულაშვილი — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

19. სოლომონ ბუტულაშვილი — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, მთქმელი შალვა ხმალაძე 30 წ. კოლმეურნე.

20. გადი-გამოდი მანანო — ჩაწ. 1950 წ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

21. ფაშა იმერეთს წავიდა — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

22. ასე ამბობდა ქართველი — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.

23. ნეტა რა არის მისთანა — ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში, მთქმელი კაკოლა კენჭიაშვილი, 76 წ. კოლმეურნე.

24. ქალაქში სიონ საყდარი — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, მთქმელი დავით ანდრიას ძე სონღულაშვილი, 89 წ. კოლმეურნე.

დ. სონღულაშვილი კარგი მოლექსე და მომღერალია. დავითმა ანტონ სონღულაშვილზე (იხ. შენ № 6) მეტი ლექსი და სიმღერა იცის. მაგრამ სამწუხაროდ ძალზე ძუნწი სიტყვის პატრონია. თუ კი რამ ჩამიწერია დავითისაგან ისიც ძალდატანებით.

25. ქალაქში სიონ საყდარი — ჩაწ. 1952 წ. სოფ. ძეგვში, მთქმელი ზაქარია დარჩიას ძე სოლოლაშვილი, 55 წ.

26. იმერელმა და ქართველმა — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 24.

27. ერისთვის სიკვდილი — ჩაწ. სოფ. დილომში, მკვლევარ იროდიონ თომას ძე სონღულაშვილის მიერ.

28. ღმერთმა ქნას, სვეტიცხოველმა — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. მთქმელი სიკო გილაური, 80 წ. კოლმეურნე.

29. ამბავსა მკითხავთ, გაიმბობთ — ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 24.

30. მარტყოფო, დიღო სოფელი — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში, მთქმელი ასლან თომას ძე თეთრაშვილი 69 წ. კოლმეურნე. ა. თეთრაშვილი მჭერმეტყველი და კარგი მოლექსეა. მისგან მრავალი ლექსები ჩავიწერე. უნდა ითქვას, რომ ასლან თეთრაშვილი ჩემს მუშაობას შეგნებულად შეხვდა და ვალდებულადაც თვლიდა თავს, თუკი რამ იცოდა, უკანასკნელ ლექსამდე ჩაეწერიებინა ჩემთვის. ასლან თეთრაშვილი სანაქებო მებოსტნეთა და მებაღეთ ითვლება.

31. თუში ვარ, ტანად დაბალი — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

32. ბიჭო, ნუ ჩახვალ ხოშრას — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.

33. მაისისა ათსა დღესა — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 16.

34. მალა, მალალსა მთაზედა — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.

35. დიდგორობის წინა დღესა — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, მთქმელი იობა ხმალაძე 82 წ. ი. ხმალაძეს მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს. ი. ხმალაძე ახალგაზრდობისას მეცხვარეთ იყო და შემთხვევა ჰქონდა გასცნობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეცხვარეებს და მათ მდიდარ ზეპირსიტყვაობას. მის რეპერტუარში ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა კუთხის ხალხისაგან გაგონილ ლექსებს: მოხუერს, მთიულურს, ფშაურს და სხვ.

36. ამოწყდა საბუდიანო — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

37. როსტომ ყიზილბაშიშვილმა — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

38. მთიდან მოსული ვაჟკაცი — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.

39. შენ, ბიჭო ანანურელი — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

40. ადგა დემურ შეიკაზმა — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.

41. ის მამაძალი ლეკები — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

42. თუთავ ჩემო საყვარელო — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
43. შავი ყორანი შავ კლდესა — ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
44. ყვარელში ლეკი შევიდა — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
45. ზემო ქართლიდან წამოველ — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
46. გავბრიყვდი და კახეთს წაველ — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
47. დღეო მაისისაო — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. მთქმელი ევა სისაური, 78 წლისა.
48. ორი კოდი ქერი მქონდა — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
49. შენი გამჩენის ქირიმე — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
50. დედაშენთასა ივანე — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში.
51. ლეკებმა რომ დამიჭირეს — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
52. ბევრეთელი ივანე — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.
53. ქობულაშვილი გოგია — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 21.
54. ქარელ — ქალელი შეიბნენ — ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
55. თრიალეთს ყარაულებსა — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
56. თრიალეთს ყარაულებსა — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.
57. ფშაველებში ერთი მარა — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში. მთქმელი ტუხა ივანეს ძე სოზიაშვილი, 66 წ. კოლმეურნეობის მწყემსი (მწყემსობაშივე გაზრდილა და მწყემსობაშივე მოხუცებულია). იცნობს სხვადასხვა კუთხის მწყემსთა ზეპირსიტყვაობას და ზეპირსიტყვაობის ერთ-ერთ საუკეთესო მთქმელად ითვლება.
58. მარია კარგი ქალია — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. მთქმელი იათამზე ილარიონის ასული კოლოტაური. 24 წ. კოლმეურნე, მეჩონგურე, მომღერალი.

59. ხვედია გუდამაყრელო — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში. მთქმელი სოფ. ხობისელი გ. წიკლაური.
60. ოსმალში თათარს აქებენ — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 59.
61. მოლი. წავიდეთ შინაო --- ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
62. ჩეთამში კარგი ბალახი — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
63. გივლამ უბრძანა გიორგის—ჩაწ. 1953 წ. სოფ. დილომში. მთქმელი მიხეილ-სანდროს ძე სონღულაშვილი 48 წ. კოლმეურნე.
64. შირაქიდან მამდინარე — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
65. აღდგომელო საზანდარო — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
66. მუხრანში მუხრან ბატონო — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
67. არსენა ჯორჯიაშვილი — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.
68. მაშინ სად იყავ ამირან -- ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.
69. იქით ნუ წახვალ ამირან — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
70. ამირან დევი შეიბნენ—ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 24.
71. ოთურ დარეჯანასაო — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში. მთქმელი ელია ელიზბარის ძე სონღულაშვილი.
72. ლამაზი ქალის კაბასა—ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
73. ძილო რასა მეძინები — ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
74. გადაბრუნდი ჩაგეხვევი — ჩაწ. 1949 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
75. ამაღამდელი ღამეო — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
76. ეთერო. შემოვდიოდი — ჩაწ. 1953 წ. სოფ. დილომში. მთქმელი ალექსი გიორგის ძე თოფჩიშვილი, 49 წ. კოლმეურნე.

77. ტარეღ დაგსვი ვეზირათ — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
78. დამესენ ჩემო დამწველო — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
79. ტარეღის საქციელსა — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
80. ორღობე ამოვიარე — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
81. აღექით აიყარენით — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
82. ერთი რაღაც კაცი ვნახე — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 57.
83. ვინ არის ფრიღონის ჭოგში — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
84. ბეჟანიანი — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
85. ბეჟან, ბეჟან გივიშვილო — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 57.
86. ატირდა და მოახსენა — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, მთქმელი გიგო ფირუზაშვილო, 70 წ. კოლმეურნი.
87. ბეჟან-გურგენი ჩადიან — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 57.
88. შენ თუ იცი ჩემო ფირან — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
89. ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ... — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
90. შენ ბერი კაცი, რათ მომკალ — ჩაწ. 1950 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

მეკელი ომი და სანღდათობა

91. ემბერ ფაშამ დაიკვება — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
92. თურქთ ომი გამოგვიცხადეს — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
93. ათას ცხრაას თოთხმეტ წელსა — ჩაწ. 1951 წ. სოფ. დილომში, მთქმელი თეო კილოტაური, 48 წ. კოლმეურნი.
94. ათას ცხრაას თოთხმეტ წელსა — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.

95. ომია გერმანიასთან — ჩაწ. 1954 წ. სოფ. დილომში, მთქმელი მიხეილ ალექსანდრეს ძე სონდულაძეილი, 38 წ.

96. მზემ ღიმილით გადმოგვხედა — ჩაწ. 1952 წ. სოფ. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.

შრომის ლექსები

97. ყურშავ შეჰყეფე — ჩაწ. 1952 წ. ს. ძეგვი. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 25.

98. გუშინ შეიდნი გურჯანელნი—ჩაწ. 1951 წ. ს. დილომი, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

99. დილაზე დილაობითა — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 87.

100. დათვმა სთქვა სიზმარი ვნახე—ჩაწ. 1949 წ. ს. დილომი, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 28.

101. დაღამდა და დაჰკრა ბინდი—ჩაწ. 1949 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

102. ნადირი მონადირესა—ჩაწ. 1949 წ. ს. დილომი, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

103. მეჯოგეები ჩიოდნენ — ჩაწ. 1954. წ. ს. დილომი. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

104. ირემმა ირემს ახარა—1952 წ. ს. დილომი, მთქმელი ილო კოლოტაური 72 წ., კოლმეურნი.

105. ტყეში ღორმა დაიკვება — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომი, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

106. მოდი შევაბათ გუთანი — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომი, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

107. ასე ჰგონია ღუშმანსა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომი, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.

108. ხარმა იცვალა მხარია—ჩაწ. 1952 წ. ს. დილომი, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 27.

109. რას უყურებ თამარ ქალო — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 28.

110. გადი-გამოდი გუთანო—ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

111. შენი ქირიმე გუთანო—ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 24.

112. ღმერთმა ხომ იცის, გუთანო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.

113. ადრე ადექ მოლოზნანო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
114. სახნისს უნდა ორი ალო — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. მთქმელი ალექსი თოფჩიაშვილი, 75 წ.
115. გუთნის ლექსი — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
116. ჰარალო ბიკო გოგია — ჩაწ. 1954 წ. ქ. თბილისში, ს. ლესელი ამირან ხორბალაძისაგან.
117. მინდორში ბალახ-ბულახო — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.
118. მამკალი რასმე მოეკლა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში, მთქმელი მამო ივანეს ასული სონდულაშვილი, 76 წ. დიასახლისი.
119. ბიკები მკიან ყანასა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
120. ხობხის საყელო ვიპოვნე — ჩაწ. 1953 წ. ქვემო-ხვითში. მთქმელი ნაზიკო ბითაძე, 24 წ.
121. მოდი მიუხტეთ კუტასო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.
122. ჰერიო, ბიკო, ჰერიო — ჩაწ. 1952 წ. ს. ძეგვი; ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 25.
123. მუხრანელმა ქალმა მითხრა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
124. უყურე ობლის ყანასა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.
125. ჰე — ოპუნა ყანასაო — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.
126. ყანაო ბადალიანო — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.
127. ჰოპუნა — ჩაწ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 104.
128. ჩალოუბან ჰოკინასა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
129. ქალო — ჩაწ. 1949 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.
130. გლესავ და გლესავ. ნამგალო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
131. გავწოთ და გავიღეთ — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.

132. თივას რათ მპარაე ძმობილო — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
133. ამოქროლდი ქვენა ქარო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომი. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
134. სალამოთი მაიმატებს — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 50.
135. ალალსა ალალ მუშასა -- ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.
136. ქართლისა არაბასაო — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.
137. კახელ მეურმეს აქებენ — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
138. მთაში წავიდა იობა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
139. ვაზო. შეილივით ნაზარდო — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
140. მინდა გიჩვილო ვენახო — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
141. ღმერთმა ვაზი გავვიჩინა — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
142. ვაი შენ, ჩემო ვენახო — ჩაწ. 1953 წ. ს. ძეგვში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
143. მალლა ცის მონადირე ხარ — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.
144. გენაცვალე ბრუნდე ვაზო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 25.
145. სიდედრო, შავგვრემანობით — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
146. თოხნური — ჩაწ. 1953 წ. ს. ძეგვში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 25.
147. როდის მომიხვალ სიმინდო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 24.
148. დაქუჩებულან ქალები — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. მთქმელი დავით ჩიტაძე, 72 წ.
149. შენი ჭირიმე სიმინდო — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.

150. დედას არ მოკლავს მშვიერსა—ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
151. აღზევანს წავალ — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
152. მარილზე წასვლა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.
153. პატარა ვიყავ ობოლი — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
154. არაგვზე ტივი დავაწყე — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
155. სატივე და ყუდრო ქალა—ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
156. პატარა გამოვიზარდე — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
157. საფეიქრო — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 24.
158. მერა ვქნა ჩემმა ღორებმა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
159. შენ ჩემო ღორო ქედაო — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
160. კაცი არ დაიბადება — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.
161. მელორემა ღორსა სცემა — ჩაწ. 1949 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 24.
162. გაბრიელ მამასახლისო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
163. მელორევე, ღორი ქალასა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.
164. არაგვზე ღორი აპყარეს — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
165. ვაი თუ ქართლში გათხოვდე — ჩაწ. 1949 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
166. ადექი ცხვარო წავიღეთ — ჩაწ. 1955 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 114.
167. ცხვარო შენსა ბატკნობისას — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
168. მაცალე მგელო, ნუ შემეკამ — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 7.

169. მეცხვრე მგლისა შიშითა — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 28.
170. ცხვარო შესძულდი პატრონსა — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 28.
171. მგელმა სთქვა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
172. მგელმა სთქვა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.
173. თოვლო, ითოვლე, ითოვლე — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 28.
174. თქვენაც ხომ მოგვხსენებათ — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.
- ამ ლექსთან დაკავშირებული თქმულება იხ. ხალხური სიტყვიერება, ა. თაყაიშვილი, რედ. 1907 წ., გვ. 125.
175. ქრელა წავიდა ხოშარსა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.
176. საწყალი მეცხვარეები — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
177. საგარეჯოდან წამოველ — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. მთქმელი დუშეთელი ნიკო გრიგოლის ძე ნაცვლიშვილი, 64 წ. ნაცვლიშვილი დილომში დღიურად ბარზე მუშაობდა და მაშინ ვხვდებოდი ხოლმე. იცოდა ბევრი ლექსები.
178. ხარო, ხარი ვინ დაგარქო — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
179. კუდალავ, კუდი ვინ მოგქრა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 28.
180. ჩემი ნიკორა გავყიდე — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
181. ორშაბათობით აშენდა — ჩაწ. 1949 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
182. შეესა კამეჩას აპატრონი — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 116.
- 182ა. შეესა კამეჩას პატრონი — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
183. ნიკორამ უთხრა ლომასა — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 23.
184. კამეჩმა ზაქი მოიგო — ჩაწ. 1951 წ. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

185. კამეჩო, შენ ის გერჩივნა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
186. კამეჩო, მუხრანელი ხარ — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
187. მოდიან მონადირენი — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
188. თათარს უტირე მოლაო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
189. კახაბრიანთ კამეჩები — 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
190. კამეჩი მყავდა ურწანა — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
191. მამაძალი ღორდავითა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 76.
192. კამეჩები დამეკარგნენ — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
193. შავი კამეჩი დამიდგა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
194. ჰაი, კახეთო, კახეთო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 35.
195. ვენახების ბოლოსა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 1.
196. გავიხედე ოლოსაო — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.
197. აჩიტამ უთხრა ვირსა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 104.

საწმისო კომეზია

198. მზეო ამოდი ამოდი — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. მთქმელი დარია სოზიაშვილი, 76 წ.
199. შეიდ მაისის ნამი — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 197.
200. მარტო, აპრილო, მაისო — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.
201. ხარო, დადგა მაისი — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
202. პირველი ქუხილის დროს იტყვიან — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 197.

203. საგაზაფხულო — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

204. კონა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

205. კონას ვოყავ — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 19.

206. წისკვილს პური დაეაყარე — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 12.

207. აღმოსავლეთი დაბნელდა — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

208. ქარი ქრის — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 47.

209. ციხესა თოფი ვესროლე — ჩაწ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

210. თქვენს კარზე გადმოვიარე — ჩაწ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

211. კულა და მარტი შეიბნენ — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 28.

212. კულა და მარტი შეიბნენ — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

213. ლაზარეობა — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში. მთქმელი ეფიმი არტემის ასული ჟამუტაშვილი, 64 წ. მას თვითონ მიუღია მონაწილეობა ლაზარეობაში.

214. ალილო — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

215. ახალი წლის დაკვლევა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.

216. იანვრისა რვასო — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.

217. თინანო — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში, მთქმელი ამირან ყარამანის ძე თეთრაშვილი, 68 წ. კოლმეურნე.

ა. თეთრაშვილი სტვირზე უკრავს, ძველათ ბერიკაობაზე დადიოდა და მის რეპერტუარში შედიოდა მრავალი ბერიკული „დაკერა“ მათ შორის: „დიდმური ბერიკული“, „წილკნური“ და „ზემომხრული“: „თინანოც“ სტვირზე სრულდება როცა ბერიკაობა იწყება. სტვირს ბერიკები აპყვებიან ორპირული მოძახილით.

218. ძილისა — ჩაწ. 1949 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.

219. ბედნიერი გადობოტებს — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
220. წმინდა გიორგი ცხენს შეჯდა, — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
221. წმინდა გიორგო, ცხოველო—ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში, ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
222. წმინდა გიორგის მშვენება — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
223. წმინდა გიორგის კარზედა — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
224. დიდება ყოვლად წმინდასა—ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
225. შენ ბიჭო ილარიონო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
226. ამდელი ლაპარაკითა — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.
227. გორიჯერის წმინდა გიორგი — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
228. ქორწილია და გვეწვიეთ—ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
229. მოვდივართ მოგვიხარია — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 3.
230. ნეფეო, შენსა გვირგვინსა — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
231. სიძისა შავგვრემანობა — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 28.
232. ჯვარული — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.
233. ნათლიავ, სუფრის ლხინი ხარ—ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. მთქმელი იოსებ გოგიშვილი. 68. წ., კოლმეურნე.
234. ღმერთმა მაგ ქალს შეგაბეროს — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.
235. ნეფე, ღმერთმა გადღეგრძელოს — ჩაწ. 1954 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 30.
236. გაიხარე და გამრავლდი—ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 2.

237. სიძვე გაქო, როგორ გაქო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.

238. სიძემ გახსნა ქისაო — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 8.

239. მზევე შინა და მზევე გარეთა — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. მთქმელი მარიამ სონღულაშვილი 81 წ. ამ ლექსს მელოგინე ქალს უმღეროდნენ ქალები ფერხულის დაბმით. ლექსის მთქმელს მეხსიერება ღალატობს და ვერ შესძლო ტექსტის სრულად გადმოცემა.

240. შენ, ჩემო ნათლიდედაო — ჩაწ. 1950 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

241. ჩვენი ნათლიდედა ამბობს — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

242. ჩემი ნათლიდედის წყველა — ჩაწ. 1951 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 6.

243. ადღეგრძელოს ცის ნამი — ჩაწ. 1952 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 4.

244. თასი ვიგდე ხელსა — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. მთქმელი სოფ. მამკოდელი თედო ციხიშვილი, 76 წ. ხურო.

თ. ციხიშვილი დილომში მუშაობდა — სახლებს აშენებდა და მისგან ჩაეიწერე რამოდენიმე ლექსი.

245. დიდება ღმერთსა — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. მთქმელი გიორგი ლევანის ძე გენებაშვილი, 66 წ. კოლმეურნე.

246. ჭერ ადღეგრძელოს კერაო — ჩაწ. 1953 წ. ს. დილომში. ცნობები მთქმელზე იხ. შენიშვნა № 76.

